საერთო გაზეთი

№6 (359) • 24 თებერვალი, 2016 წ.• გამოდის ოთხშაბათს • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1.20 ლ.

„გლდანის ციხეს ხშირად აღარებენ გუანტანამოს, მაგრამ გუანტანამო გლდანთან შედარებით საბავშვო ბაღი იყო“

„წყეულიმც იყავით, „ნაციონალებო“, თქვე პირსისხლიანო რეციდივისტებო!“



ვეღორ სტურუა:

თავის მოკვეთა – პოეტის სასჯელი საუდის არაბეთში

გარეორსულობა ნატო-თი ანუ შესვლა – არშესვლა, საკითხავი, აი, ეს არის!

ლია ელიავა:

ქადაგიძის საქმიანობით პროკურატურა აუცილებლად უნდა დაინტერესდეს

რატომ უჩივის იოსებ ჯანდიერი ერთდროულად საქართველოსაც და შვეიცარიასაც?

სკანდალი!

რა საიდუმლო თათბირები ჩატარდა სკოლებში და ვინ ცდილობს ახალი საგნის დაჩქარებულად მიღებას?

მოხსნიან თუ არა განათლების მინისტრს?

რა ხდება „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“, რომელსაც სახელმწიფოსთვის 216 მილიონის ვალი აქვს გადასახდელი?

სკანდალი!

რამ გადარია „რესპუბლიკელები“ – რა თქვა გოგი თოფაძემ ისეთი, რაც აქამდე მათი მისამართით არავის უთქვამს?

პრემიერ-მინისტრი სამეგრელო-ზემო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი მთავრობის სხვა წევრებთან ერთად 20 თებერვალს სამეგრელოს რეგიონში იმყოფებოდა. ბატონმა პრემიერმა სამსახურებრივი ავტომობილის გამოყენებაზე უარი თქვა და დღის განმავლობაში დაგეგმილ ყველა შეხვედრაზე მიკროავტობუსით მივიდა.

მიკროავტობუსებით მგზავრობდნენ უწყებების პრესსამსახურების და პროტოკოლის წარმომადგენლებიც.

ამ გადაწყვეტილებას მთავრობაში ხარჯების შემცირების პოლიტიკას უკავშირებენ.

გიორგი კვირიკაშვილმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხის მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრი დაათვალიერა. ცნობილია, რომ 15 მილიონ ლარად ღირებული პროექტი საპარტნიორო ფონდმა განახორციელა. ცენტრი სრულად გაზაფხულზე ამოქმედდება, სადაც 1000-მდე ადგილობრივი მცხოვრები დასაქმდება.

პრემიერ-მინისტრი ეწვია რუხის საზოგადოებრივ ცენტრს. დღეს უკვე 31 სოფლის მაცხოვრებლებს აქვთ საშუალება, ისარგებლონ საზოგადოებრივი ცენტრის მაღალი დონის მომსახურებით.

სოფ. რუხის საზოგადოებრივი ცენტრი

თეთნულდის საბაგირო გზის გახსნა

პრემიერი იმყოფებოდა რუხის მრავალპროფილიანი საავადმყოფოს მშენებლობაზე, რომელიც 2017 წელს უნდა დასრულდეს. პროექტის ღირებულება 41 264 000 ლარია.

გიორგი კვირიკაშვილი, მთავრობის წევრებთან და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, დაესწრო ზუგდიდის სტადიონის მშენებლობისთვის საფუძვლის ჩაყრას. სტადიონი 7 233 მაყურებელზეა გათვლილი.

პრემიერ-მინისტრი შეხვდა შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის პროფესიული პროგრამების სტუდენტებს და გააცნო მათ განათლების სისტემაში გერმანული მოდელის დანერგვის პრიორიტეტები.

პრემიერი კურორტ თეთნულდსაც ესტუმრა და თეთნულდის საბაგიროს გზის გაშვებას დაესწრო. ინფრასტრუქტურის სამინისტრომ დაასრულა მშენებლობის პირველი ფაზა, კურორტი ოფიციალურად გახსნილია. იგი მართვაში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს გადაეცა.

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ "თეთნულდის" მშენებლობის პირველი ფაზა წარმატებით დაასრულა. საბაგიროების მწარმოებელი ფრანგული კომპანია „პომას" მიერ აშენებული ექვსადგილიანი სავარძლის ტიპის საბაგირო საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა დაათვალიერა. საბაგირო მგზავრებს უფასოდ მოემსახურება.

პრემიერმა ყველას, ვისაც თეთნულდის მონახულება სურს, პროექტის წარმატებით განხორციელება მიულოცა. მისი თქმით, საქართველოს გააჩნია მთის კურორტების განვითარების კარგი რესურსი, რაც რაციონალურად და მაქსიმალურად უნდა გამოვიყენოთ.

გიორგი კვირიკაშვილი ტურიზმს ხელისუფლების ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად მიიჩნევს, რომლის განვითარება ქვეყანას დამატებით ინვესტიციებს და ახალ სამუშაო ადგილებს მოუტანს.

„დღეს თეთნულდზე ფუნქციონირებს ერთი სათხილამურო ტრასა, ჩვენ ვგეგმავთ, წლის ბოლომდე კიდევ სამი საბაგირო გზა შევიდეს ექსპლუატაციაში. ეს იქნება ერთ-ერთი საუკეთესო კურორტი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ აღმოსავლეთ ევროპაში. სოფელ მულახიდან თეთნულდის ბაზას დაუკავშირდება დამატებითი საბაგირო. აუცილებლად გაკეთდება ქუთაისიდან ცაგერი-ლენტეხის გავლით სვანეთთან დამაკავშირებელი გზა, რომელიც ქუთაისის აეროპორტიდან ორი საათის სავალზე თეთნულდამდე მივა.

საპარტნიორო ფონდის მეშვეობით, რამდენიმე სასტუმროს გავაკეთებთ, რათა ბიძგი მივცეთ ამ კურორტის განვითარებას. დარწმუნებული ვარ, ეს იქნება ძალიან წარმატებული პროექტი", – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

მთავრობის მეთაურის ინფორმაციით, მზადდება კონკრეტული გეგმა და მისი განხორციელება, სავარაუდოდ, მიმდინარე წლის ზაფხულიდან დაიწყება.

სამთო-სათხილამურო კურორტის მშენებლობის პროექტი 100 მილიონი ლარის ღირებულებისაა და მას საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით, საქართველოს მთავრობა აფინანსებს.

თეთნულდის სათხილამურო ტრასა ამიერკავკასიაში ყველაზე გრძელი (9.5 კმ) და ყველაზე დიდი ვერტიკალური ვარდნის მქონე (1.7კმ) იქნება.

„მთის კურორტების განვითარების კომპანიამ" კურორტის პოპულარიზაციისთვის მესტია-თეთნულდი, თეთნულდი-მესტიის მიმართულებით ავტობუსი დანიშნა, რომელიც ტურისტებს უფასოდ მოემსახურება.

უნიკალური კურორტი ტურისტებს ოთხივე სეზონის განმავლობაში უმასპინძლებს. სათხილამურო პერიოდი კი 6-7 თვემდე გახანგრძლივდება.

მნიშვნელოვანია, რომ კურორტ თეთნულდზე ადგილობრივი მოსახლეობა დასაქმდება. კურორტის მშენებლობა 2014 წლის მაისში დაიწყო, მშენებლობის პირველი ფაზა 2016 წლის იანვარში დასრულდა.

კიდევ ძალიან ბევრი პროექტია დაგეგმილი სამეგრელოს რეგიონში და ჩვენ განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ ყველა ეს სიკეთე ჩვენი აფხაზი დებისა და ძმებისთვის ასევე იყოს ხელმისაწვდომი, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვი-

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავლის" სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გიორგი კვირიკაშვილი სვანეთის მხარეში

სოფ. რუხის მრავალპროფილიანი სამედიცინო ცენტრის მშენებლობა

რიკაშვილმა ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა.

პრემიერმა განსაკუთრებით გამოყო 20 წლის ნემო ჯალალონიას მცირე საწარმო, რომელიც სახელმწიფო პროგრამის – „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში დაფინანსდა.

მან მონაწილეობა მიიღო მიკრომეწარმეობის დაფინანსების პროგრამაში და 5 ათასი ლარის ოდენობის გრანტით თანამედროვე სამხერხაო მოწყობილობა შეიძინა.

გიორგი კვირიკაშვილის შეფასებით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ეს ყველაფერი ხორციელდება სტრატეგიულ რეგიონში – სამეგრელოში, სადაც ბევრი დევნილი, იძულებით გადაადგილებული ადამიანი ცხოვრობს და მათი დასაქმების საკითხი განსაკუთრებით აქტუალურია.

პრემიერმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭა, აგრეთვე, რუხის სავაჭრო ცენტრის დაფუძნებას, რომლის მშენებლობაში საპარტნიორო ფონდმა 15-მილიონიანი ინვესტიცია განახორციელა. „ძალიან მნიშვნელოვანია, რომ საოკუპაციო ხაზთან შენდება ასეთი დატვირთვის სავაჭრო ცენტრი, სადაც შესაძლებელი იქნება, როგორც ქართველებმა, ისე აფხაზებმა ერთად ისარგებლონ მომსახურებებით და საკუთარი პროდუქციის რეალიზაცია განახორციელონ. იქ უკვე არის შესული რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი სავაჭრო ნიშანი, რომლებმაც საკუთარი სავაჭრო ცენტრები გახსნეს. ასევე გაიხსნა ავტომობილების მომსახურების ცენტრი. ეს ძალიან კარგია, ვინაიდან 1000-ზე მეტი ადამიანი უახლოეს დღეებში დასაქმდება”, – აღნიშნა გიორგი კვირიკაშვილმა.

კომპლექსი, რომელშიც 10 შენობაა მთლიანად 10 000 კვადრატულ მეტრს იკავებს, ხოლო საერთო განაშენიანების ფართობი 5 ჰექტარია.

პრემიერმა იმედი გამოთქვა, რომ სავაჭრო კომპლექსი იქნება ახალი სიტყვა რეგიონში, იგი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს რეგიონის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში.

სავაჭრო ცენტრში წარმოდგენილია საცალო და საბითუმო მაღაზიები, ავეჯისა და ტექნიკის მაღაზიები, ჰიპერმარკეტი, ღია ტიპის ბაზარი, იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი, საფინანსო და საბანკო მომსახურების ობიექტები, ავტოსერვისი, ფოსტა, აფთიაქი. სავაჭრო ფართები აღჭურვილია განათების, ვენტილაცი-კონდიცირების, გათბობის თანამედროვე სისტემებით.

მრავალფუნქციური სავაჭრო ცენტრში შემოსასვლელად ეშზადებიან როგორც ადგილობრივი, ისე საერთაშორისო კომპანიები.

ცენტრის სამშენებლო სამუშაოები 2015 წლის სექტემბერში დაიწყო და 2016 წლის იანვარში დასრულდა. მშენებლობის პროცესში ობიექტზე დასაქმებული იყო 300 ადგილობრივი მაცხოვრებელი. ცენტრის გახსნის შემდეგ კი მუდმივად 1000-მდე სამუშაო ადგილი გაჩნდება.

პრემიერი ზუგდიდის სასწავლო უნივერსიტეტშიც იმყოფებოდა, სადაც მისი შეფასებით, უმაღლესი და პროფესიული განათლება კარგად არის კომბინირებული.

„ეს არის ის ძალიან მნიშვნელოვანი მოდელი, რომელზეც ჩვენ უნდა ავაშენოთ ჩვენი განათლების სისტემა. მნიშვნელოვანია, როდესაც სახელმწიფო და კერძო სექტორი ერთად, პარტნიორობით ამზადებს პროფესიული განათლების მქონე ადამიანებს, რომლებიც პირდაპირ საქმდებიან. ძალიან კარგია, რომ უნივერსიტეტში მთელი ავეჯი და აღჭურვილობა შექმნილია სტუდენტების მიერ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს არის უნივერსიტეტი, სადაც განათლებას იღებს ჩვენი დევნილი მოსახლეობა”, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

აღსანიშნავია, რომ 220-ადგილიანი მრავალპროფილიანი საუნივერსიტეტო საავადმყოფო სოფელ რუხში მომავალი წლის დასაწყისში გაიხსნება.

მშენებლობის პროცესი აქტიურ ფაზაშია. განხორციელებული და მიმდინარე სამუშაოები დღეს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა, მთავრობის წევრებთან დაათვალიერა.

კლინიკის მთავარი შენობა დასრულებულია, მიმდინარეობს სხვა დამხმარე ნაგებობათა მშენებლობა.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ აღნიშნა, სამედიცინო პროფილის სტუდენტებისა და რეზიდენტებისთვის კლინიკის ტერიტორიაზე მოეწყობა აუდიტორიები და ბიბლიოთეკა, ასევე – სპორტულ-გამაჯანსაღებელი ინფრასტრუქტურა, აუზები და სკვერები. მინისტრის ინფორმაციით, გახსნის შემდეგ, კლინიკაში 600-მდე ადამიანი დასაქმდება.

კლინიკის ამოქმედების შემდეგ რუხისა და მიმდებარე სოფლების მოსახლეობას სამედიცინო დახმარების მისაღებად ზუგდიდში ჩასვლა აღარ მოუწევს. საავადმყოფო მოემსახურება როგორც რეგიონის, აფხაზეთიდან ჩამოსულ პაციენტებს. რეზიდენტებისთვის, კლინიკაში სამკურნალოდ ჩამოყვანილი პაციენტების ოჯახის წევრებისა და ახლობლებისთვის, 92-ადგილიანი საერთო საცხოვრებელი აშენდება.

პროექტი სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსდება და მისი ღირებულება 41 264 000 ლარია. სამუშაოებზე 154 ადამიანია დასაქმებული, რომელთა დიდი ნაწილი ადგილობრივი მცხოვრებია.

რუხის საზოგადოებრივი ცენტრი პრემიერ-მინისტრს იუსტიციის მინისტრმა დაათვალიერებინა. თეა წულუკიანის განმარტებით, საზოგადოებრივი ცენტრი ელექტრონული მმართველობის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მაგალითია, რომელიც ზოგავს ადგილობრივი მოსახლეობის დროსა და ფინანსებს. სახელმწიფო სერვისების კომფორტულ გარემოში გაცემა დიდი ქალაქების ფუფუნება აღარაა. დღეს უკვე 31 ქართული სოფლის მოსახლეობა სარგებლობს საზოგადოებრივი ცენტრის მაღალი დონის მომსახურებით.

სოფელ რუხის საზოგადოებრივი ცენტრი სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ ააშენა.

22 თებერვლიდან რუხის მოსახლეობას შეძლებს, სოფლიდან გაუსვლელად, ისარგებლოს 200-ზე მეტი სერვისით. კომფორტულ გარემოში მოსახლეობა მარტივად მიიღებს პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, არქივიდან ბიოგრაფიულ ცნობებს, სანოტარო სერვისს, უფასო იურიდიულ დახმარებას, დაარეგისტრირებს ქონებას. სოფლის მოსახლეობა ასევე ისარგებლებს კერძო სექტორის („ლიბერთი ბანკი“, „მაგთიკომი“ „მექანიზატორი“) მომსახურებით. ცენტრში ხელმისაწვდომია თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა, უფასო ინტერნეტი, შკოლა სივრცე, შეხვედრების ოთახი, ბანკომატი და სწრაფი გადახდის აპარატი, თანამედროვე საკონფერენციო დარბაზი.

ზუგდიდში უეფას III კატეგორიის შესაბამისი სტანდარტების სტადიონის მშენებლობა დაიწყო. მშენებლობას, კაფსულის ჩადებით, საფუძველი საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა ჩაუყარა.

პრემიერის თქმით, ზუგდიდელები დიდი ხანია ელოდებიან ცენტრალური სტადიონის მშენებლობას და მათ ახლო მომავალში ექნებათ 7200-ზე მეტ მაყურებელზე გათვლილი საფეხბურთო მოედანი. მანვე იმედი გამოთქვა, რომ საერთაშორისო სტანდარტების სტადიონი რეგიონის განვითარებაში თავის წვლილს შეიტანს.

პროექტის ღირებულება 20 მილიონი ლარია, სტადიონის პირველი ეტაპის სამუშაოებისთვის გამოყოფილია 9 747 000 ლარი. ამჟამად მიმდინარეობს მიწისზედა გრუნტის სამუშაოები და მუშაობს მძიმე ტექნიკა.

სტადიონს ექნება მაყურებელთა 10 შესასვლელი, ასევე სახანძრო და სასწრაფო დახმარების მანქანების მისასვლელები. დასავლეთ ტრიბუნასთან განთავსდება ავტობუსის პარკინგი გუნდების, ქომაგების და მედიისთვის. ტრიბუნების ქვეშ განლაგდება მაღაზიები, კვების ობიექტები, გუნდების ოთახები, საშხაპეები, მსაჯების ოთახები და ა.შ.

სტადიონები და დამხმარე ინფრასტრუქტურა 6,5 ჰექტარ მიწის ფართობს დაიკავებს.

სტადიონს ასევე ექნება სათადარიგო მოედანი, რომელიც 1224 მაყურებელზე იქნება გათვლილი. სათადარიგო სტადიონი სხვადასხვა თამაშის ერთდროულად გამართვის შესაძლებლობასაც იძლევა. ძირითადი მოედანი ბუნებრივი საფარით დაიფარება, ხოლო სათადარიგო – ხელოვნურით.

პრემიერ-მინისტრის პრეს-სამსახურის ინფორმაციებზე დაყრდნობით მოამზადა

„საერთო გაზეთმა“

წინა რეჟიმის დროს 37-იანი წლები გავიარეთ

გვესაუბრება ადვოკატთა საერთაშორისო ობსერვატორიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, ადვოკატი, უფლებადამცველი, ბატონი გრიგოლ გაგნიძე.

– ბატონო გრიგოლ, თქვენ ახლახან საპარლამენტო კომისიის სხდომაზე იყავით მიწვეული, სადაც იმსჯელეს პოლიტპატიმრების სრული რეაბილიტაციის პრობლემებზე.

– 2012 წლის 5 დეკემბრის აქტით საქართველოს პარლამენტმა 200-მდე პატიმარს პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა.

სააკაშვილის რეჟიმის დროს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებულები, რომლებიც დაკავებულნი იქნენ საპროტესტო აქციებზე, განსაკუთრებით კი 2007 წლის 7 ნოემბრის შემდეგ, ტელეკომპანია „იმედის“ დარბევისას, ასევე ტელეკომპანია „იბერიის“ დახურვის დროს, მუხროვანის ე. წ. ამბოხისას და ა.შ. რომლებშიც სააკაშვილი პოტენციურ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ხედავდა, აპატიმრებდა და ათეული წლებით, არაადამიანურ სასაჯელებით, საპატიმროებში ამწყვდევდა გაუსაძლის პირობებში.

ეს იყო 21-ე საუკუნის კოშმარი, როგორც გასული საუკუნის 37-იანი წლები. ფაქტობრივად, 21-ე საუკუნის 37-იან წლებში ვიცხოვრეთ, სადაც დაჭერა, გაქრობა, დასმენა-დაპატიმრება ჩვეულებრივი მოვლენა იყო. რეპრესიების ტალღა ყველა სოციალურ ფენას შეეხო. წარმოიდგინეთ, 160 ადვოკატი იყო გასამართლებული იმ პერიოდში, რომელთაგან ორი პოლიტპატიმართა სიაში მოხვდა.

– პოლიტიკური ოპონენტები აცხადებენ, რომ არავითარი პოლიტპატიმარი და პოლიტდევნა არ არსებობულა. ყველა კონკრეტულ დანაშაულზე იყო დაპატიმრებულიო. როგორ დეფინიციასა და კვალიფიკაციას აძლევს საპარლამენტო კომისია სააკაშვილის რეჟიმის დროს დაპატიმრებულებს, რომლებსაც შემდეგ 5 დეკემბრის ამნისტია შეეხო?

– 2012 წლის საქართველოს პარლამენტის 5 დეკემბრის დადგენილება არ ყოფილა ამნისტიის აქტი. ამინისტია პარლამენტმა ცალკე მიიღო, რის შედეგადაც 30 000-ზე მეტ პატიმარს სასჯელი შეუმცირდა, უმეტესობა კი განთავისუფლდა ციხეებიდან. როდესაც ადამიანს აქციაზე იჭერ, ან მას შემდეგ, რაც პოლიტიკურ განცხადებებს გააკეთებს, აკავებ მას და მისი ოჯახის წევრებს, როცა პროცესები დროში ემთხვევა, ეს უკვე მიუთითებს პოლიტიკურ დევნაზე.

ვიცით, რომ 200-ზე მეტი ადამიანია პოლიტპატიმრად გამოცხადებული, მაგრამ ამ საპარლამენტო სხდომაზე კიდევ წარმოადგინეს 66 ადამიანის სია, რომლებიც, შესაძლოა, პოლიტდევნილებად შეირაცხონ.

რაც შეეხება საერთაშორისო დეფინიციას, 2012 წელის 3 ოქტომბერს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია #1900, რომლითაც დაადგინა პოლიტიკური პატიმრის სტატუსი. საპარლამენტო ასამბლეამ მოუწოდა ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოებს, ყველა პოლიტიკური პატიმრის საქმე შეესწავლათ დადგენილი კრიტერიუმების შესაბამისად.

ნაციონალები პირდაპირ იყვნენ დაგეშილი ბიზნესმენების დაკავებასა და გაძარცვაზე. ძალიან ბევრი საქმიანი ადამიანი გააკოტრეს და ციხეში ჩასვეს ნაცრეჟიმის დროს. ნათქვამია, თუ ადამიანის დაჭერა გინდა, ფეხსაცმლიდან ყუმბარას ამოუღებო, ყოველთვის შეიძლება ადამიანს ბრალი დასდო. ასე ღუპავდნენ ხალხს, ე. წ. ჩადების, სატელევიზიო დაჭერების სპეციალისტები იყვნენ. მოგონილი ბრალეულობით უსჯიდნენ ადამიანებს. ეს ტენდენცია გავრცელდა მერე არასწრულწლოვანებზეც. რომელი ერთი ჩამოვთვალო. ყველაფერი პოლიტიკური მოტივებით იყო განპირობებული. დავუშვათ, იყვნენ ეს ადამიანები კრიმინალები, მაგრამ მუხროვანის ამბოხის დროს ბაზაზე სარემონტო სამუშაოებისთვის მისული 50-მდე მუშა რომ დააკავეს, ეს საწყალი ხალხი საერთოდ, აზრზეც რომ არ იყვნენ, რა ხდებოდა, მათი დაჭერა სამართლიანი იყო?!

დღემდე წუხს საზოგადოება, ნაციონალური რეჟიმის დროს უკანონოდ ჩამორთმეული ქონებები რატომ არ ბრუნდებაო. უნდა გითხრათ, 300-მდე წინა რეჟიმის მიერ დაზარალებულს დაუბრუნდა მანქანა და სხვა უძრავ-მოძრავი ქონება.

პროცესი გრძელდება.

რაც უნდა ილაპარაკოს ოპოზიციამ, კატეგორიულად ვერ დავეთანხმები, რადგან, როგორც თეთრი განსხვავდება შავისგან, ისე განსხვავდება ახლანდელი ხელისუფლება ყოფილისგან.

– ჩვენ ვსაუბრობთ პოლიტპატიმრებსა და პოლიტდევნილებზე, რომლებიც დაპატიმრებულნი იყვნენ ნაციონალური რეჟიმის მიერ განსხვავებული პოლიტიკური შეხედულების გამო, მაგრამ ყველას მოგვეხსენება, რომ გარკვეული, თუნდაც პასიური პროტესტის გამო ათეულობით და შეიძლება, ასეულობით ადამიანი გაათავისუფლეს სამსახურეებიდან, დატოვეს ულუკმაპუროდ. მათი უფლებების აღსადგენად რა მექანიზმი შეიძლება იქნას გამოყენებული?

– მეტსაც გეტყვით, წინასაარჩევნო პერიოდებში კუდ-ის მიერ დგებოდა დასაჭერ ადამიანთა სია, რომლებსაც, მოსალოდნელი იყო, ხელი შეეშალათ არჩევნების მათთვის სასარგებლოდ ჩატარებაში.

2005-06 წლების ქუჩებში ახალგაზრდების ჩაცხრილვების და განსაკუთრებით, 2007 წლის 7 ნოემბრის მოვლენების შემდეგ გააქტიურდა ოპოზიცია, ამან გამოიწვია კონტრრზომების აუცილებლობა ნაციონალების მხრიდან. დაიწყო თვალთვალი და ტოტალური კონტროლი სკოლებში მოსწავლეების მშობლების შეხედულებებზე, უმაღლესი სასწავლებლების პროფესორებზე, დაარბიეს გამომცემლობა „სამშობლო“, ომის ვეტერანები, გმირთა მოედანზე ვეტერანების აქციის დარბევისას ქალბატონიც კი სცემა ე. წ. ნაციონალურმა პატრულმა, ძნელაძის ქუჩაზე საცხოვრებელი სახლიდან გამოყარეს იქ მაცხოვრებლები...

– ახლა ხეების გადარგვაზე „დარდობენ“ ძალიან.

– 2011 წელს ქობულეთი იყო თუ ბათუმი, ზუსტად არ მახსოვს, ნაციონალებმა 11 000 ლარად ღირებული პალმებისთვის 100 000 ლარის თანხა გამოყვეს და ის ფული ჯიბეში ჩაიდეს. გახმაურდა მაშინ ეს ამბავი.

ციხისძირის ხეებთან დაკავშირებით რომ ახმაურდნენ ნაციონალები, ბიძინა ივანიშვილი ჩავიდა იქ და უთხრა მათ: თუკი ასე დგას საკითხი, მე გავაჩერებ სამუშაოებს, კარგად შევისწავლი დოკუმენტაციას და მერე გავაგრძელებთო. ნაციონალებმა მერე ესეც თავიანთ პარისათვის გამოიყენეს – ჩვენ გავაჩერებინეთ პროცესიო.

სინამდვილეში კი საქმე შემდეგშია: ექსპრეზიდენტის მიერ 2011 წლის 3 აგვისტოს განკარგულებით, 2011 წლის 3 აგვისტოს ოფშორში დარეგისტრირებულ კომპანია REDMAD FEDERATION INC-ს ერთ ლარად გადაეცა ციხისძირში 10 ჰა მიწის ნაკვეთი. ახლა ამ საკითხზე გამოძიება მიმდინარეობს.

პროკურატურის მონაცემებით, ჯერ კიდევ 2013 წელს დაიწყო გამოძიება სს საქმეზე ყალბი დოკუმენტებით სოფელ ციხისძირში მიწის ნაკვეთების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე და 2011 წელს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში სამართალდამცავი ორგანოების უკანონო ჩართვით, ეკონომიკის სამინისტროსა და ოფშორულ კომპანიას შორის დანაშაულებრივი ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. ეკონომიკის სამინისტრო სასტიკად უარყოფს დოკუმენტზე ხელმოწერას და არც რწმუნებულობას აღიარებს, ხოლო ოფშორული კომპანიის წარმომადგენელთან პროკურატურის დაკავშირების შემდეგ გაირკვა, რომ ამ კომპანიის წარმომადგენელს არათუ ხელი მოუწერია, საერთოდ არასდროს ყოფილა საქართველოში.

სამი ხის გამო ხმაური ატეხეს, რაც მაფიქრებინებს, რომ თავიანთი ლიდერის ქონებას გადაეფარნენ.

შეიძლება, ეს მთავრობა არ მოგვწონდეს იმის გამო, რომ რაც შეგვპირდა, ყველაფერს დათქმულ დროში ვერ ასრულებს, მაგრამ ნაციონალური რეჟიმი გაამართლო, არავითარ ლოგიკაში არ ჯდება. სააკაშვილის რეჟიმს გამართლება არ აქვს. ოჯახები ვიცი, სადაც სამი შვილი ჰყავდათ და სამივე გასამართლდნენ სააკაშვილის რეჟიმის მიერ. ასე რომ, რაც უნდა ილაპარაკონ, დღევანდელი ხელისუფლება გაცილებით ლოიალურია და გაცილებით პოზიტიური, განხვავებული პოლიტიკური შეხედულებების, აზრის, სიტყვის, გამოხატვის და

სხვა აუცილებელი ფასეულობების მიმართ, რაც უნდა ახასიათებდეს დემოკრატიულ მმართველობებს. ასეა დღეს, არ ვიცი, რა იქნება ოთხი წლის შემდეგ.

– საერთაშორისო დონეზე თუ იქნენ აღიარებული ქართველი პოლიტრეპრესირებულები შესაბამის სტატუსში?

– ევროსაბჭოს ნორმატივების საფუძველზე პოლიტპატიმრებად შეირაცხნენ კვიციანი, თოფურია და სხვები, არსებობს ოფიციალური სია:

2011 წლის 26 მაისის მოვლენებთან დაკავშირებით დაპატიმრებული 47 პირი.

ყინწვისში დაკავებული 24 პირი;

მუხროვანის ამბოხის საქმეზე მსჯავრდებული 20 პირი;

ჯაშუშობის ბრალდებით ე.წ. ენვერის საქმეზე გასამართლებული 11 პატიმარი;

ტელეკომპანია „კავკასიაში“ 2010 წლის მაისში რელიგიურ ნიადაგზე მომხდარ ჩხუბთან დაკავშირებით დაკავებული პირები;

ასევე 2007 წლის 7 ნოემბერს დაკავებულები სამოქალაქო აქტივისტები: ლევან გოგიჩაიშვილი და მელორ ვაჩნაძე; ფეხბურთელი გიორგი დემეტრაძე; 2009 წლის მაისში ჯაშუშობის ბრალდებით დაკავებული ვახტანგ მაისაია და სხვები.

– რაში დასჭირდა, ბატონო გრიგოლ, ალექსანდრე ელისაშვილს პოლიტპატიმრების თემის წამოწევა ახლა და ამ საქმეში ბესელიასა და კობახიძის ბრალეულობის გასაჯაროება? თუ მართლა იყო მსგავსი ფაქტები, უნდა იცოდეს საზოგადოებამ, მაგრამ რატომ ახლა და არა მაშინ, როცა ელისაშვილი, მისი თქმით, ზეწოლის ქვეშ იყო და სმს შეტყობინებებს იღებდა?

– თუ ზეწოლა ხდებოდა, იმ დღეებშივე უნდა ეთქვა და გადამდგარიყო, მაგრამ სამი წლის შემდეგ ამის გასაჯაროება ეჭვებს ბადებს.

ჩემი აზრით, ელისაშვილს, პოლიტიკური ავანტიურით, სურს პოლიტიკურად დაიჭიროს რამდენიმე თვეზი.

„ქართული ოცნების“ ლიდერების, ერთ-ერთი წამყვანი კომიტეტის თავმჯდომარის ბესელიას და ვიცე-სპიკერ კობახიძის დისკრედიტაციისკენ იყო მიმართული ელისაშვილის ქმედებები.

ყველას გვახსოვს, ელისაშვილს ფეისბუკ-გვერდი ჰქონდა გახსნილი – ელისაშვილი თბილისის მერად!

მე ვფიქრობ, მას პოლიტიკური ქულების დაგროვება უნდოდა და ეს არის პოლიტიკური ავანტურა.

მერე ელისაშვილი ბესელიას და კობახიძეს დაემუქრა: ხელისუფლებაში რომ არ იქნებიან, მაშინ მაინც მივაღწევ ჩემსასო. ხელისუფლებაში თუ არ იქნებიან ბესელია და კობახიძე, ვფიქრობ, მაინც ადვოკატები და უფლებადამცველები იქნებიან. შეიძლება, ზოგიერთი კოლეგისთვის და არაკოლეგისთვისაც სასიამოვნო არ იყოს, მაგრამ, ამ ქალბატონებს, პროფესიული საქმიანობისას, როგორც შემეძლება, ყოველთვის გვერდით დავუდგები.

იმის გარდა, რომ ელისაშვილს პირადი ინტერესები აქვს, თვით ეს ავანტიურა, ჩემი აზრით, კვლავ „ნაცმოძრაობას“ უკავშირდება. პრეზიდენტი მარგველაშვილიც კი ჩაერთო ამ საქმეში, პირი, რომელმაც ნაცმოძრაობასთან პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებული პარტიების წარმომადგენლები მრჩევლებად აიყვანა.

– თუმცა ტელევიზიებმა აქტიურად აიტაცეს ელისაშვილის ჩაგვრის თემა.

– როგორც ვატყობ, ტელევიზიებს სიმართლის მოსმენა არ სურთ, სამწუხაროდ ინტრიგებს უფრო ეტანებიან.

– წელან თქვით, ეს ხელისუფლება ჯერჯერობით ჯობს ნაცმოძრაობას, მაგრამ არ ვიცი, ოთხი წლის მერე რა იქნებაო. ოთხი წლის მერე კი არა, სააკაშვილმა თქვა: შემოდგომაზე ნაციონალები ხელისუფლებას გადავიბარებთო.

– მიშაც და ნაცებიც ოცნებობენ უკვე. ვფიქრობ, ასეთი განცხადებები ყოველგვარ რეალობას არის მოკლებული. თუმცა „ქართულ ოცნებას“ მომავალ არჩევნებში არანაკლები ბრძოლა და ძალისხმევა მოუწევს, ვიდრე 2012-ში.

ირანდა კალანდაძე
ტელ.: 593 561 118

თავის მოკვეთა – პოეტის სასჯელი საუდის არაბეთში



მელორ სტურუა:

ვინა თქვა, თითქოს პოეზია პერების დახვეწილი გასართობია, მით უმეტეს – აღმოსავლური პოეზია? საუდის არაბეთის მოსამართლეები ასე არ ფიქრობენ. საადისა და ფირდოუსის პოეზიის დიდმა დამფასებლებმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს მოქალაქეობის არმქონე პალესტინელ პოეტ აშრაფ ფეიადს. მის პოეზიაში რჯულგანდგომილობის ცოდვები იპოვეს.

პოეტისთვის თავის მოკვეთის სასჯელმა აღაშფოთა პოეტთა მსოფლიო საზოგადოებრიობა და ადამიანის უფლებების დამცველნი. მაგრამ, სავარაუდოდ, ამან როდი გადაარჩინა აშრაფის სიცოცხლე. საუდის არაბეთის ხელისუფლება ცდილობს დაამტკიცოს, რომ შარიათის დაუნდობელ კანონებს, რომელთა სახელითაც „ისლამური სახელმწიფო“ მასობრივ სადამსჯელო ოპერაციებს აწყობს, არაფერი აქვს საერთო ერ-რიადის მეფეთა სათნო კანონებთან. და თითქოს ჯიბრზეო, გამოჩნდა ვაიპოეტი, რომელმაც შეძლო და დაანგრია საუდის არაბეთის ეს სამოთხე. შეიხები იძულებული გახდნენ, სიკვდილით დასჯა 8-წლიანი პატიმრობითა და 800 მათრახის დარტყმით შეეცვალათ.

გარდა ამისა, სასიკვდილო განაჩენის გამოტანა დაემთხვა წლის დამლევს, როცა საუდის არაბეთის ხელისუფლებამ ხალხის რეკორდული რაოდენობა სიკვდილით დასაჯა. ვიდრე ფეიადს განაჩენს გამოუტანდნენ, ტერორიზმში ბრალდებული 47 ადამიანი მოაკვდინეს. მათ შორის იყო შიიტი სასულიერო პირი, რომელიც ხალხს საუდის არაბეთის სამეფო დინასტიის დამხობისკენ მოუწოდებდა.

35 წლის ფეიადი არასოდეს მიაჩნდათ დისიდენტად. იგი საუდის არაბეთში „უპასპორტო“ პალესტინელთა ოჯახშია დაბადებული, პირადობის მოწმობა კი ეგვიპტური წარმომავლობისაა.

აშრაფ ფეიადი გაერთიანებული იყო საუდის არაბეთის თანამედროვე მხატვართა თანამეგობრობაში და მის პოპულარიზაციას ეწეოდა. ამ გაერთიანების შოუ-წარმოდგენებს თავის სახლშიც მართავდა და უცხოეთშიც.

თემიდა პოეტის საქმიანობით ჯერ კიდევ 2013 წელს დაინტერესდა. საუდის არაბეთის სამხრეთ-დასავლეთ-

ში მდებარე ერთ-ერთ კაფეში დააკავეს იქ მყოფებთან კამათის გამო. აშრაფი გაათავისუფლეს მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ დაეპატიმრებინათ – მკრეხელობისა და ქალებთან არაკანონიერი კავშირების ბრალდებით. და ეს ბრალდება უცხოეთში გამოცემული მისი პოეზიის წიგნიდან მოყვანილი სტროფებითაც გაამყარეს. დაადანაშაულეს და მიუსაჯეს – 4 წელი ციხე, 400 მათრახი. უმაღლესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსამართლეებმა „კარგად ვერ შეაფასეს“ აშრაფის პოეზია, მათი განაჩენი გააუქმეს და პოეტს სიკვდილი გადაუწყვიტეს.

საუდის არაბეთში იშვიათად როდი გამოაქვთ ასეთი მკაცრი განაჩენები. 2014 წელს ლიბერალური განწყობილებების ბლოგერ რაეფ ბადავის ქვეყნის რელიგიური ისტებლიშმენტის კრიტიკა 10-წლიან პატიმრობად და 1000 მათრახად დაუჯდა. საბოლოოდ გამათრახება გააუქმეს, ციხე – არა.

აშრაფ ფეიადის ადვოკატმა სარჩელი შეიტანა და ერთი კვირის წინ სასამართლომ სხვა განაჩენი გამოიტანა. მოსამართლეებს პოეტი კვლავ დამნაშავედ მიაჩნიათ, სასიკვდილო განაჩენი, როგორც უკვე ითქვა, 8-წლიანი პატიმრობითა და 800 მათრახით ჩაუნაცვალეს. გარდა ამისა, პოეტმა საჯაროდ უნდა მოინანიოს კიდეც.

ადვოკატი კვლავ განაგრძობს ბრძოლას – სარჩელი კი შეიტანა, მაგრამ სასამართლო ხელისუფლება დუმილს ამჯობინებს. უფლებადამცველების შეფასებით, ფეიადის საქმე შეთითხნილია. არანაირი საქმე არ არსებობს. აშრაფი სიკვდილს გადარჩა, ეს კარგია, მაგრამ 8 წელი ციხეში ჯდომა და 800 მათრახის დარტყმა პოეტური სტრიქონებისთვის – სიგიჟეა!

ახლა შემოქმედ ადამიანებს – მხატვრებს, მწერლებს, მსახიობებს, ჟურნალისტებს – მძიმე დრო უდგათ. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში, შუა აღმოსავლეთში და ჩრდილოეთ აფრიკაში მათი „კანონიერად“ და „კანონგარეშე“ მკვლელობის შესახებ არაერთი ინფორმაცია ვრცელდება. აღარაფერს ვამბობ „ისლამური სახელმწიფოს“, თალიბებისა და სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების ბოროტმოქმედებებზე. და ყოველ ჯერზე გვესმის „ჰიუმან რაით ვოჩისა“ და საერთაშორისო პენკლუბის საპროტესტო ხმები.

ჩვენ სად ვართ? რატომ არ ისმის ჩვენი ხმა პროტესტისა? რატომ არ ავაღორძინებთ ძველ კარგ ტრადიციას? გახსოვთ: „თავისუფლება მანოლისა გლეზოსს!“, „თავისუფლება ნაზიმ ჰიქმეთს!“, „თავისუფლება პაბლო ნერუდას!“

ვინ გვაიძულებს ვიყოთ ჩუმად მაშინ, როცა ჩვენს კოლეგებს, ხელოვანებს, ხანდახან მსოფლმხედველობის გამო სჯიან და გისოსებს მიღმა ამყოფებენ, სცემენ და თავსაც ჰკვეთენ?

ასეთ საკითხში „სხვისი ჭირი, ღობეს ჩხირი“ არ არსებობს.

მანანა ნიკოლაიშვილი: ქვეყანამ, რომელიც ევროპულ სტრუქტურებსა და „ნატოში“ გაწევრიანებას ცდილობს, უნდა იცოდეს, რომ ევროპაში სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი ჩართულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში

„კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული ის ათიათასობით ბავშვი, რომელიც სკოლამდელი აღზრდის სისტემის გარეთაა დარჩენილი. შესაბამისად, არც სამომავლოდ იგეგმება მათი სისტემაში შემოყვანა.“



სკოლამდელი აღზრდის სისტემა მნიშვნელოვანი ცვლილებებისთვის ემზადება–პარლამენტში “ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების” შესახებ კანონპროექტის განხილვა მიმდინარეობს. რა მონაცემებს მალავს ახალი კანონპროექტი და რატომ მიაჩნია ის აღმაშფოთებლად, ამაზე „განათლების ლიგის“ თავმჯდომარე და განათლების ექსპერტი **მანანა ნიკოლაიშვილი** გვესაუბრა:

– როგორც ჩემთვის გახდა ცნობილი, გაეროს ბავშვთა ფონდის „იუნისეფის“ მხარდაჭერით შემუშავებული კანონპროექტი უცხოელი ექსპერტის მიერ დაიწერა. ალბათ, აქედან მომდინარეობს ის უამრავი ნაკლი და ხარვეზი, რომლებზეც თქვენი მკითხველის ყურადღებას გავამახვილებ, თუმცა, მანამდე ერთ კითხვას დავსვამ: **რატომ გვიწერენ კანონებს არასამთავრობო ორგანიზაციები და ქართულ სინამდვილეს მოწყვეტილი უცხოელი ექსპერტები?** მთავრობა და აღმასრულებელი ხელისუფლება რისთვის გვყავს? კანონპროექტზე მუშაობაში ქართველების ჩართვის შემდეგ, დოკუმენტი ცოტა გაკეთილშობილდა, მაგრამ მთლიანობაში კანონის სახე არა აქვს და ძალიან ბევრი რამ აკლია. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ თითქმის ორი ათეული წელია, საქართველოში სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ლიკვიდაცია, დატაცება და ქონების განიავება მიმდინარეობს. წინა ხელისუფლების დროს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების სტატისტიკაც კი დაიხურა იმის გამო, რომ ქსელის 70% ლიკვიდაციაში გაეშვათ. ამ ფონზე, კანონპროექტის განმარტებით ბარათში აღმაშფოთებელი რამ წერია– თურმე, თბილისში 400 ბავშვზე გათვლილი 36 ბაღი უნდა აშენდეს. იცით, როგორ დაიანგარიშეს ასაშენებელი ბაღების რაოდენობა? თბილისში 55 615 აღსაზრდელია. დღეისთვის არსებულ ბაღებში კი 1415 სააღმზრდელო ჯგუფია, სადაც ეს ბავშვები არიან გადანაწილებული. კანონის პროექტით, ბაგის ჯგუფში უნდა იყოს 25 აღსაზრდელი, ხოლო 3-დან 6 წლამდე ჯგუფებში არა უმეტეს 30 აღსაზრდელისა. ახალი ნორმატივებით, 1415 ჯგუფი დაიტევს მხოლოდ 41 250 ბავშვს. ანუ 14 365 აღსაზრდელი ბაღის გარეთ რჩება. აი, ეს რაოდენობა უნდა გადაანაწილონ 36 ახალ ბაღში. ბაღების მშენებლობა 2016 წლიდან უნდა დაიწყოს და 2019 წელს უნდა დასრულდეს.

– **რა არის ამაში აღმაშფოთებელი?**

– აღმაშფოთებელი ისაა, რომ კანონპროექტში არ არის გათვალისწინებული ის ათიათასობით ბავშვი, რომელიც სკოლამდელი აღზრდის სისტემის გარეთაა დარჩენილი. შესაბამისად, არც სამომავლოდ იგეგმება მათი სისტემაში შემოყვანა. **ქვეყანამ, რომელიც ევროპულ სტრუქტურებსა და „ნატოში“ გაწევრიანებას ცდილობს, უნდა იცოდეს, რომ ევროპაში სკოლამდელი ასაკის ყველა ბავშვი ჩართულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში** და განსაკუთრებით, სკოლისათვის მზაობის პროგრამაში. ერთიანი განათლების სივრცეში თუ არ შევედით და საერთო სტანდარტები თუ არ დავაკმაყოფილეთ, რომელ ევროპულ სტრუქტურებზე და ნატოზეა საუბარი? სწორედ იმიტომ იწელება ყველაფერი დროში, რომ მთელი რიგი მოთხოვნები დარგების მიხედვით, შეუსრულებელია. სააკაშვილმა რეფორმამ მარტო თბილისში ერთ დღეს 75 ბაღი დახურა. აქედან მხოლოდ 50 დახურული ბაღი აღიარეს, მაგრამ 50 რა ცოტაა? თითო ბაღის აშენებას დაახლოებით 2 მილიონი ლარი ჭირდება, ანუ **36 ბაღის აშენებისთვის ბიუჯეტმა 72 მილიონი ლარი უნდა გაიღოს. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რატომ არ დააბრუნებინა „ქართულმა ოცნებამ“ ნაციონალურ მოძრაობას მიტაცებული ბაგა-ბაღების შენობები?** 36 ახალი ბაგა-ბაღი ვერ უშველის საქმეს, როცა 25 000-ზე მეტი ბავშვი სისტემის გარეთაა. დიახ, აღმაშფოთებელია, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვების საერთო რიცხვი არ არის დასახელებული. მარტო იმ ბავშვებს ანგარიშობენ, რომლებიც სისტემაში არიან ჩაბმულები, მაგრამ ათიათასობით სისტემის გარეთ მყოფი ბავშვი არსად ჩანს. კანონპროექტის თანდართულ ბარათში არ უნდა იყოს სტატისტიკა, რამდენი სკოლამდელი ასაკის ბავშვი გვყავს და რამდენი დადის კერძო ბაღებში? ეს ბავშვები ხომ იძულების წესით დადიან? რა, არის სახელმწიფო ბაღებში ადგილები და ხალხს კერძო ბაღებში სოლიდური გადასახადების გადახდა უხარია?

– **იქნებ გვითხრათ, ამ მხრივ, რეგიონებში რა მდგომარეობაა?**

– იმავე განმარტებით ბარათში ჩვენ ვკითხულობთ რეგიონების სტატისტიკას, რომელიც გაეროს ბავშვთა ფონდმა წლების წინ გააკეთა. სტატისტიკის მიხედვით, რეგიონების ბაღებში ბავშვთა საერთო რაოდენობა საშუალოდ 62 -ია. აჭარასა და ქვემო ქართლში ერთ ბაღში 100 ბავშვზე მეტი დადის, ბათუმში საშუალოდ 193, ქუთაისში 216, რუსთავში 210, ფოთში 107. ახალციხეში 123, ხაშურში 112 და ა.შ. რაც შეეხება ბაღის შენობებს, იმერეთში 238 ბაღია, კახეთში 205, სამეგრელოზემო სვანეთში 225 ბაღი და ა.შ. აღმზრდელის და ბავშვების თანაფარდობა საშუალოდ არის 1:17. თუმცა, ქვემო ქართლში ძალიან მაღალია და ერთ აღმზრდელზე მოდის 27 ბავშვი, რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში 1:9. ისევე, როგორც დედაქალაქის შემთხვევაში, აქაც არაფერია ნათქვამი იმ ბავშვებზე, რომლებიც არ არიან ჩართული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ქსელში.

– **როგორც ვხედავ, რეგიონებშიც ბაგა-ბაღების დეფიციტია?**

– რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ სოფლებში სადაც იყო, იქაც დახურეს. სოფლებში კი არა, ისეთ მრავალრიცხოვან ქალაქში, როგორიც მარნეულია, მხოლოდ 3 ბაგა-ბაღი მუშაობს. მაშინ, როცა „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული 300-მდე სასკოლო ავტობუსის მიუხედავად, ბავშვების სკოლებამდე მიყვანა მაინც პრობლემად რჩება, თოვლში, ქარში და უამინდობაში, კილომეტრებით დაშორებულ საბავშვო ბაღში ბავშვს ვინ ატარებს? კანონპროექტი არ ითვალისწინებს, რომ უამრავი ბავშვი სისტემის მიღმაა, ამიტომ მისი სტრატეგია ძირშივე მცდარია, როგორც დედაქალაქის, ასევე რეგიონების კუთხით. იმის გამო, რომ არა გვაქვს საჭირო რაოდენობით ბაგა-ბაღები, საქართველოში დარღვეულია სკოლამდელი აღზრდის განათლების მიღების ხელმისაწვდომობის პრინციპი, რაც საქართველოს კონსტიტუციის დარღვევას იწვევს. ამ დროს, ჩვენი სახელმწიფო მიერთებულია ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენციას და სხვა საერთაშორისო აქტებს, რომლებითაც განათლების მიღების უფლება გარანტირებულია. რა კეთდება მდგომარეობის გამოსწორების მიზნით? ის, რომ იწერება ზღაპრები 36 ახალი ბაღის აშენებაზე, მაგრამ არავინ ახსენებს ნაციონალების მიერ მიტაცებულ ბაგა-ბაღების სენობებს. მოვითხოვ, შეიქმნას სახელმწიფო კომისია, რომელიც შეისწავლის ამ საქმეს. აბა, რისთვის მოვიდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში? მარტო იმიტომ, რომ ვიღაცას წართმეული მანქანა დაუბრუნოს? კი ბატონო, ვიღაცის კერძო საკუთრება დაზარალდა და ამასაც მიხედვა ჭირდება, მაგრამ აქ ერის მომავალი ზარალდება.. შევარდნაძის დროს, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებშო ბავშვთა ჩაბმის მაჩვენებელი 42% იყო. ახლა, ალბათ 20-30% არაა. დაბალი მაჩვენებელი იმას ნიშნავს, რომ დარღვეულია ხელმისაწვდომობის ხარისხი! მორჩა და გათავდა!

– **საალმზრდელო ჯგუფებში ბავშვთა ახალი ნორმატივების შესახებ რა აზრის ხართ?**

– ჩემი აზრით, ბაგის ჯგუფ-

ში 25 და 3-დან 5 წლამდე ასაკობრივ ჯგუფებში 30 ბავშვი ბევრია. ბაგის ჯგუფში 20 ბავშვზე მეტი როგორ შეიძლება ? კი ბატონო, დღევანდელი მონაცემებით, თითოეულ ჯგუფში ლამის 60 ბავშვია, მაგრამ სწორედ ამიტომ დავარქვით ამ ჯგუფებს სასიკვდილო მოედნები თავის დროზე. ყველაზე დიდი, 12 ჯგუფიანი ბაგა-ბაღის ტევადობა 180 ბავშვია, მაგრამ სააკაშვილის რეფორმის შემდეგ თითოეულ ასეთ ბაღში გვყავს 800 და 900 ბავშვი.

– რას ითვალისწინებს სასკოლო მზაობის პროგრამა?

– პირველ რიგში, მშობლებს უნდა განვუმარტოთ, რომ ეს არ არის ბაგა-ბაღის პროგრამა. ეს სკოლის პროგრამაა, რომელიც ბაღის პროგრამის დამთავრების შემდეგ იწყება. სასკოლო მზაობის პროგრამის ხანგრძლივობად დადგენილია სამი საათი. ამასთან პროგრამაში ჩართულ 5-დან 6 წლამდე ბავშვებს კვება არ ეხებათ. ეს ყველაფერი შექმნის ძალიან დიდ უხერხულობას, გაუგებრობას და დილემას შექმნის. მშობელს, რომელმაც არ იცის სასკოლო მზაობის პროგრამის არსი, სამი საათის მერე ბავშვის სახლში წაყვანას მოთხოვენ. ამ დროს დასაქმებულმა მშობელმა რა ქნას? ერთი შვილი ბაღში 9 საათით დატოვოს და მეორე 3 საათის მერე წამოიყვანოს? ერთმა ბავშვმა უნდა მიიღოს სამჯერადი კვება და მეორემ არც ერთი? სერიოზულ პრობლემას შექმნის იგივე ფართის დეფიციტიც. ბაღებში სკოლისათვის მზაობის პროგრამისთვის ადგილები არ არის, ამიტომ ეს ბავშვები უნდა განთავსდეს სკოლებში, სადაც არ არის შესაბამისი ინფრაქსტრუქტურა. ამ ასაკის ბავშვს სათამაშო ადგილი უნდა და ჩვეულებრივ საკლასო ოთახში ვერ დასვამ. უნდოდათ, რომ ეს პროგრამა საპილოტე სახით განეხორციელებინათ, მაგრამ იმავე ნაციონალური რეფორმების წყალობით, 1200-ზე მეტი სკოლა დაიხურა და რაც დარჩა, გადატვირთულია და სკოლისათვის მზაობის ჯგუფები ვერ მიიღო. ანუ სკოლებშიც იგივე პრობლემა დგას, რაც ბაღებში, რადგან ხელმისაწვდომობა პირდაპირ დაკავშირებულია შენობების რაოდენობასთან. კანონპროექტიდან ჩანს, რომ სახელმწიფოს ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების სისტემაში საყოველთაობის პრონციპის დანერგვა უნდა. საყოველთაობა ნიშნავს, რომ ყველა სკოლამდელი ასაკის ბავშვი სისტემაში უნდა ჩააბან, მაგრამ სად ჩააბამენ, როცა შენობები არა აქვთ? ბავშვმა სკოლისათვის მზაობის პროგრამა თუ არ გაიარა და საწყისი განათლება არ მიიღო, რომელ ხარისხზე და წარმატებაზე შეიძლება საუბარი?

– კანონპროექტის მიღების შემთხვევაში, სკოლამდელი აღზრდის სისტემაში შემოვა ავტორიზაციის ცნება და ოთხ წელიწადში ერთხელ, ბაგა-ბაღები ავტორიზაციას გაივლიან.

– დიახ, მიღების შემთხვევაში, კანონი 2017 წლის 1 სექტემბრიდან ამოქმედდება, თუმცა დღევანდელ მოცემულობაში ავტორიზაცია სრულიად წარმოუდგენლად მეჩვენება და აგიხსნით რატომ. ჩვენ რომ გქონდეს ნორმალური და გამართული ქსელი, მაშინ ეს ინიციატივა გამართლებული იქნებოდა, მაგრამ როცა შენობების კატასტროფული დეფიციტია, ავტორიზაცია იმ ბაღებსაც კი დახურავს, რაც დღეს გვაქვს. ეს განსაკუთრებით კერძო ბაღებს დააზარალებს. თუ დაფიქრდნენ კანონპროექტის ავტორები რატომ ვერ ტარდება სახელმწიფო სკოლებში ავტორიზაცია და რატომ გადააქვს სახელმწიფოს ეს პროცესი უკვე ლამის 10 წელია? იმიტომ, რომ ინფრასტრუქტურა კატასტროფულ მდგომარეობაში აქვს და სკოლების 90% მოთხოვნებს ვერ დააკმაყოფილებს. მაშინ კერძო სექტორს რატომ „ახრჩობენ?“ ახლა კერძო ბაღებს ჩაუტარებენ ავტორიზაციას, უამრავ ბაღს დახურავენ და კიდევ უფრო მეტი ბავშვი დარჩება სკოლამდელი განათლების მიღმა. ავტორიზაციის ვადად დაწესებულია 4 წელი, რაც ძალიან ცოტაა. უნდა იყოს ან 5 ან 8 წელი. კიდევ ერთი სიახლე, რომელიც შემოდის, ორი წლით ასარჩევი საკონსულტაციო საბჭოა. ეს საბჭო მართავს ფინანსებს, ქონებას, იძლევა რეკომენდაციებს საკადრო საკითხებზე და სასწავლო გეგმაზე. პრაქტიკულად, საკონსულტაციო საბჭოს იგივე ფუნქციები აქვს, რაც სკოლის სამეურვეო საბჭოს. ჩვენ კი მშვენივრად გვახსოვს, რა უბედურება დაატრიალეს სკოლებში არაპროფესიონალმა სამეურვეო საბჭოებმა. გვახსოვს, როგორ დაამუხრუჭეს და დაანგრიეს სასკოლო განათლების სისტემა. კანონპროექტს შემოაქვს აღმზრდელი-პედაგოგის ცნება, რაც სრულიად გაუგებარია და არ ჩანს ბაგა-ბაღების მასწავლებლებს პედაგოგის სტატუსს აძლევენ თუ არა. აღმაშფოთებელია, რომ კანონი არ განსაზღვრავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებას. მარტივად შეიძლებოდა ჩაეწერათ, რომ ხელფასის ოდენობა უნდა იყოს საჯარო მოხელის მინიმალური ხელფასის ოდენობის ან მინიმალური ხელფასის 60%, 65% ან სხვა. ასეთი ჩანაწერი რომ არ არასებობს, იმიტომ არის დღეს ბაღებში 100 და 150 ლარიანი ხელფასი. საუბრის დასასრულს გეტყვით, რომ ზემოთქმულის გარდა, კანონპროექტს სხვა უამრავი ხარვეზი და ნაკლოვანებაც აქვს. თუნდაც ის, რომ არ ჩანს, სად უნდა მომზადდეს და გადამზადდეს პედაგოგი, არ არის გაწერილი სახელმწიფო კონტროლის და მთელი რიგი საკითხები, რაც სასწავლო-აღმზრდელობით პროცესს შეეხება, თუმცა ამაზე საუბარი ძალიან შორს წაგვიყვანს.

კანონპროექტის ინიცირებული ვარიანტის მიხედვით, სკოლამდელი განათლების განხორციელებაში ჩაერთვებიან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (შეიმუშავებს ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტებს. დაადგენს აღმზრდელ-პედაგოგის პროფესიულ სტანდარტს და ა.შ.) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის, სოფლის მეურნეობის და ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტროები. (შეიმუშავებენ ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულებაში სანიტარიულ–ჰიგიენური ნორმების დაცვის დადგენის მიზნით. ტექნიკურ რეგლამენტს დაწესებულებაში სურსათის უვნებლობის წესების დადგენის მიზნით და ა.შ) მუნიციპალიტეტები (თანაბრად ხელმისაწვდომი განათლების მიწოდების უზრუნველყოფა. მშობელთა ჩართულობისა და ბავშვთა და მშობელთა უფლებების დაცვისა და პატივისცემის უზრუნველყოფა. დაწესებულებების საქმიანობაზე მუნიციპალური კონტროლის განხორციელება. დაწესებულებების მიერ ავტორიზაციის პირობების დაცვის შემოწმება და ა.შ)

ნელი თორდია
571 35 36 88

მსოფლიო პრესის მიხედვით

აქილევსის ქუსლი – რუსეთი ცდილობს, თურქეთთან კონფრონტაცია ნატოს ერთიანობის გამოცდად აქციოს

რუსეთისა და თურქეთის კრიზისი „ემუქრება ტრანსატლანტიკურ ალიანსს, მაგრამ ამ შედეგების წინასწარ განჭვრეტა შეუძლებელია“. სარედაქციო სტატიის ავტორები სირიას უწოდებენ „2016 წლის კუბას“. გერმანიის კანცლერის აპარატის სანდო წყაროების თანახმად, „ეს არის პუტინის ჰიბრიდული ომი თურქეთის წინააღმდეგ“, დიპლომატები კი მიანიშნებენ იმაზე, რომ თურქეთისგან აგრესიის გამოვლენისას მას მხარს არ დაუჭერენ. ბევრი სამხედრო ანალიტიკოსის შეფასებით, თურქეთის „აქილევსის ქუსლი“ ქურთთა პრობლემაა.

ცივი ომის ისტორიაში პირველად, მსოფლიო წელს მეტისმეტად მიუახლოვდა ბირთვულ ომს: წითელი ხაზის გადამკვეთი პროვოკაციები, საჰაერო სივრცის დარღვევები, ჩამოგდებული თვითმფრინავი. გამორიცხული არ არის, „შეცდომით“ გაუშვან რაკეტა ან მიწისქვეშა ნავის მეთაურს ნერვებმა უმტყუნოს და დაძაბულობის ესკალაციის ზღვარზე მსოფლიო ომი დაიწყოს.

ნატო იმდენად მიუახლოვდა რუსეთთან კონფლიქტს, რომ სირია შესაძლოა დასავლეთის სამხედრო კავშირისთვის ერთგვარ საჯილდაოდაც კი იქცეს. მოსკოვისა და ანკარის კონფლიქტს ნატოს შტაბბინაში „ფეთქებადსაშიშად“ აფასებენ: ორივე ქვეყნის შეიარაღებული ძალები მოქმედებენ თურქეთ-სირიის საზღვარზე, ხანდახან „ერთმანეთისგან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით“.

როგორ უნდა აიცილოს მსოფლიომ რუსეთსა და თურქეთს შორის დაპირისპირების შესაძლო მძიმე შედეგები?

პუტინისა და ერდოღანის სახით ერთმანეთს უპირისპირდება ორი უპრინციპო ძალაუფლებისმოყვარე, და ორივემ საქმით დაამტკიცა, რომ ექსტრემალურ სიტუაციაში მზად არიან, იარაღი საკუთარ მოქალაქეებს მიუშვირონ. მათ აერთიანებთ ერთადერთი რამ: სინანული დასავლეთთან ჩაშლილი დაახლოების გამო. არიან კი ისინი რაციონალურები? და მთავარი – რის უფლებას მისცემენ საკუთარ თავს? თურქეთმა წინა კვირას სიტუაცია კიდევ უფრო დაძაბა, როცა ქურთებს არტილერიის ცეცხლით შეუტია და სირიაში მიწისზედა ოპერაციები ჩატარების განზრახვა გაუჩნდა.

რუსეთ-თურქეთის კრიზისის ერთ-ერთი საზომია „თავგადაკლული მეგობრების ვლადიმირისა და რეჯებ ტაიპის ახლანდელი მტრობა“. სწორედ იმის გამო, რომ მათ გულითადი ურთიერთობა ჰქონდათ, ახლანდელი განხეთქილება მით უფრო სასტიკია. რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ (ამის გამო ალინსის პარტნიორებისგან თურქეთმა საყვედური მიიღო), პუტინი განიხიბლა ერდოღანით, რომელმაც მრავალჯერ სცადა, კონფიდენციალურობის დაცვით ბოდიში მოეხადა კრემლის პატრონისთვის. პუტინს ეს არ აკმაყოფილებს: მას სურს, თურქეთის პრეზიდენტმა საჯაროდ სთხოვოს პატიება.

ვიდრე სირიის კონფლიქტი ამ ქვეყნის ტერიტორიაზევე მიმდინარეობს, ნატოს ჩარევის საჭიროება არ არის, მაგრამ მერკელი შიშობს, რომ პუტინს სურს თურქეთის პროვოცირება და ამით – ალიანსის გამოცდაც. ამიტომაც დიდი სახელმწიფოების ამოცანაა, არ დაუშვან, თურქეთმა შეასრულოს მუქარა სირიაში შეჭრის შესახებ.

რუსეთი ამასაც სათავისოდ გამოიყენებს – პუტინს უნდა განხეთქილება შეიტანოს ალიანსში და მისი დესტაბილიზაციით იხეიროს: თუ სამხედრო ალიანსის წევრები ვერ თანხმდებიან და დაუფარავად კამათობენ, დაიცვან თუ არა რომელიმე მოკავშირე, ასეთი კავშირი საიმედო ვერ იქნება. ეს პუტინისთვის მართლაც ტრიუმფი იქნებოდა.

გარდა ამისა, რჩება რისკი, რომ რუსეთი რაღაც მომენტში შეუტევს თურქულ პოზიციებს თურქეთის ტერიტორიაზე, და თუ რუსები შურისძიების მიზნით თურქეთს თავს დაესხმებიან, პრობლემა შეექმნება როგორც მეზობელ სახელმწიფოებს (მაგალითად საქართველოს), ისე მოკავშირეებს. ასეთ დროს თურქეთს უნდა ჰქონდეს იმედი, რომ ნატო აამოქმედებს ალიანსის წესდების მე-5 პუნქტს, და თუ მის წევრებს შორის ერთიანობა არ იქნება, გამოვა, რომ პუტინს კვლავ განხეთქილება შეაქვს დასავლეთში. როცა საქმე ეხება რუსეთს, ნატოს 28 ქვეყანას შორის თანხმობა არ არსებობს – არ იციან, რა დაუპირისპირონ აგრესიულ რუსეთს.

Der Spiegel

გარეორსულობა ნატო-თი ანუ შესვლა – არშესვლა, საკითხავი, აი, ეს არის!

აპატურაისა და კელის ფიცისაც მწამს და ხიდაშელი-სტოლტენბერგისაც, მაგრამ ბოლო მაკვირვებს, თუმცა, არც მაინც და მაინც...

საქართველოს NATO-ში შესვლის საქმე ისე გამოაწყო ოკუპანტი რუსეთის ფაქტორმა, რომ NATO-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიმ კიდევ ერთხელ და სხვა დასავლეთელი პოლიტიკური ლიდერების მსგავსად, უკვე პირდაპირ მოგვათხლიშა, რა გააჭირეთ საქმე, თქვენს გამო ჯანზე და მადაზე მოსულ რუსეთს ნამდვილად ვერ გადავიკიდებთო.

დიახ, სხვას არაფერს ნიშნავდა მისი დიპლომატიური ენით ნათქვამი – ვფიქრობ, პროცესს დააზიანებს თუ ყველა პოლიტიკურ შეხვედრაზე Map-ი დასახელდება მიზნად, ეს ქმნის იმედგაცრუებასო; ალიანსის წევრობისთვის, კი, არის აუცილებელი, თუმცა ის არ მოიცავს უსაფრთხოების გარანტიებს, რუსეთისგან მომდინარე რისკების გაზრდას კი გამოიწვევსო; მოკლედ რომ ვთქვათ, მაპ-ატიე ჩემო „თინა და კამპანია“, მაგრამ მოახლოებულ სამიტზეც Map-ის გარეშე დარჩებითოოოო.

ახტა და დაეცა „თინა და კამპანია“, ხან წაღმა იბოდიალეს, ხან – უკუღმა და ბოლოს თინამ დაასკვნა, რუსეთი არსად არ გვიშვებს, ქმნის პირობებს და შემდეგ სხვა ქვეყნებს მიანიშნებს რა ტიპის გადაწყვეტილებებია იმ მომენტში საჭირო, მაგრამ რუსეთის თანხმობა და ნებართვა არ გვჭირდება, საქართველოს დღეს ყველა ინსტრუმენტი აქვს NATO-ში გაწევრიანების გზაზე, ასე გვითხრა ჯერ კიდევ დეკემბერში, ჰოდა, ახლა ჩვენც და მათაც მეტი ძალისხმევის გამოჩენა გვჭირდება, რომ სწრაფად გაიღოს ეს ფანჯარაო.

შემდეგ, რამდენიმე დღე იფიქრა აპატურაიმ და ახლა უკვე აზერბაიჯანის სააგენტო „ტრენდთან“ საუბარში განაცხადა, 2008 წლის კონფლიქტი რუსეთთან ალიანსსი საქართველოს გაწევრიანების საკითხს ართულებს, ამიტომ, ხვალ – ვერა, მაგრამ ეს მაინც მოხდება, ამჯერად ისევ ურთიერთობების გაღრმავებზე ვმუშაობთო.

თუ NATO ალიანსში საქართველოს ჩათრევის პრაქტიკულ ნაბიჯებს გადადგამს, რუსეთი ამას შესაბამისი ზომებით უპასუხებსო – ზუსტად ერთი წლის უკან თქვა ლავროვმა, ვის სჯერა რომ ვინმეს არ ახსოვს, მაგრამ რაღაც, ძალზე ამოუცნობად უცნაურები არიან ეს NATO-ს მიმდევრები...

2008 წლის ბუქარესტის სამიტიდან მოყოლებული, ანუ რასმუსენიდან დაწყებული, საქართველოსთვის NATO-ს კარი ღია იყო, იქ ვერ შევეკვეხეთ სწორედ რუსეთის ფაქტორის გამო, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო ასე მომძლავრებულ-გამომწვევი და ნეტავ, ჩარაზული ფანჯრიდან როგორ უნდა გადავფორთხიალდეთ?

ან, რა „ინსტრუმენტებზეა“ საუბარი, „Map-ზე უკეთესი“ რომ მოგვცეს ამასწინებზე თუ ახლა რომ მოგვცემენ წინანდელისგან განსხვავებულს, უფრო გამყარებულ „რაღაც სხვას“?

სამიტები, იცოცხლეთ – ჩიკაგოს სამიტზე სრულებით არ განიხილებოდა ალიანსის გაფართოებასთან დაკავშირებული საკითხები, მაგრამ „საქართველოს ხედავდნენ როგორც ალიანსის მომავალ წევრს“; იგივენაირად, როგორც 2009 წელს სტრასბურგი-კელის, ასევე, 2010-ში ლისაბონის სამიტზე. ეს კი არა და, „პრინციპულ სიახლეშიც“ კი მოხვდა საქართველო რომელიღაც სამიტის ფარგლებში, ბოსნია-ჰერცოგოვინასთან, მაკედონიასა და მონტენეგროსთან ერთად „აპსირანტებს“ შორის მოიხსენიეს, თანაც, სადღაც შუაში კი არა, სიის თავში და გადავირიეთ ამ „აღმოჩენით“, მერე რა, თუ „აპირანტობის“ სტატუსი არაფორმალური ხასიათისა იყო, სამივე სახელმწიფოს კი, საქართველოსგან განსხვავებით 2009-2010 წლებში ალიანსში წევრობის სამოქმედო გეგმა ჰქონდათ. მთავარი ის იყო, რომ ჰილარი კლინტონმა თქვა, NATO-ს კარი კვლავ ღიად რჩებაო...

მთლად „სასიამოვნოდ გადასარევი“ თბილისში, NATO-ს საპარლამენტო ასამბლეის „როუზ-როსის სემინარზე“ გვითხრა ლიტვის მუდმივმა წარმომადგენელმა ჩრდილო-ატლანტიკურ საბჭოში ლინას ლინკევიჩიუსმა – თავისი არსით, ყოველწლიური ეროვნული პროგრამა (ANP) ფაქტობრივად, იგივეა, რაც წევრობის სამოქმედო გეგმა (MAP), რომლის მიღებაზეც 2008 წლის აპრილის ბუქარესტის სამიტზე უთხრეს საქართველოსო. მაშინ გიორგი ბარამიძე იგივეს გაიძახოდა რასაც ახლა თინა ამბობს, საქართველოს ალიანსში ინტეგრაციისთვის საჭირო ყველა მექანიზმი აქვსო...

წლებია, ისე სხვანაირად აბოდებს „თინას და კამპანიას“ NATO-ზე, რომ აკვიატებაში გადაუვიდათ და აშშ-ის თავდაცვის მდივნის ვიზიტის დროს ქართულმა მხარემ აშშ-ს სირიელი ამბოხებულების საქართველოს ტერიტორიაზე გაწვრთნა შესთავაზა, რაც საქართველოს ელჩმა აშშ-ში არჩილ გეგეშიძემ დაადასტურა და დასძინა, ეს იქნება კონტრტერორისტული საწვრთნელი ცენტრი ნებისმიერი ეროვნების ადამიანისთვისო. გამოცემა Foreign Policy-მ ისღა დაასკვნა, ეს შეთავაზება საქართველოს თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას მიზანს ემსახურებოდა, რომ საქართველო NATO-სთან ურთიერთობის სპეციფიკურ მოდელზე ყოფილიყო, აბა, სხვა რა ეთქვა, რა მაგრად აჟუილებენ ეს ჩემისა ქართველებიო? რეალურად კი, საქართველო მასხრადაგდებული აღმოჩნდა, რაც ყველას ნაცვლად

მოკლედ გამოხატა კარნეგის ცენტრის ექსპერტმა კავკასიის საკითხებში თომას დე ვაალმა: – „ეს ნიშნავს, რომ მართალია NATO-ს წევრობის პერსექტივა არ ჩანს, თუმცა მათ (ქართველებმა) გადაწყვიტეს რომ გააკეთონ ყველაფერი, რათა იყვნენ NATO-ში NATO-ს გარეთო.“

აბა, ვის ახსოვს, Heritage Foundation-ის ავტორი ლუკ კოფი რაზე ამახვილებდა ყურადღებას? – „ზოგიერთი ევროპული ქვეყანა მიიჩნევს, რომ საქართველოს NATO-ში გაწევრიანება გამოიწვევს რუსეთთან ომს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისთვის, მაგრამ საქართველოს ოფიციალური პირები ამბობენ, რომ ალიანსში გაწევრიანებისთვის მზად არიან კომპრომისზე წავიდნენ, რათა ორ ოკუპირებულ ტერიტორიაზე NATO-ს ხელშეკრულების მე-5 მუხლით გათვალისწინებული უსაფრთხოების გარანტიები (NATO-ს რიგი წევრი ქვეყნები „ვაშინგტონის შეთანხმების“ მე-5 მუხლი – ერთ წევრ ქვეყანაზე თავდასხმა ყველა წევრ ქვეყანაზე იერიშის მიტანას უტოლდება) არ გავრცელდეს მანამ, სანამ რუსეთის საკითხი მშვიდობიანად არ გადაწყდება.“

რა შეიცვალა ამ სიტყვებიდან დღემდე? – არაფერი გარდა იმისა, რომ როდესაც ეს დამოკიდებულება იყო საქართველოს ალიანსში გაწევრიანებასა და რუსეთთან მიმართებაში, რუსეთი მსოფლიო მასშტაბით არ ახდენდა საკუთარი სამხედრო ძალის დემონსტრირებას...

აპატურაი არ ვიცი მე, ჩვენ მივიღეთ დამატებითი წინადადებები წევრი ქვეყნებისგან, ნატო-საქართველოს კომისიაზე ყველა ქვეყნისგან მივიღეთ თანხმობა კონკრეტული შემოთავაზებებით, რომელი ქვეყანა, რა მასშტაბით, რა ძალით მიიღებს დამატებით მონაწილეობას იმაში, რაც გვაქვსო, – აგერ ახლახანს, აპატურაის და კელის სეფე-სიტყვების შემდეგ გვამცნო თინამ.

გარედან რომ არაფერი გვატყვია რაიმეს ქონის, ფაქტია, რომც ვამტკიცოთ, გვაქვს რაღაცო, ვინ დაგვიჯერებს, 3 მლნ საქართველოს მოქალაქე მსოფლიოშია გაბნეული საშოვარზე და შიგ რაც გვაქვს, რაში სჭირდებათ, ნეტავ?

ზოგადად კი, ქალბატონმა მინისტრმა იმდენი გაცხადება გამოაცხო „MAP -თან“ დაკავშირებით, რა მოთვლის, მხოლოდ, საინტერესო ის არის, რატომ გასხვავდება მათი შინაარსი 2015 წლისგან განსხვავებით და სულაც, რატომ არის ურთიერთგამომრიცხავი?

ჯეიმს აპატურაის მხრიდან „თინა და კამპანიას“ ცხელ თავებზე ჭირხლმოდებული წყლის დასხმას საქართველოში ამერიკის ელჩის, იან კელის აგურიც დაერთო როცა ბრძანა, საქართველოს უნდა ჰქონდეს ურთიერთობა როგორც ევროპასთან, ისე – რუსეთთან, არჩევანის აუცილებლობა არ არისო; მაგალითად, ჩვენთვის ყველაზე დიდ ბაზარს ევროპა წარმოადგენს,



თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ გვაქვს სავაჭრო ურთიერთობა მექსიკასთან ან კანადასთანო; საკითხის ასე დასმა, ან ევროპა, ან – რუსეთი, არასწორიაო.

ხალხმა გაიხარა, არიქა, აშშ რუსეთთან ნორმალური მეზობლური ურთიერთობის ნებას იძლევა, ე, ბიჯო, დროზე, სანამ გადაუფიქრებიაო, თუმცა ჰალუცინაციის მსგავსმა შეტევებმა იჩინა თავი „ძალიან ნატო-ელებში“ ჯგუფურად და ინდივიდუალურად.

რუსეთი, მისი პროპაგანდისტული მანქანა ძალიან აქტიურად მუშაობს და სწორედ ხელისუფლებას უნდა ესმოდეს, რომ თუ არ იქნება პოლიტიკური სტაბილურობა და პრინციპული დამოკიდებულება ჩვენი ეროვნული ინტერესების მიმართ, ძალიან დიდი შანსია იმისა, რომ საქართველო რუსეთის კიდევ უფრო აქტიური გავლენის ქვეშ იყოს, – ამოთქვა „ნაციონალმა“ გიგი წერეთელმა და მხარი აუბა „ახალმა მემარჯვენე“ მანანა ნაჭყეპიამ, აშკარაა, რომ რუსეთი აფინანსებს გარკვეულ ჯგუფებს არასამთავრობო ორგანიზაციების სახით და ისინი ღიად ეწევიან რუსულ პროპაგანდასო. სხვამაც ბევრი თქვა და ბევრმა, მაგრამ კაცმა არ ჰკითხა რომელიმეს, „უკაცრავად, იან კელი „კრემლის კაციაო?“ ან – „უკაცრავად, თქვენ ვინ გაფინანსებთო?“

ანდა, საკვირველზე საკვირველია – საზოგადოებისთვის მიუღებელი, ზოგ და ხშირ შემთხვევებში დანაშაულში ეჭვმიტანილი პარტიების წარმომადგენლები რომ ეწევიან NATO-სა და ასევე საეჭვო, „რაღაც ევროღირებულებების“ პროპაგანდას;

სააკაშვილის სისხლიანი ხელისუფლება ხალხს რომ სცემდა, ასახიჩრებდა, აპატიმრებდა, აუპატიურებდა, კლავდა და ე.წ დასავლეთი, აშშ და ევროპა ერთხმად „დემოკრატიის შუქურად“ აღიარებდა რეჟიმის თავკაცს, საქართველოს კი დემოკრატიას უქებდა;

მართლმადიდებელ ქვეყანაში მართლმადიდებლური რელიგიას დაკნინება-გაქრობას რომ ლამობს იგივე „ცივილიზებული დასავლეთი“, საუკუნოობით ნალოლიავები ადათ-წესებისა და ზნე-ჩვეულებების მოსპობას;

თაობების უწიგნურებად ქცევას;

არასამთავრობო ორგანიზაციების უდიდესი ნაწილი რომ არაქართული და არახალხური ინტერესების გამტარებელ-გამომხატველია – ე.წ დასავლეთმა რომ ყველაფერი გააკეთა და აკეთებს იმისათვის, რომ ზურგი ვაქციოთ;

აპატურაი NATO-ს სახელით რომ გვიცხადებს, ვერ მიგიღებთ ჩვენთან, რუსეთი საფრთხეებს შექმნისო და ა.შ უამრავი რამ ერთნაირსქესიანთა ქორწინების დაკანონების მოთხოვნის ჩათვლით – ამას, ყველაფერს რუსეთი აფინანსებდა და აფინანსებს თუ არარსებული, ფაქტობრივად, გადაგვარებული ქართული მედია? Dდადასტურებული ეჭვია, რომ რუსეთი არ აფინანსებს, რუსეთი არხეინად ზის და თავის საკეთებელს აკეთებს მსოფლიოში, რატომ შეიწუხებს თავს, მის საკეთებელს იგივე ე.წ დასავლეთი აკეთებს მაქსიმალურად სწრაფ ტემპში და ხარისხიანად.

(„გადაგვარებული ქართული ჟურნალისტიკა“ – სხვა სიტყვა არ მოეძებნება, როდესაც ქართული მედიის „ვარსკვლავს“, ინგა გრიგოლიას რესპონდენტი (ლეონიდ ჩერნოვეცკი) არაერთხელ ეტყვის, რომ ის „აზრზე არ არის“, ან „რა საძაგლობებს ისვრი?“ ან, როდესაც რესპონდენტი (სერგეი ლავროვი) ჟურნალისტებს მიმართავს „თქვენ ხომ ქართველი ჟურნალისტი ქალები ხართ, ჭკვიანი, ლამაზი და დელიკატური – რა დაგემართათ?“ საბედნიეროდ, ყველა არ იცნობს ყველა ე.წ „წამყვან“ ქართველ ჟურნალისტს, თორემ „გადაგვარებული ქართული ჟურნალისტიკა“ მონაგონი იქნებოდა შემდგომ შეფასებებთან...)

მთლად გასაოცარი – ერთ-ერთ ტელევიზიაში ყინწვისის ანგელოზებივით ისხდენ გიგი წერეთელი, ხათუნა ლაგაზიძე, ირაკლი სესიაშვილი და ერთმანეთს თუ ვიღაც სხვებს (ან ყველას ერთად) უმტკიცებდნენ თავიანთ ე.წ „პროევროპელობას“ და როგორც მათი საუბრიდან ჩანდა, რუსეთიდან მომავალ უპირველეს საფრთხედ მასმედიას მიიჩნევდნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთის მიერ ოკუპირებულ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე რომ რუსეთის სამხედრო ძალა დგას და ეს ძალა რომ ქვეყნის დედაქალაქიდან სულ რაღაც 40 კილომეტრითაა დაშორებული, რომელიც თუ დაიძრა, გასისინებული ავტობანით 20 წუთში გვეახლება რუსთაველის გამზირზე – ეს არაფერი ყოფილა;

დასავლეთისკენ მიმავალი ფრთხილი ადამიანი რომ ქვეშეცნეულად მარჯვნივ იხედება, ხურვალეთისკენ, სადაც ცენტრალური გზიდან 400 მეტრში რუსების (ვითომ ოსების) ბლოკპოსტი დგას, ნეტავ, უკანა გზაზე მშვიდობიანად თუ დავბრუნდებიო – ესეც არაფერი ყოფილა;

ევროპელი ლიდერები რომ ერთმანეთს ასწრებენ პუტინთან ვიზიტს – ეს ხომ მთლად არაფერი ყოფილა;

ე.წ გერმანელი ებრაელები რომ საჩივლელად ეწვივნენ პუტინს, მძიმე მდგომარეობაში ვართ გერმანიაშიო – ეს ხომ მთლად არაფრის არაფერი ყოფილა;

ბავარიის პრემიერი რომ პუტინს ანგელა მერკელის პოლიტიკის საპირისპირო მოტივით ესტუმრა – ეს ხომ მთლად არაფერი;

ამერიკელ ქრისტიანთა ლიდერმა რომ პუტინი მთელ მსოფლიოში ყველაზე დიდ დამცველად მოიხსენია, რაც სირიაში ქრისტიანთა გადარჩენაში გამოიხატა – ეს ხომ მთლად უხსენებელი ამბავია და ა.შ რომელი და რამდენი ერთი ჩამოვთვალოთ. არა, რუსული საფრთხე თურმე ქართული მედიიდან მოდის! საინტერესოა, მაინც რომელი მედიიდან, თითს თუ ვერ ადებენ, საწყისი ასოები მაინც გაიმეტონ?

დავიჯეროთ, ვითომ ისეთი ბრიყვები არიან ყველანი ერთად, რომ ყველა სხვა დანარჩენი ჰგონიათ ბრიყვი?

ეგონოთ ის ხალხი ბრიყვი, ვინც ჯერ „გონებაგახსნილი“ იყო, „მიშას“ სურათითა და „5-იანით“ გულზე დარბოდა, თუმცა მალევე დასავლეთის ყველა ის „სიკეთე“ იგემა, რაც ყველაზე ცუდ სიზმარშიც არ დაესიზმრებოდა და დარწმუნდა, რომ „დემოკრატიას“ ვერც შეჭამს, ვერც დალევს, ვერც ტანზე შემოიხვევს;

რომ დასავლური ე.წ დემოკრატია არ არის თავისუფალი არჩევანის უფლება, პირიქით, ხშირ შემთხვევაში კონკრეტული ერისთვის თუ ეთნოსისთვის მიუღებელის იძულებაა;

დეპუტატებსა თუ მინისტრებსაც კი ისინი ნიშნავენ, ვინც დემოკრატიას თავისუფალი ნების გამოხატვად ასაღებენ;

ალბათ, ამიტომ ტრიალებს სოციალურ ქსელში ეს სიტყვები გამუდმებით „მე ყოველთვის მეგონა, რომ დემოკრატია ხალხის ძალაუფლებაა, მაგრამ მეგობარმა რუზველტმა ამიხსნა, რომ დემოკრატია ამერიკელი ხალხის ძალაუფლებას ნიშნავს.“

თუ ვინმე შეეხება იმ მედიასაშუალებ(ებ)ას, რომელიც ანტიქართული დემოკრატიის ღია კურსის ჩამტარებელია, მაგრამ ყოველგვარი უმსგავსობის პროპაგანდისტია, ეს მედიაზე ზეწოლისა და თავისუფალი სიტყვის ჩახშობის მცდელობად შეფასდება, მაგრამ თუ საჭირო გახდება მავანთათვის, ნებისმიერ სატელევიზიო არხს მაუწყებლობას შეუზღუდავენ ან სულაც გაუთიშავენ რაიმე მიზეზით.

მაინც, რა კაკაფონია ატყდა მედიასთან დაკავშირებით, რა დაესიზმრათ ასე ერთად საეჭვო მიზნებისა და მისწრაფებების ე.წ პოლიტიკოსებს, პოლიტიკანებსა და „საყველაფროს ექსპერტობის“ არარსებული მოწმობის გამცემ გაურკვეველი სასწავლებლის კურსდამთავრებულ პირებს მედიაში რუსული პროპაგანდის მომძლავრებასთან დაკავშირებით?

გასულ წელს „საერთო გაზეთმა“, როგორც ყურმოკრული ამბავი, მოკლედ აღნიშნა, რომ იგეგმებოდა აშშ-ის ბიუჯეტიდან უკრაინული, ქართული და მოლდოვას მედიის დაფინანსება რუსული პროპაგანდის საწინააღმდეგოდ და საქართველოში ეს „საქმე“ გიგა ბოკერიასკენ გადამისამართდებოდა. როგორც ირკვევა, 2017 წლიდან მართლაც უნდა გამოიყოს 4,3 მილიარდი დოლარი ამ მიზნით. რა თქმა უნდა, ქართული მედიის დაფინანსება ბლეფია, რადგან ცხადზე უცხადესია, რომ აღნიშნული დაფინანსებიდან წილს მიიღებენ „ნაცმოძრაობისა“ და „რესპუბლიკური პარტიის“ კუთვნილი არასამთავრობო ორგანიზაციები და ცალკეული „ორატორი“ პირები, რაც ჩვეული ამბავია წლების მანძილზე. ისიც ნათელია, რომ ძირითადი ხაზი იქნება კონკრეტული პარტიებისა და ცალკეული პირებისთვის კარგად ნაცნობი იარლიყების მიკვრა: „კრემლის აგენტი“, „ანტიდასავლურად მოაზროვნე“, „წარსულში დაბრუნების მოსურნე“, „რუსულ ჩექმას მონატრებული“ და ა.შ გათვლა იმაზეა, რომ ამ გზით პოლიტიკურ კონკურენტებს ჩამოიტოვებენ და თან აშშ-საც ასიამოვნებენ – საქმეს აკეთებენ.

საინტერესოა, მათგან აზრად არ მოსდის რომელიმეს, რომ შესაძლოა, სრულიად სხვა ეფექტი მიიღონ? თუ ამ დაფინანსების საქმეც იმ მილიარდების კალაპოტში გაივლის, რაღაც მილიარდებს რომ გვაყვედრიან, რომელიც საქართველოს და მის მოსახლეობას თვალით არ უნახავს, არანაირ გაკეთებულ საქმეში არ გამოვლენილა და როგორც ამბობენ, ფულის ჩვეულებრივი „გათეთრება“ იყო, „შემოწირული“ მილიარდებიდან მილიარდობით დოლარი „შემომწირველსვე“ უბრუნდებოდა?

გიორგი ჩხეიძე

რატომ უჩივის იოსებ ჯანდიერი ერთდროულად საქართველოსაც და შვეიცარიასაც და როდის დამთავრდება „ნაცმოძრაობის“ სისხლიანი რეჟიმის დროს დაწყებული მისი ცხრაწლიანი გოლგოთა?

ნაციონალებისთვის მეგობრობა რომ არაფერს ნიშნავს და მხოლოდ პარტიული ინტერესის გამო იცავენ კბილებით ერთმანეთს, სოსო (იოსებ) ჯანდიერის ისტორიაც მოწმობს, რომელსაც 2007 წლის ნოემბრის აქციებისას გამოხატული პროტესტი არ აპატიეს და საციხოდ გაწირეს. პროფესიით იურისტი ჯანდიერი თბილისის პოლიციის მთავარ სამმართველოში მუშაობდა, მაგრამ 2001 წელს, როცა ე.წ. ახალგაზრდა რეფორმატორებმა დამოუკიდებელი პოლიტიკური აქტივობა წამოიწყეს, სამსახური დატოვა და მათ შეუერთდა. სოსო ჯანდიერის მეუღლის, სოფიკო გიორგაძის განცხადებით, სოსო მეგობრობდა პეტრე ცისკარიშვილთან, მისი მეჯვარეცაა, დათა ახალაიასთან, ზურაბ ადეიშვილთან, კოტე კემულარიასთან, კობა დავითაშვილთან, ზვიად ძიძიგურთან, ახლოს იცნობდა მიხეილ სააკაშვილსაც. იგი აქტიურად იყო ჩართული „ვარდების რევოლუციის“ მოვლენებში, „ნაციონალური მოძრაობის“ სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსის თანამდებობას იკავებდა და სახელმწიფო კანცელარიის შენობაში პირველმა თურმე მან შეაბიჯა, თუმცა მალევე მიხვედრილა რა „კეთილი ზრახვებიც“ ამოძრავებდათ „ვარდოსნებს“.

სოფო გიორგაძე: „უდანაშაულო ბიჭების ხოცვა რომ დაიწყეს, ჩემს მეუღლეს შინაგანი პროტესტი გაუჩნდა და საბოლოოდ ჩამოსცილდა თავის ე.წ. მეგობრებს. ისინი ეტყობა სოსოს არც მიიჩნევდნენ ბოლომდე სანდოდ, მისი უანგარო ენთუზიაზმი გამოიყენეს და ხელისუფლების სათავეში მოსვლის შემდეგ, მისთვის უბრალო სამსახურიც ვერ გაიმეტეს. ბოლო წვეთი იყო ნოემბრის აქციები, 4 ნოემბერს ჩემმა მეუღლემ პარლამენტთან გასვლა გადაწყვიტა, ოჯახის წევრები ვაფრთხილებდით, რომ ნაციონალები არ დაინდობდნენ და დაიჭერდნენ, მაგრამ არ მოგვისმინა, თავის დროზე, ნაცმოძრაობის სწრაფი რეაგირების სამსახურის უფროსი იყო, შესაბამისი მოწმობაც თან წაიღო, რომელსაც ხელს ვანო მერაბიშვილი აწერდა. ხალხმრავალ მიტინგს გია თორთლაძე უძღვებოდა (სოსო მასაც კარგად იცნობდა), რომელსაც ამცნო, რომ ხსენებული მოწმობის დახევას და ნაცმოძრაობის რიგების დატოვებას აპირებდა. ბატონ გიასაც უთქვამს, იქნებ არ ღირდეს, შურისძიება გარდაუვალი იქნებაო, მაგრამ სოსომ უკან არ დაიხია, ამის შემდეგ გია თორთლაძემ მიტინგზე გამოაცხადა, რომ სოსო ჯანდიერი ნაცმოძრაობის რიგებს ტოვებდა და მომიტინგეების მხარეს გადადიოდა, რასაც ხალხი ოვაციებით შეხვდა. მიტინგი ტელევიზიით გადაიცემოდა და ცხადია, ნაციონალებმა თავისი თვალით იხილეს ეს „განდგომა“. ეს ყველაფერი ასახულია სტუდია „მონიტორის“ მიერ გადაღებულ ფილმში, რომელიც სოსოს დაპატიმრების შემდეგ ევროკავშირის დაფინანსებით შეიქმნა და დღესაც დევს ინტერნეტსივრცეში. ჩემი მეუღლის პროტესტს, ხელისუფლების მხრიდან მყისიერი რეაგირება მოყვა, ჯერ დედამისის ბინაში მიაკითხა პოლიციამ, სადაც სოსო ოფიციალურად იყო რეგისტრირებული, ხანში შესულ (აწ გარდაცვლილი) ქალბატონს მოატყუეს, რომ წინასაარჩევნოდ აღწერას ატარებდნენ, გაარკვიეს, რომ დიდუბეში ჩემი მშობლების ბინაში ვცხოვრობდით და 13 ნოემბერს სოდ-ის თანამშრომლები ყაჩაღებივით შემოგვიცვივდნენ სახლში. მე ბავშვის სკოლიდან გამოსაყვანად ვიყავი გასული ჩემს უმცროს გოგონასთან ერთად, სახლში სოსო, დედაჩემი და ჩემი და იყვნენ, მათ მომიყვნენ როგორ შევარდა ოცამდე ფორმიანი, სოსო ხელში აყვანილი ისე გამოიყვანეს საძინებლიდან, რომ ჩუსტების ჩაცმაც ვერ მოასწრო. ჩემმა დამ შენიშნა ერთერთმა ფორმიანმა როგორ ჩადო ბალიშის ქვეშ ვერცხლისფერი პაკეტი, რის შემდეგაც კარი გამოკეტეს და იმ ოთახში აღარავინ შეგვიშვეს, სანამ ვითომდა ნივთმტკიცება არ „ამოიღეს“, ჩემმა დამ ისიც დაინახა, „ამოღებამდე“ როგორ ჩაწერა გამომძიებელმა ვასილ ექვთიმიშვილმა ოქმში ნარკოტიკი. „ჩამდების“ ვინაობა არ ვიცი, ე.წ. მოწმეები კი, სოდ-ის თანამშრომლები ზაზა კვირიკაშვილი და თემურ ყოლბაია გახლდნენ. სოსოს მაშინვე დაადეს ხელბორკილი, ჩხრეკა ჩაატარეს და „ნივთმტკიცებიანად“ „მოდულის“ შენობაში გადაიყვანეს, სადაც სასტიკად გაუსწორდნენ. სხვა თანამშრომლებთან ერთად, მას თურმე თავად სოდ-ის შეფი ერეკლე კოდუა და მისი მოადგილეც ურტყამდნენ და აფურთხებდნენ. სოსომ სამი დღე იშიმშილა, წყალსაც არ ღებულობდა, ნარკოტიკი არ გაურიონ და მოხმარებაც არ დამიმატონო, ის ვერსია, რომ სახლში ნარკოტიკი ჰქონდა, ხომ უნდა „გაემყარებინათ“. იგი ისეთი ნაცემი იყო, მთელ სახეზე სისხლნაჟღენთები ჰქონდა, რომ „კაპეზეს“ (წინასწარი დაკავების საკანი) ექიმი არ ღებულობდა, თუმცა იგი აიძულეს და დააწერინეს, რომ თითქოს ეს დაზიანებები ჯანდიერმა დაკავებისას ჰქონდა მიღებული, არადა მას საერთოდ არ გაუწევია პოლიციისთვის წინააღმდეგობა. დაკავების პროცესს ვიდეოკამერით იღებდნენ, მაგრამ სასამართლო პროცესზე არ გამოაჩინეს ეს კადრები, ე.წ. მოწმეებმა გადაღება საერთოდ უარყვეს, როცა შეეკითხეს, მოსამართლე ბადრი კოჭლამაზაშვილმა ყველა დამსწრე დარბაზიდან გამოგვაძევა. სოსოს ბრალად წაუყენეს დიდი ოდენობით ნარკოტიკის („ჰეროინი“) შეძენა-შენახვა და რვა წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

– თქვენი მეუღლე ერთი წლის თავზე მაშინდელმა პრეზიდენტმა შეიწყალა, ნაციონალებს გული რამ „მოულბო“?

- საქმე იმაშია, რომ ეს საქმე თავიდანვე გახმაურდა. სოსო „მოდულის“ შენობაში რომ ყავდათ, იქ ვათენებდი და ვაღამებდი. სტუდია „მონიტორმა“ ევროკავშირის დაფინანსებით სოსოს დაპატიმრებასთან დაკავშირებით ფილმი გადაიღო, სადაც ბატონი გია თორთლაძე ამას ადასტურებს. ზურაბ ადეიშვილი მას შეპირდა, რომ რამდენიმე დღეში მიიღებდნენ გადაწყვეტილებას, მართლაც 2008 წლის 24 ნოემბერს პრეზიდენტის შეწყალების საფუძველზე, ისე რომ ჩემს მეუღლეს თვითონ არ უთხოვია შეწყალება და არც ბრალი უღიარებია, იგი გაათავისუფლეს.

ციხიდან კი გამოვიდა ჩემი მეუღლე, მაგრამ ფაქტობრივად ისევ პატიმარი იყო, სახლიდან ვერ გადიოდა, ხშირი იყო მუქარის ზარები, შვილების განადგურებით გვემუქრებოდნენ, ორჯერ ლამის ავტომანქანა დამაჯახეს, როცა ჩემს შვილთან ერთად მივდიოდი, სოსოს სადარბაზოში ვიღაც ნიღბიანი დახვდა და მძიმე საგნით ფეხი მოსტეხა, უნდოდათ იგი მუდმივად დაშინებული, დათრგუნული ყოფილიყო, ნათქვამიც ჰქონდათ, რომ ჯანდიერი პოლიტიკური მოტივით დაიჭირეს და ამავე მოტივით გაათავისუფლეს. ამდენი წელია ფაქტობრივად, ჯოჯოხეთში ვცხოვრობთ, აღარც საკუთარი ჭერი გვაქვს, ქმარშვილით ჩემს მშობლებთან ერთოთახიან ბინაში ვართ შეხიზნული, სადაც ჩვენს გარდა, კიდევ სამი ადამიანი ცხოვრობს, არა სამსახური, არა რაიმე დახმარება. ნაციონალების მმართველობისას ჩივილს აზრი არ ჰქონდა, ხმა რომ ამოგველო, ჩემს მეუღლეს ციხეში შეაბრუნებდნენ, ამიტომ იგი იძულებული გახდა საზღვარგარეთ გადახვეწილიყო და პოლიტიკური თავშესაფარი ეთხოვა. მანამდე თითქმის ყველა ევროპული ქვეყნის საელჩოს მივმართეთ, მაგრამ უარი მივიღეთ. საფრანგეთის მაშინდელი ელჩის ერიკ ფურნიეს მოადგილე მიშელ ბარონი დაგვპირდა, რომ დარეკავდა საფრანგეთში და გაარკვევდა, მოგვიანებით გვითხრა, თავშესაფარზე უარი გეთქვათო. ვფიქრობ, მოგვატყუა, რადგან უარის შემთხვევაში შესაბამისი დოკუმენტი უნდა მოგვსვლოდა, უბრალოდ არ აწყობდათ და დაბლოკეს ჩვენი საქმე. ბოლოს შვეიცარიის საელჩოს მივმართეთ, ჩვენი განცხადების შემდეგ დაგვიბარეს, კონსული ჟან დანიელი და საელჩოს წარმომადგენელი ანიტა შლოხერი გაგვესაუბრნენ, გაგზავნეს ჩვენი საქმე შვეიცარიაში, ლოდინი თვეები გაგრძელდა. მუქარები არც ამ პერიოდში შეწყვეტილა, ბავშვებს სკოლაში მარტო ვერ ვუშვებდით, სკოლის ბუფეტში ვიჯექი და ვდარაჯობდი, რომ არ გაეტაცებინათ, ორივე ასეთი დათრგუნულები იყვნენ წლების განმავლობაში. 2010 წელს ჩემმა მეუღლემ მეგობრების დახმარებით შეძლო ქვეყნიდან გასვლა და ორთვიანი „ვოიაჟის“ შემდეგ, ტრაილერის საბარგულში შეკუჭულმა ჩააღწია შვეიცარიაში, იქ იმიტომ, რომ მხოლოდ ამ ქვეყნის საელჩომ გაგზავნა ჩვენი საქმე. მერე მივხვდით, რომ შეცდომა დავუშვით, რადგან შვეიცარია თურმე ყველაზე რთულად გასცემს პოლიტიკურ თავშესაფარს. სოსოს გერმანულიც ასწავლეს, იქაური პედაგოგები ოჯახშიც იწვევდნენ, მაგრამ ერთი წლის მერე პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი უთხრეს, იგი მოგვიანებით სადეპორტო ციხეში გადაიყვანეს, სადაც მშრალი შიმშილობა გამოაცხადა, უკვე სიკვდილის პირას იყო, როცა იქაურმა საემიგრაციო სამსახურმა საერთაშორისო ორგანიზაცია „ემნესტი ინტერნეშინელის“ მაღალპროფესიონალი ადვოკატი დენის გრაფი შეუგზავნა. ამ ქალბატონმა ყველაფერი გააკეთა სოსოს ციხიდან გასათავისუფლებლად, ეტყობა არ აწყობდათ ინციდენტი, რომ პატიმარი შიმშილობით მოუკვდათ. ადვოკატი გვარწმუნებდა, ვადა ორი თვე გვაქვს და ყველაფერი დადებითად გადაწყდებაო, სოსო ნორმალურ სასტუმროში გადაიყვანეს, კარგად ექცეოდნენ და იმედი მოგვეცა, რომ შეცდომას გამოასწორებდნენ, რადგან ჩემს მეუღლეს უსაფუძვლოდ უთხრეს პოლიტიკურ თავშესაფარზე უარი. ამ ჰერი-

ოდში საქართველოდან წერილებს აგზავნიდნენ კახა კუკავა, ზვიად ძიძიგური, კობა დავითაშვილი, როინ ხიჯაკაძე, ლაშა ჩხარტიშვილი, ცხონებული იური ვაზაგაშვილი, ნანა კაკაბაძე, თითქმის მთელი არასამთავრობო სექტორი, ბატონი უჩა ნანუაშვილი, რომელიც მაშინ „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ ხელმძღვანელი იყო, პირადად ესაუბრა შვეიცარიის საემიგრაციო სამსახურის წარმომადგენლებს, ყველა ასაბუთებდა რაოდენ საჭირო იყო იოსებ ჯანდიერისთვის პოლიტიკური თავშესაფარი. სოსოსაც უამრავი შესაბამისი დოკუმენტაცია ჰქონდა წაღებული, მათ შორის სოზარ სუბარის 2008 წლის საპარლამენტო ანგარიში, სადაც სოსოს პოლიტდევნილად განიხილავდა, ეს დასკვნა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტსაც ჰქონდა გადაგზავნილი, მაგრამ ამ ყველაფერს არანაირი შედეგი არ მოყოლია. არადა ჩემი მეუღლე საკუთარი თვალით ხედავდა, მხოლოდ პირადობის მოწმობის საფუძველზე რომ გასცემდა შვეიცარია სხვა ქვეყნების წარმომადგენლებზე პოლიტიკურ თავშესაფარს. მერე გავიგეთ, რომ სააკაშვილის ამფსონების ჩარევით, საქართველოდან ხდებოდა დაბლოკვა, ცხადია, მათ გაცილებით დიდი გავლენები და ურთიერთობები ჰქონდათ იქაურ ხელისუფლებასთან. ჩემი მეუღლე ისევ სადეპორტო ციხეში გადაიყვანეს და 2013 წლის ივნისის დასაწყისში, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, დაბმულ

მდგომარეობაში თვითმფრინავის სპეცრეისით ჩამოიყვანეს საქართველოში. ადვოკატი დენის გრაფი საერთოდ დაგვემალა, ჯერ გვითხრეს შვებულებაშია, ჩამოვა და მიხედავს თქვენს საქმესო, მაგრამ ისე ამოიწურა ორი თვე, რომ აღარ გამოჩენილა. სოსო ციხეში ხუთი დღე შიმშილობდა, შუა ღამეზე შევარდნილა პოლიცია მის საკანში, ჩამოაგდეს თურმე საწოლიდან, ხელფეხი გაუკოჭეს (მხრები მუხლებზე მიადებინეს), თავზე ჩაფხუტი ჩამოაცვეს და რამდენიმე საათი, ექიმისა და პოლიციელების თანხლებით, ამ მდგომარეობაში მყოფმა იმგზავრა თბილისამდე. საქმე იმაშია, რომ იქაური სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე მოხდა მისი დეპორტაცია. არ დაგავიწყდეთ, რომ იმ პერიოდში საქართველოს პრეზიდენტი ისევ მიხეილ სააკაშვილი ბრძანდებოდა. მას მერე უარეს შოკშია ჩემი მეუღლე, მან დასავლური დემოკრატიისა და სამართლიანობის მიმართაც დაკარგა ყოველგვარი ნდობა.

- ხელისუფლების შეცვლის შემდეგ თუ მიმართეთ პროკურატურას?

- დეპორტაციიდან მალევე ჯერ სტრასბურგის სასამართლოს მივმართეთ, სადაც ვუჩიოდით, როგორც საქართველოს, ისე შვეიცარიის მხარეს. ხსენებული ორგანიზაციის მთავარი იურისტის თამარ ავალიანის განმარტებით, ევროსასამართლომ წარმატებით მიიღო წარმოებაში ჩვენი სარჩელი, ნომერიც მიანიჭა (74287-13), მაგრამ მოგვიანებით მივიღეთ წერილი, რომელსაც ევროსასამართლოს წარმომადგენელი (რამდენადაც ვიცი მოსამართლეა) გიულუმიანი აწერს ხელს, რომ საქმის განხილვაზე უარი გვეთქვა. სარწმუნო წყაროებმა გვითხრეს, რომ იგი იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის მეგობარია და სწორედ მისი დავალებით გვეთქვა უარი. სხვათა შორის, ჩვენი სარჩელი წარმოებაში რომ მიიღეს და ნომერი მიანიჭეს, ესეც გიულუმიანმა მოგვწერა. თურმე ერთი მოსამართლის გადახედვითა და მსჯელობით, ამ პიროვნებას ჩვენი საქმე იმის ღირსად არ ჩაუთვლია, რომ ევროსასამართლოს განეხილა და საჩივარს უკან გვიბრუნებს. როგორც კი გამოაცხადა მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, რომ მთავარ პროკურატურაში სპეციალური დეპარტამენტი ჩამოყალიბდა, რომელიც ასეთ პრობლემურ საკითხებს გამოიძიებდა, ლამის მეორე დღესვე (2015 წლის 11 მარტი) მივმართე განცხადებით ამ უწყებას. კახა კოჟორიძე მანამდეც გვირჩევდა პროკურატურისთვის მიმართვას, მაგრამ ჩემმა მეუღლემ უარი თქვა, რადგან არ ენდობოდა პროკურატურას, ჩემს საქმეს თაროზე შემოდებენო, ახლა ვრწმუნდები, რომ მართალი ყოფილა. განცხადების შეტანიდან ერთ კვირაში დაგვიბარეს და გამომძიებელმა ჯემალ ლომსაძემ დაგვკითხა მე, სოსო და ჩემი და, კომპენსაციაზეც მოგვაწერინა ხელი, თუმცა თითქმის ერთი წელი გავიდა, მაგრამ საქმე ამაზე წინ აღარ წასულა. რა ოდენობისაა ეს კომპენსაცია ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ევროსასამართლოში გაგზავნილ სარჩელში მითითებული იყო, რომ იოსებ ჯანდიერის მიმართ, ევროკონვენციის რამდენიმე მუხლი დაირღვა, ასევე დამატებითი ოქმების შესაბამისი მუხლები და საბოლოო ჯამში საკომპენსაციო თანხამ 450.000 ევრო შეადგინა, რომელიც ჩვენთვის საქართველოსა და შვეიცარიას უნდა გადაეხადა. სტრასბურგიდან უარის მიღების შემდეგ, დაგვიბარა „ადამიანის უფლებათა ცენტრის“ იურისტმა თამარ ავალიანმა და განგვიცხადა, რომ ევროსასამართლომ თეა წულუკიანის ჩარევის გამო გვითხრა უარი, გიულუმიანი მისი ახლობელიაო, არ აწყობთ, რომ სახელმწიფო ბიუჯეტიდან გავიდეს 450.000 ევრო იქნება თუ მისი მეოთხედიო. ერთი სიტყვით, ძალზე დაიმედებული გამოგვიშვა ცოლ-ქმარი, მაგრამ მერე საერთოდ გაქრა, არც ფეისბუქით მეკონტაქტებოდა და არც ტელეფონით. ბოლოს მე დავურეკე, თუ შეათანხმა უფროსთან ამ „ბრძოლის“ დაწყება, სოსო დაიბარა ოფისში და პირზე დაადგა, მე ამგვარი არაფერი მითქვამს, საიდან მოიტანეო. შეიყვანა სოსო ალეკო ცქიტიშვილის კაბინეტში, რომელიც უჩა ნანუაშვილის წასვლის შემდეგ ხელმძღვანელობს ამ ორგანიზაციას, და ამტკიცა, მსგავსი არაფერი მითქვამსო. ბატონ ცქიტიშვილსაც უბრძანებია, რა თქმა უნდა ჩემს თანამშრომელს უფრო დავუჯერებო. მოკლედ, ცოლქმარი მატყუარებად გამოგვიყვანეს.

ევროკავშირის საქართველოში მყოფ წარმომადგენლობასაც მივმართეთ, ქალბატონი ევა პასტრანა შეგვხვდა, საქმის კურსში ჩავაყენეთ, თუ როგორ დაირღვა ჩემი მეუღლის უფლებები, როგორც საქართველოში ისე შვეიცარიაში და რა რეაგირება მოახდინა ამ ყველაფერზე ევროსასამართლომ. გასაგებია, მაგრამ ჩემი უფლებამოსილება მხოლოდ იმის საშუალებას მაძლევს, რომ განცხადებით მივმართო რაღაც კორექციებთან დაკავშირებით თქვენს მთავრობას, თუმცა გაითვალისწინებენ თუ არა, ვერაფერს გეტყვით. ჩემს უფლებამოსილებას ცოტაც რომ გადავაჭარბო, შეიძლება საერთოდ გაიწვიონ ჩემი მისიაო, გვითხრა ქალბატონმა პასტრანამ. გასული წლის 30 დეკემბერს ისევ მივმართე მთავარ პროკურატურას და ირაკლი შოთაძესთან შეხვედრა მოვითხოვე, რადგან გამომძიებელმა ლომსაძემ ჩემს მეუღლეს უთხრა, რომ იანვარ-თებერვალში საქმე სასამართლოს უნდა გადასცემოდა, მაგრამ უიმედოდაა გაჩერებული. ამ უწყებიდან მაცნობეს, რომ მთავარი პროკურორი ჯერ არ ხვდება მოქალაქეებს. თუ პროკურატურის მხრიდან ეს უმოქმედობა გაგრძელდა, იძულებული გავხდები კარავი გავშალო მთავარი პროკურატურის შენობასთან და ჩემს შვილებთან ერთად დავჯდე, საკუთარი სახლი მაინც არ გვაქვს, იძულებული ვიყავით გაგვეყიდა, რომ შვილები და პატიმარი ქმარი შიმშილით არ დახოცილიყვნენ. კომპენსაციას თუ ჯერ ვერ გვაძლევენ, დაგვასაქმონ მაინც, რომ შიმშილით სული არ ამოგვძვრეს, დაადგინონ ჩემი მეუღლის უდანაშაულობა და მოხდეს მისი რეაბილიტაცია, რატომ უნდა იაროს ამდენი წელი დამნაშავის იარლიყით, თვითონ თუ ვერ გვაკმაყოფილებენ, იმაში მაინც დაგვეხმარონ, რომ რომელიმე ქვეყანაში პოლიტიკური თავშესაფარი მივიღოთ. წინა ხელისუფლებამ ხომ გაგვანადგურა და დაგვმარხა, ახალმა ხელისუფლებამ კი თავისი უმოქმედობით საბოლოოდ მოგვაყარა მიწა, არავინ გამოჩნდა ისეთი, რომელიც თავის თავზე აიღებს ნაციონალების სისხლიანი რეჟიმისგან დაზარალებული ადამიანების რეაბილიტაციას.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

მსოფლიო პრესის მიხედვით

იაცენიუკის სახელობის ჩიხი და „მაიდანი 3.0“

ინფორმაციას უკრაინის პრემიერ-მინისტრ არსენი იაცენიუკისა და მისი მთავრობის არშემდგარი გადადგომის შესახებ ახალ ამბავს ვერც დაარქმევ. ექსპერტების უმრავლესობას თავიდანვე ეეჭვებოდა, რომ ეს მოხდებოდა – პრეზიდენტ

პოროშენკოს ხმამაღალი განცხადებები და დემონსტრაციული მოწოდებები რიტორიკულ დემონსტრაციად ფასდებოდა. იაცენიუკის (რადაში ყველაზე დიდ ფრაქციას აკონტროლებდა) გადადგომის შემთხვევაში კოალიცია დაიშლებოდა, შესაბამისად, პარლამენტის კრიზისი და ვადამდელი არჩევნები გარდაუვალი იქნებოდა. ორ წელიწადში ოთხი არჩევნების ჩატარება უკრაინისთვის ეკონომიკური თვალსაზრისითაც მძიმეა და პოლიტიკურადაც. თანაც, ახლანდელი არჩევნები კარგს არაფერს უქადის პოროშენკოს – ეს იქნება ფიგურების გაცვლა: ერთი არცთუ სახარბიელო იაცენიუკისა, შესაძლოა, კიდევ უფრო მეტად არასახიერბიელო ტიმოშენკოზე ან სადოვიიზე.

ამასობაში სიტუაცია დაიძაბა მაიდანზე. კიევის ცენტრში 2014 წლის ორი წლისთავის აღსანიშნავად შეკრებილებსა და პოლიციას შორის შეტაკებას პოროშენკო პროვოკაციას უწოდებს.

„კრემლის პროპაგანდამ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ ეს დღე სხვანაირი ყოფილიყო. სწორედ ამიტომ ჰქონდათ წინასწარ მომზადებული ლოზუნგები „მაიდანი 3.0“. პროვოკაციის მცდელობა მცდელობად დარჩა“.

რას მოუტანს ხვალინდელი დღე უკრაინას? ისტორია მწარე მაგალითებს გვახსენებს, რომლითაც აშკარად ჩანს, თუ როგორ ეწირება ქვეყნებისა და ხალხების ბედი დიდი სახელმწიფოების დიდ პოლიტიკურ თამაშებს. იმ ხალხებისა, რომლებსაც თავისუფლება და საკუთარი ქვეყნის დამოუკიდებლობა სურთ. 2014 წლის თებერვლის მოვლენების დროს კიევში, დამოუკიდებლობის მოედანზე ათეულობით მოქალაქის დახვრეტის ფაქტმა დაასრულა მშვიდობიანი ეტაპი იმისა, რასაც უკრაინელები „ღირსების რევოლუციას“ უწოდებდნენ, და დაიწყო მომქანცველი და დამანგრეველი კონფლიქტი რუსეთთან...

ბოლო პერიოდში კვლავ გააქტიურდა ბრძოლები აღმოსავლეთ უკრაინაში. დასავლელი ექსპერტები ფიქრობენ, რომ რუსეთი მზად არის „ერთდროულად მზარი დაუჭიროს ორ კონფლიქტს – სამხედრო მოქმედებებს უკრაინასა და სირიაში“.

რა საიდუმლო თათბირები ჩატარდა სკოლებში და ვინ ცდილობს ახალი საგნის დაჩქარებულად მიღებას?

სამინისტრო სხდომის ოქმით გამყარებულ გადაწყვეტილებას ითხოვდა, დირექტორებმა სასწრაფოდ შეადგინეს ოქმები და ყველა მასწავლებლის გვარი ჩაწერეს. ზოგიერთი დირექტორის მონდომება იქამდე მივიდა, რომ ოქმში შვებულებაში და საავადმყოფო ფურცელზე მყოფი პედაგოგების გვარებიც კი ჩაწერეს.

როგორც ჩანს, სკანდალი, რომელიც ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახალი საგნის გამოჩენას უკავშირდება, განათლების სამინისტროს გადაწყვეტილებას ვერ შეაცვლევინებს. ჩვენთვის ცნობილი გახდა, რომ 18 თებერვალს ქვეყნის ყველა საჯარო სკოლაში ჩატარდა პედსაბჭო, რომელზეც დაჩქარებული წესით განიხილეს და მოიწონეს „მე და საზოგადოებას“ ეროვნულ სასწავლო გეგმაში ჩასმა. „საერთო გაზეთს“ თბილისის ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი დაუკავშირდა და იმ პირობით, რომ გაზეთში მის ვინაობას არ გავამჟღავნებდით, საინტერესო ინფორმაცია მოგვაწოდა:

– მოგეხსენებათ, როგორი ხმაური და ვნებათაღელვა მოჰყვა ეროვნულ სასწავლო გეგმაში ახალი საგნის გამოჩენას. „მე და საზოგადოებას“ მიმართ მშობლების და პედაგოგიური კოლექტივების მკვეთრად უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, განათლების სამინისტრო გადაწყვეტილების შეცვლას არ აპირებს . სამინისტროს დავალებით, ყველა საჯარო სკოლაში უნდა შემდგარიყო პედსაბჭო, რომელზეც ახალი საგნის შემოღებით გამოწვეულ აღფრთოვანებას და მისი სწავლებისთვის მზადყოფნას გამოხატავდნენ. 18 თებერვალს ასეთი პედსაბჭოები მართლაც ყველა სკოლაში ჩატარდა, თუმცა სკოლების უმეტესობაში ფიქტიურად.

– რას გულისხმობთ?

– ზოგ სკოლაში რეალურად, მხოლოდ დირექციის წევრები შეიკრიბნენ და გადაწყვეტილება ყველას მაგივრად მიიღეს. ვინაიდან, სამინისტრო სხდომის ოქმით გამყარებულ გადაწყვეტილებას ითხოვდა, დირექტორებმა სასწრაფოდ შეადგინეს ოქმები და ყველა მასწავლებლის გვარი ჩაწერეს. ზოგიერთი დირექტორის მონდომება იქამდე მივიდა, რომ ოქმში შვებულებაში და საავადმყოფო ფურცელზე მყოფი პედაგოგების გვარებიც კი ჩაწერეს. პირადად მე ამ განხილვაში მონაწილეობა არ მიმიღია, თუმცა, ახალი საგნით აღფრთოვანებულ მასწავლებელთა სიაში საკუთარი გვარიც აღმოვაჩინე. როგორც ვიცი, სხვა სკოლებში უარესი კურიოზებიც მოხდა და სიებში ისეთი თანამშრომლებიც შეიყვანეს, რომლებიც კარგა ხანია აღარ ასწავლიან. ფაქტი ისაა, რომ ეს ხალხი არ შეკრებილა და სკოლების უმეტესობაში, სიები ყალბია. კიდევ ერთი პრობლემა ისაა, რომ ერთეულების გარდა, არავინ იცის, ახალ სახელმძღვანელოში რა წერია. სამინისტროს მიერ გადმოგზავნილი და ვებ-გვერდზე განთავსებული ფრაგმენტული მასალა არაფრის მომცემია.

ინფორმაციის გადამოწმების მიზნით, თბილისის რამდენიმე საჯარო სკოლას დავუკავშირდით. ბუნებრივია, იმის იღუზია არ გვქონია, რომ რომელიმე სკოლის დირექტორი პედსაბჭოს ფიქტიურად ჩატარებას და ყალბი ოქმების შედგენას აღიარებდა, თუმცა ის, რომ 18 თებერვალს ახალი საგნის განხილვის მიზნით სკოლებში პედსაბჭოები ჩატარდა, ყველა დირექტორმა დაადასტურა.

169-ე საჯარო სკოლის დირექტორი მარინა დარსაშელიძე:

– ამ საგნის შესახებ ინფორმაცია დიდი ხანია დევს განათლების სამინისტროს ვებ-გვერდზე. ჩემი მასწავლებლები ჩართულები იყვნენ საგნის განხილვაში, იცნობენ სტანდარტს და ამის საწინააღმდეგო არაფერი არ გვაქვს. პირიქით, ჩვენს საზოგადოებას რომ ქცევის წესებისა და უნარების ჩამოყალიბება ჭირდება, ამაში ალბათ დამეთანხმებით. იქ არაფერი ისეთი არ წერია, რასაც შეიძლება სკოლა ეწინააღმდეგებოდეს.

64-ე საჯარო სკოლის დირექტორი თამარ მამსიკაშვილი:

– ვფიქრობ, კარგია, რომ საგნის სტანდარტის სამუშაო ვერსია ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა. კარგია, რომ მის განხილვაში მარტო ჩვენი სკოლა კი არა, საქართველოს მასშტაბით, ყველა სკოლა ჩაერთო და პედაგოგების მოსაზრებებიც იქნება გათვალისწინებული. მასწავლებლებისთვისაც საინტერესოც იყო, რომ განხილვა ჩატარებულიყო. პედაგოგების უმეტესობამ საგანი დადებითად შეაფასა. რა თქმა უნდა, იყო მოსაზრებები შემდგომ, პრაქტიკაში როგორ განახორციელებენ, თუმცა, საერთო ჯამში, პროექტი დადებითად შეფასდა.

სპეციალისტებისა და პედაგოგების ნაწილს მიაჩნია, რომ ახალი საგნის სტანდარტით გაწერილი საკითხები (მაგ: პირადი ჰიგიენისა თუ ოჯახის წევრთა მიმართ დამოკიდებულების საკითხები) ოჯახში უნდა ისწავლებოდეს და არა სკოლაში. გამორიცხული არაა, რომ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, სკოლასა და ოჯახს განსხვავებული პოზიცია ჰქონდეთ, რაც მოზარდის ოჯახთან გაუცხოვებას და კონფლიქტის პროვოცირებას გამოიწვევს. საზოგადოების ნაწილი უფრო შორს მიდის და დარწმუნებულია, რომ ახალი საგნის სწავლება მომავალი თაობის მამათმავლური ცნობიერებით მოწამვლას, გარყვნას და სარწმუნოებრივ-ეროვნული ცნობიერების გადაგვარებას ისახავს მიზნად.

ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ ვივარაუდოთ, რატომ არ აქვს განათლების სამინისტროს ასეთი პრინციპული პოზიცია სხვა საგნების მიმართ. განსაკუთრებით იმ პირობებში, როცა სკოლების უმეტესობაში არ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა და მნიშვნელოვნად შემცირებულია სხვა, არანაკლებ მნიშვნელოვანი საგნების სასწავლო საათები. ბუნებრივია, იმითაც დავინტერესდით, რა იციან სამინისტროში 18 თებერვალს ფორსირებულად ჩატარებული პედსაბჭოების შესახებ და კომენტარისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს დავუკავშირდით. უწყებაში განმარტეს, რომ ახალი საგნის სტანდარტის სკოლებისთვის გადაგზავნა და პრაქტიკოს მასწავლებელთა შენიშვნებისა და რეკომენდაციების მოსმენა მიღებული პრაქტიკაა და სამინისტრო ყველა შენიშვნას და რეკომენდაციას ითვალისწინებს:

ჩვენი მხრიდან დირექტივა, რომ სკოლებს კრებები და პედსაბჭოები ჩაეტარებინათ, არ ყოფილა, თუმცა მიგვაჩნია, რომ ძალიან კარგია, რომ სკოლები ამ პროცესში ჩართულები არიან. „მე და საზოგადოების“ სტანდარტის ბოლო ვერსია გადაეგზავნა ყველა სკოლას იმისათვის, რომ პრაქტიკოს მასწავლებლებს საკუთარი შენიშვნები და რეკომენდაციები მოეწოდებინათ. ასეთი რამ მუდმივად ხდება. სამინისტრო ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს არ იღებს და ყველას აზრს ითვალისწინებს. ამას აქვს სისტემატიური ხასიათი, იმიტომ, რომ ჩვენ დაბამთავრეთ მუშაობა ახალ ეროვნულ სასწავლო გეგმაზე, საგნების განხილვის გარეშე კი დანერგვა არ ხდება.

რატომ არ ითვალისწინებს დემოკრატიულობაზე პრეტენზიის მქონე უწყება ახალი საგნის სწავლების მოწინააღმდეგეთა მოსაზრებებს და რა მზაკვრული გეგმა იმალება უწყინარი სათაურის მქონე საგნის მიღმა? ამაზე „საერთო გაზეთს“ „გაერთიანებული დემოკრატიული მოძრაობის“ წარმომადგენელი დიმიტრი ლორთქიფანიძე ესაუბრა:

– სანამ თემასთან დაკავშირებით, საკუთარ მოსაზრებას გაგიზიარებდეთ, გეტყვით, რომ ორიოდე დღის წინ პარლამენტში მივედი, რომ გამეგო, ერთხელ მაინც თუ ჩატარდა სხდომა განათლებისა და მეცნიერების კომიტეტში აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. აღმოჩნდა, რომ ასეთი სხდომა არ ჩატარებულა, სამაგიეროდ, გუშინ განათლების სამინისტროდან პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე შევიდა წერილი, რომლითაც ითხოვენ თემაზე საჯარო განხილვების დაწყებას. როგორც ვიცი, 29 თებერვლისთვის აპირებენ, რომ განხილვები დაჩქარებული და ფორსირებული წესით ჩაატარონ. რაც შეეხება ინფორმაციას იმის შესახებ, რომ სკოლებში ფიქტიურად ჩატარდა პედსაბჭოები და შედგა ყალბი ოქმები, ეს არ არის ჩვეულებრივი გადაცდომა ან სამსახურეობრივი უფლებამოსილების უბრალო გადამეტება. ეს არის სისხლის სამართლის დანაშაული. მთელი საზოგადოების შეცდომაში შეყვანა ხდება და საზოგადოებამ უნდა იცოდეს, ვინ არის ამის ინსპირატორი. გარკვეულ ძალებს ქვეყანაში ძალიან დიდი ფული აქვთ შემოტანილი. მიმდინარეობს ამ გრანტების ათვისება და გეიზაციის პირდაპირი პროპაგანდა. წარმოიდგინეთ, ჯერ საგნის სტანდარტი და სახელმძღვანელო არ არსებობდა და მაია მიმინოშვილის ცენტრში აქტიურად მიმდინარეობდა ამ საგნისთვის პედაგოგების გადამზადება. თავად პედაგოგებმა თუ არ ამოიღეს ხმა, ესენი მართლა დაგვამხობენ თავზე ყველაფერს.

– პედაგოგები დიდი ხანია საუბრობენ იმაზე, რომ კატასტროფულად შემცირებულია ძირითადი სასწავლო საგნებისთვის გამოყოფილი საათები. უამრავ სკოლაში საერთოდ არ ისწავლება ქართული ენის გრამატიკა, თუმცა სამინისტროს მხრიდან ამაზე რეაგირება არ არის.

– ეს არის კულტურული ინტერვენცია, რომელსაც გარკვეული ძალები ახორციელებენ ქართულ სახელებსა და გვარებს ამოფარებულ ადამიანთა ხელით. ამ ადამიანებს არავითარი კავშირი რეალურ ეროვნულ ინტერესებთან არ გააჩნიათ. „მე და საზოგადოებამ“ უნდა წაიღოს ისეთი საგნების საათობრივი უზრუნველყოფა, როგორიც არის ქართული ენა და ლიტერატურა, მატემატიკა, ისტორია და ა.შ. ამაზე მართლაც განგაშის ზარებია დასარისხებელი. საზოგადოებამ უნდა იცოდეს იმ ადამიანების სახელები, ვინც ეროვნულ სასწავლო გეგმას ამტკიცებს. ვინ არიან, რა ინტერესებით საზრდოობენ, რა კავშირი აქვთ ეროვნულ და ნაციონალურ ინტერესებთან და ხომ არ ახორციელებენ მიზანმიმართულ, მზაკვრულ გეგმას, რომელიც ითვალისწინებს, რომ ზნეობა და ღირებულებები გამოუცვალონ ჩვენს მომავალ თაობას. ეს არ არის მხოლოდ ლიტონი სიტყვები და ვარაუდები და მტკიცდება იმ ქმედებებით, რასაც ქალბატონი თამარ სანიკიძე თანამძრახველებთან ერთად სისტემაში ახორციელებს. ამის ნათელი დადასტურება გახდა თამარ სანიკიძის შეხვედრა პრემიერ მინისტრთან, როცა საქართველოში პროფესიული განათლების პერსპექტივები განიხილეს. მინისტრმა ისაუბრა გერმანულ მოდელზე, როცა სამუშაო ადგილები კატასტროფულად მცირდება, ინდუსტრია ფაქტობრივად მკვდარია, არ არსებობს კანონი პროფესიული განათლების შესახებ და რეალურად, რეფორმა არ განხორციელებულა.. ეს არის წინასაარჩევნო ბლეფი, რომელსაც განათლების მინისტრი ახორციელებს. მინდა მჯეროდეს, რომ პრემიერი შეცდომაში შეიყვანეს და ის ამ შეცდომას აუცილებლად გამოასწორებს.

ნელი თორდია
571 35 36 88

რამ გადარია „რესპუბლიკელები“ – რა თქვა გოგი თოფაძემ ისეთი, რაც აქამდე მათი მისამართით არავის უთქვამს?

„რესპუბლიკელების“ „ბიაზი გასკდა!“ დიახ, „ბიაზი გასკდა“, უფრო ზუსტად, „რესპუბლიკურმა პარტიამ“ უპირველესად თვითონ გაუჩინა „ამერიკული ტექნოლოგიებით“ გადაჭიმულ ბიაზს ნახეთქები, ახლა კი, გოგი თოფაძესთან დაუსრულებელი „პაექრობის“ გამო, საბოლოოდ გაეხა. სალაპარაკო მიეცა ხალხს, რომლებსაც, თუ მანამდე „სულ ერთია“ დამოკიდებულება ჰქონდა „მრეწველების“, კონკრეტულად კი გოგი თოფაძის მიმართ, დღეს აცხადებს „იმდენი ქნეს „რესპუბლიკელებმა“, თოფაძისტი გამხადესო – გადახედეთ სოციალურ ქსელ „ფეისბუქს“ და თავადვე დარწმუნდებით.

ნიკოლოზ მჟავანაძე: – „დღეს რომ საპრეზიდენტო არჩევნები იყოს, გოგი თოფაძეს წარმატების დიდი შანსი ექნებოდა, რადგან მან, განსხვავებით თავისი კოლეგებისგან, ამხილა ქართველთმოძულე ძალა.“

დათო გუდიაშვილი: – „გოგი კარგი კაცია, ოღონდ არც ერთი ნაბიჯი უკან საქართველოს მტრებთან ბრძოლაში!“

ემზარ კურტანიძე: – „სიმართლეს რომ იტყვის კაცი, მაშინვე გნიასი ატყდება ხოლმე. ასე იყო პრეზიდენტთან მიმართებაშიც – ითქვა ის, რაც დაწერა მარგველაშვილმა და ატყდა კავკავი იმაზე კი არა, რატომ დაწერა პრეზიდენტმაო, არამედ, რატომ თქვა თოფაძემო. უკუღმა დაბანი, რომელსაც აზრი არ აქვთ და ვერ ჩამოყალიბებულან... სკამის და ფულის გამო აზრს რომ ვერ აფიქსირებენ ეს არის უკეთესი? დიახ, გულწრფელობა მირჩევნია სიყალბეს! დიახ, სოლიდარობა ბატონ გოგის!“

ირმა ინაშვილი: – „პოლიტიკური ხვრელი“ დავით ბერძენიშვილი გოგი თოფაძეს მოუწოდებს დატოვოს პარლამენტი – თოფაძე დესტრუქციული ძალააო. ქართველი ხალხის ნდობა და ლეგიტიმაცია რომ არ გაქვთ, ბატონო პოლიტიკურო ხვრელო, თქვენ, თქვენმა პარლამენტის თავმჯდომარემ და არჩევნების გამყალბებელმა მინისტრებმა დატოვეთ თანამდებობები, უფრო ზნეობრივი და ლოგიკური არ იქნება?“

ეს მხოლოდ უმცირესზე უმცირესი ამონარიდებია სოციალური ქსელიდან, რომელიც სწორედ იმ

კადრი ფილმიდან „ცისფერი მთები“

დებულები არიან ეს ცივსისხლიანები...“

მარინა გოგიჩაიშვილი: – „გოგიმ თქვა ის, რასაც ქართველების უმრავლესობა ვფიქრობთ, სიმართლე, რომელიც არ უყვართ ცრუ და ფარისევლებს“

ლადო სადღობელაშვილი: – „ე.ი რა გამოდის – იყო გულწრფელი, თუნდ პოლიტიკოსი ანდა პარლამენტარი, მიუღებელია და გამიჯვნასა და გარიყვას ექვემდებარება? თუ ხარ მედროვე, ყალბი, ყურმოჭრილი მონა, არ გაგაჩნია შენი აზრი, ან გაგაჩნია და არ გამოხატავ – ეს მეტად დასაფასებელია! ის, რომ ამ პიროვნებას აქვს ანტინაციონალური და პროეროვნული სულისკვეთება, ეს ცხადია და ამას ვერ დავუკარგავთ! არა, ბიჭო, ის ყალბი „ტიპები“ არიან უკეთესამომრჩევლის აზრებს გამოხატავს, რაც საარჩევნო ყუთთან ფიქსირდება ხმებად.

მაინც რომ არ ჩერდებიან „რესპუბლიკური პარტიიდან“ კონკრეტული პირები? ნუთუ ერთი „მეჭიაური“ არ ჰყავთ პარტიაში რომ ძმებ ბერძენიშვილებისთვის შეეძახათ, წაუყრუეთ თოფაძის ნათქვამს, თორემ განავალ-განავლელი საქმიანობა უფრო აგიმყარალდებათო?

„მინდა, საზოგადოებამ იცოდეს, რომ ორკესტრირებული კამპანიაა საქართველოს თავდაცვის მინისტრის მიმართ და სამიზნედ შერჩეული იქნა ევროატლანტიკურ ასპარეზზე ჩვენი ხელისუფლების თანამდებობის პირი. გოგი თოფაძის მიერ პარლამენტის შიგნით თუ მის გარეთ, მხარდამჭერების თუ შემკვეთების შესრულებით, მიმდინარეობს ანტიკოალიციური, ანტისახელმწიფოებრივი, ანტიქართული კამპანია... ასეთ ვითარებაში მე ვიცავ ჩემს ხელისუფლებას და ჩემს თავდაცვის მინისტრს, – განაცხადა რეზო ამაშუკელის მიერ „ენაგადმოდგებულ ვარანად“ სახელდებულმა დავით ბერძენიშვილმა.

ერთი – სამშობლო და საკაშვილია განუყოფელი ცნება და მეორე – „რესპუბლიკური პარტია“ სახელმწიფოებრივი და ქართული...

ბატონმა ბერძენიშვილმა (ამჯერად, ლევანმა) ბრძანა, თოფაძეს თუ დაბალი ღობე ვგონივარ, არ შეცდეს, ვურჩევ – საპნის ქარხნის დირექტორებთან გასარჩევი კაცი არ ვარო.

საპნის ქარხნის დირექტორობა რატომ არის სამარცხვინოდ წამოსაძახებელი, ყოვლად გაუგებარია... ყოველ შემთხვევაში, ადექვატური პასუხი არ არის იმისა, რაც გოგი თოფაძემ გაიხსენა – როგორ „ჩაუშვა“ „ძნელბარე დისიდენტმა“ ბერძენიშვილმა საბჭოთა უშიშროებასთან მეგობრები და შეყვარებული. არადა, არ უთქვამს ბატონ ლევანს, რას მაბრალებს, არასოდეს ვიცნობდი ვინმე ვახტანგ ძაბირაძეს, ვახტანგ შონიასა და ვინმე ზამბახიძესო...

„...ნუ იჩემებენ, რომ ესენი („რესპუბლიკელები“-გ.ჩ) არიან წამყვანი გუნდი ჩვენ კოალიციაში. პირიქით, მე მეტს გეტყვით – ვერსად მარტო ვერ იყრიან კენჭს. ესენი ისე სძულს საქართველოს მოსახლეობას, მურვან-ყრუ რომ იყო, ისე არ სძულდათ, როგორც ესენი. ამიტომ, ესენი ვერ გაბედავენ ცალკე რომ გავიდნენ, ეგენი ვიღაცას უნდა ჩამოეკიდონ“, – თქვა გოგი თოფაძემ კიდევ ერთი ჭეშმარიტება, მაგრამ რა თქვა ისეთი, რაც ჯერ არავის უთქვამს, ან უთქვამთ, მაგრამ ადრესატებამდე არ მისულა? აბა, რამ აჯაგრათ?

ნუღარ გამოვედევნებით კიდევ ვინ რა თქვა ღიად და დაუფარავად; ვის არ ეშინია ან პირიქით, Eეშინია რაღაცის ან ვიღაცის, ამიტომ პირი ვერ გაუღია, ენა გადაუყლაპავს; ვინ „КГБ-ს“ აგენტი იყო, კონკრეტული პირები, მეგობრები და შეყვარებული „ჩაუშვა“, რის გამოც ახლა ძმები

„სტუკაჩოვები“ შეერქვათ და ა.შ მხოლოდ ის აღვნიშნოთ და ისიც ძალზე მოკლედ, რაც ხალხის განწყობას გამოხატავს, ამჯერად, უკვე „რესპუბლიკური პარტიის“ მიმართ:

ხათუნა ხოფერია: – „ისე, რამდენჯერ უნდა აეკიდონ „რესპები“ ხან „ქარტია-91-ს“, ხან – „მრეწველებს“, ხან „ნაცებს“, ხან „ოცნებას“? ძუკნა ძაღლის თვისებაა აკიდება...“

რამაზ გოჩიაშვილი – „ვინ არიან ეს „რესპუბლიკელები“, ეს ჩემის გადანგრეულები, ამათი ყიზილბაში გაგება ვატირე, ტოო!..“

ნატო კვიცარიძე: – „რა გახდა ეს „რესპუბლიკელები“, რით ვერ უნდა გადაშენდა ეს სექტა?“

„ლაშა გურაშვილი: – „ბინძური „ძია სემი“ მფარველობს მაგათ და მაგიტომაც ვერაფერს ვუხერხებთ. გველები არიან ჭრელი, ვერ გაიგებ როდის დაგგესლავენ“

ნანა ზუმბულიძე: – „არავინ ხმა არ უნდა მისცეს „რესპუბლიკელებს“, მაგათი ჯიში კი ამოვარდა – ნაგავი ბერძენიშვილები... ეგ უნდა მოითხოვოს ყველა ქართველმა!“

მალხაზ ძიძიგური: – „უკვე მერამდენედ მოვუწოდებ „ოცნებას“ – გაყარეთ კინწისკვრით „რესპუბლიკელები“, თორემ ისეთ დროს გიმტრობენ და ჩაგცემენ ზურგში „ნაცურ ცოცხს“, როცა ყველაზე მეტად მტკივნეული იქნება თქვენთვის. გადახედეთ „ფეისბუქს“ და მიხვდებით მათ მიმართ ხალხის დამოკიდებულებას. გაყარეთ“!

ბატონმა ლევან ბერძენიშვილმა ბრძანა ერთხელ: „მე იურისტების საყვარელი ლათინური გამოთქმის მომხრე ვარ „იყოს სამართალი და დაინგრეს სამყაროო“. იგივეს ითხოვს ხალხი ხან გოგი თოფაძის პირით, ხან ირმა ინაშვილის, ხან სანდრო ბრეგაძის, ხან ზვიად ტომარაძის, ხან პოლიტპატიმრების, მოკლულების ჭირისუფლების და ა. შ ხან ვისი და ხან ვისი პირით, მაგრამ ამ შემთხვევაში სამართალის მომხრე კი არ არის, პირიქით, საკაშვილსა და დემოკრატიას ღიად დაუდგამამად, დემოკრატიის მე-2 კლასში ვართ და საკაშვილის არდაჭერა გადაგვახტუნებს მე-4-შიო, ხოლო დაჭერით, ისევ ნულოვან ჯგუფში აღმოვჩნდებითო.

„ე მაგ მოდღლეძილ ლაშებში,
ენას ვერ იტევ, წყეულო,
საგინებლადაც არ ღირხარ,
შე, ვაჟას გადანგრეულო!“

ამ სიტყვებით მიულექსა ხევსურმა კაცმა ლევან ბერძენიშვილს ვაჟა-ფშაველას შეურაცხყოფისთვის, ბერძენიშვილმა მრავალაზროვნად სწორედ „ფეისბუქით“ უპასუხა გოგი თოფაძეს (ფაქტობრივად, ხალხს) ფრანსუა ვიიონის ლექსით:

ტაეპი სიკვდილმისჯილი ვიიონისგან თქმული:

ფრანსუა ვარ, საქმე ხრაკი,
ვიბრიდები ხმარაკრაკი,
კიდეც ვნახავ ჩემი კისრით,
რას იწონის ჩემი ტრაკი.

დიახ, აქვს უფლება ბატონ ლევან ბერძენიშვილს ტრაკიც ტრაკად ახსენოს და უარესიც თქვას, რადგან ეს ის 3%-იანი ჩამშვები კაცია გამოჯგიმული საოცნებო სკამზე საოცნებო ჰონორით, წაწვრილებული კისრითა და გალეული ტრაკით, რომელმაც, სანამ „ქართულ ოცნებას“ შეეტენებოდა, ასე იგველა: „ეს საქართველოში პირველი შემთხვევა არ არის, როცა ბიზნესმენი პოლიტიკაში მიდის. დაახლოებით უკვე შეგვიძლია ვივარაუდოთ ხმების რამდენი პროცენტის აღებას შესძლებს ივანიშვილი არჩევნებში – 7%-ის და ეს მაქსიმუმია ისევე, როგორც პატარკაციშვილის შემთხვევაში მოხდა. იმის, რომ ივანიშვილი, როგორც პოლიტიკური ლიდერი საქართველოს ისტორიას შეცვლის, არ მჯერა!“

საქართველოსთვის – არა, მაგრამ პირადად ლევან ბერძენიშვილისთვის, ზოგადად „რესპუბლიკელებისთვის“ ხომ შეცვალა ისტორია, ისეთ სიმაღლეებზე აათრია, ყველაზე კარგ სიზმარშიც რომ ვერ ნახავდნენ...

„რესპუბლიკელების“ ბიაზი გასკდა. „ოცნება“, მარკშეიდერები გჭირდებათ, თორემ ნანგრევებში მოყვებით!..

გიორგი ჩხეიძე

გიორგი ქადაგიძის შვიდწლიანი საქმიანობით, რომელმაც ქვეყანას მილიარდობით ზარალი მოუტანა, აუცილებლად უნდა დაინტერესდეს პროკურატურა

რაც ქადაგიძე იყო, გვენეტაძეც ის არის და იმას გააკეთებს, რასაც ქადაგიძე აკეთებდა

გვესაუბრება საბანკო საქმის ექსპერტი, პროფესორი **ლია ელიავა:**

– ქალბატონო ლია, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა. როგორ შეაფასებთ ქართულ საფინანსო სივრცეში ირაკლი ქადაგიძის შვიდწლიან მმართველობას?

– უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, „ეროვნული ბანკის“ საქმიანობა, წარმატებულად ნამდვილად ვერ შეფასდება, რადგანაც „ეროვნული ბანკი“ ქვეყნის ეკონომიკურ ცხოვრებაში ნაკლებად მონაწილეობდა. ანუ, იგი, ფაქტობრივად, თავისი ფულად-საკრედიტო და სავალუტო პოლიტიკით, ქვეყნის ეკონომიკურ წინსვლას, ხელს ვერ უწყობდა. ერთადერთი, რასაც 2014 წლის შემოდგომამდე ზედმიწევნით ახორციელებდა, ეს სავალუტო კურსის დაჭერა იყო. დადებითი მომენტების გახსენება, რაც ეკონომიკასთან და არა მათ შიდა, ვიწრო უწყებრივ პრობლემებთანაა დაკავშირებული, ძალიან მიჭირს. რაც შეეხება უარყოფით მომენტებს, ასეთი სამწუხაროდ, ძალიან ბევრია. პირველ რიგში, აუცილებლად უნდა ითქვას ფასების სტაბილურობის ამოცანის შეუსრულებლობაზე, რასაც უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე ადგილი აქვს, ანუ, ფაქტობრივად, ეს ორგანული კანონის მოთხოვნის შეუსრულებლობა, მისი სისტემატურად რღვევაა. შედეგად, ვალდებულება, რომელიც „ეროვნულმა ბანკმა“ საკუთარ თავზე აიღო – ინფლაციის თარგეთირება, ვერ მოახერხა. შესაბამისად, მისი მთავარი ამოცანისა და კანონის მოთხოვნის შესრულების კუთხით, „ეროვნული ბანკი“ საკმაოდ წარუმატებელი იყო. ასევე, აუცილებლად უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი დიდი წარუმატებლობა – ესაა ქვეყნის დოლარიზაციის მაჩვენებლის შეუმცირებლობა და პირიქით, მისი ზრდის ხელშეწყობა. საქართველოში, ასეთი მაღალი დოლარიზაცია რომ არ ყოფილიყო, სავალუტო კურსის რყევები ვერც მოსახლეობაზე, ვერც ბიზნესის საქმიანობაზე გავლენას ვერ მოახდენდნენ და ბედნიერი, წარმატებული ერი ვიქნებოდით. „ეროვნულმა ბანკმა“ საფუძველი შექმნა იმისათვის, რომ ქვეყანაში დოლარიზაციის მაჩვენებელი გაზრდილიყო და უფრო მეტიც, მან ფაქტობრივად, დოლარიზაციის მაჩვენებელთან ბრძოლა, აბსოლუტურად, შეუძლებელი გახდა.

– რამდენად შეეძლო „ეროვნულ ბანკს“ სავალუტო კრიზისის თავიდან აცილება?

– „ეროვნულ ბანკს“ შეეძლო სავალუტო კრიზისის არდაშვება კომერციული ბანკებისათვის უცხოური ვალუტის მიწოდებით. ანუ, როდესაც ვარდნა დაიწყო, ეს ქვეყნიდან კაპიტალის გაქცევის პირველი ნიშნები იყო. რას ნიშნავს „გაქცევა“? – ბიზნესმენები კომერციულ ბანკებს ავალებენ, რომ უცხოეთში დიდი თანხა გადაურიცხონ. ეს თანხა, მთელი წლის განმავლობაში, დაახლოებით, ერთ მილიარდ დოლარს შეადგენდა. ანუ, ქვეყნიდან, ერთი წლის განმავლობაში, ერთი მილიარდი დოლარი გაიქცა. „ეროვნულმა ბანკმა“ კომერციულ ბანკებს ხელი არ შეუწყო, მათ დოლარი არ მიჰყიდა და ფაქტობრივად, დოლარის დეფიციტით, პირველ რიგში, ლარის კურსი დავარდა. ანუ, საკმაოდ მძიმე სავალუტო კრიზისი შეიქმნა. თქვენ მკითხეთ, შეეძლო თუ არა „ეროვნულ ბანკს“ ამ კრიზისის თავიდან აცილება? – რა თქმა უნდა, შეეძლო. მას შეეძლო თავისი ფასიანი ქაღალდები გაეყიდა, რომელიც სავალუტო რეზერვების ხარჯზე შეიძინა და იგი ქვეყნის კეთილდღეობისთვის მოეხმარა. ყველა ქვეყანაში სავალუტო რეზერვები იმიტომაც არსებობს, რომ როდესაც ეკონომიკას უჭირს, იგი, ამ პრობლემების მოსაგვარებლად გამოიყენონ. შევეცადე ყველა ის ზარალი დამეთვალა, რომელიც აღნიშნული სავალუტო კრიზისის შედეგად იყო გამოწვეული და ფაქტობრივად, სულ უხეში გათვლებით, 10 მილიარდი აშშ დოლარი ზარალი გამოვიდა. „ეროვნული ბანკის“ მხრიდან კიდევ არის სხვა ბევრი მსხვილი თუ წვრილი შეცდომა, ჩადენილი დანაშაული, რომელიც ქვეყანას კი არ წაადგა, არამედ მისი ეკონომიკის განვითარებას ხელი შეუშალა.

– ქადაგიძემ ერთ-ერთ სატელევიზიო არხზე გამოსვლისას, ფაქტობრივად, ხელი სხვისკენ გაიშვირა, ასევე, ისაუბრა სხვადასხვა სამინისტროებში ჩასატარებელ რეორგანიზაციაზე, თუმცა მთავარზე, რაც მისი მმართველობის პერიოდში ქვეყნის ეკონომიკას დაემართა, არ უსაუბრია. თქვენ, რა შთაბეჭდილება დაგრჩათ მისი გამოსვლიდან?

– რამდენადაც მახსოვს, მან ერთადერთი თვითკრიტიკული განცხადება გააკეთა – საზოგადოებასთან კომუნიკაცია გვაკლდაო. დიახ, მართლაც, კომუნიკაციაც აკლდათ, პროფესიონალიზმიც, ცოდნაც, გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმაც. როდესაც შენ, როგორც ხელმძღვანელს გიჭირს შენივე უწყების საქმიანობის შეფასება, ელემენტარულად იმ პრობლემებზე საუბარი რაც შენს ქვეყანას, მთლიანად ეკონომიკას უდგას და აქცენტი გადაგაქვს იმ საკითხებზე, რაც არ გეხება და ამას არც არავინ გეკითხება, ეს უკვე, აშკარად, იმაზე მიუთითებს, რომ შვიდი წელი „ეროვნულ ბანკს“ არაპროფესიონალები, უცოდინარი ხალხი მართავდა, რომლებსაც იქ არაფერი ესაქმებოდათ და რომელთა დანიშვნაც წმინდა პოლიტიკური გადაწყვეტილება იყო. სხათა შორის, 2012 წლის შემოდგომაზე ვსაუბრობდი იმაზე, რომ მთავრობის გადაწყვეტილება ბანკის მმართველად ქადაგიძე და ეს გუნდი დაეტოვებინათ, ძალიან დიდი შეცდომა იყო. მართლაც, განვლილმა წლებმა აჩვენა, რომ ეს უზარმაზარი შეცდომა იყო.

– ნოდარ ჯავახიშვილიც საუბრობდა ქადაგიძის სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, თუმცა უშედეგოდ. ამჟერად, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტის კანდიდატურად კობა გვენეტაძე დასახელდა. რა მოლოდინები გაქვთ მასთან დაკავშირებით?

– როგორც იცით, წლის ბოლომდე საბჭოს სამ წევრს გასდის ვადა. სანამ ეს პირები არ შეიცვლებიან, მხოლოდ გვენეტაძეს რაიმე ცვლილებების განხორციელება ძალიან გაუჭირდება. თავის დროზე ხომ ქადაგიძეც არ იღებდა დამოუკიდებლად გადაწყვეტილებებს. მას იმდენი ცოდნა არ აქვს, რომ მაკრო-ეკონომიკურ საკითხებში, ან საბანკო ზედამხედველობაში გაერკვიოს. ამ ინფორმაციებს ვიცე-პრეზიდენტები აწვდიდნენ. აი, ამ ხალხის გამოცვლის გარეშე, ახალი პრეზიდენტი ვერაფერს შეძლებს იმიტომ, რომ ეს ცვლილებები შესაბამის საკადრო მხარდაჭერას საჭიროებს. დიდი ალბათობით, მას ეს საკადრო მხარდაჭერა არ ექნება. „ეროვნული ბანკის“ საქმიანობის რადიკალურად გაუმჯობესება, უახლოეს წლებში, ნაკლებად მოსალოდნელია.

– კობა გვენეტაძემ განაცხადა, რომ ლარის კურსზე გავლენა საგარეო ფაქტორებმა იქონია. კერძოდ, ბევრ ქვეყანაში ეკონომიკა შემცირდა, რაც საქართველოს ექსპორტ-იმპორტის შემცირებაზე აისახაო. რას იტყვით, ყოველივეზე?

– რას ამბობთ, მართლა ასე თქვა?! მინდა ორიოდე სიტყვა საერთაშორისო სავალუტო ფონდზე გითხრათ, ვინაიდან კობა გვენეტაძე, „ეროვნული ბანკის“ ხელმძღვანელობაში, პრაქტიკულად, მისი წიაღიდან მოდის. დიდი ალბათობით უნდა ვივარაუდოთ, რომ „ეროვნული ბანკი“ გვენეტაძის მმართველობის შემთხვევაშიც, საერთაშორისო სავალუტო ფონდის ისეთივე ყურმოჭრილი მონა დარჩება, როგორიც აქამდე იყო. სავალუტო ფონდს თავისი მიზნები გააჩნია. მისი პირველი და უმთავრესი მიზანია, რომ ჩვენისთანა განვითარებადმა ქვეყანამ განვითარებულ ქვეყნებს პრობლემა არ შეუქმნას. მათ წესდებაში უწერიათ, რომ ისინი განვითარებად ქვეყანას ეკონომიკის განვითარებაში უწყობენ ხელს, მაგრამ თუ ამ ქვეყანამ განვითარებულ ქვეყნებს შეუშალა ხელი, სავალუტო ფონდი, რა თქმა უნდა, პრიორიტეტად დიდი ქვეყნების ინტერესებს დაუყენებს. 1994 წლიდან მოყოლებული სახელმწიფოს მთავრობა, ხელისუფლება და ცენტრალური ბანკი სავალუტო ფონდის რეკომენდაციებს შეეჩვია და პრაქტიკულად, საკუთარ აზროვნებასა და გადაწყვეტილებებზე უარი თქვა. როგორც აღვნიშნე, საქართველოში, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა 1994 წელს შემოდგა ფეხი. უკვე 21 წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო ფონდი ჭკუას ასწავლის საქართველოს მთავრობას, „ეროვნულ ბანკს“, რომელსაც პერიოდულად აძლევს მატერიალურ სახსრებს, სესხებს, განუსაზღვრავს ძირითადი საქმიანობის მიმართულებებს. 22 წლის მანძილზე ჩვენ ვერა და ვერ დავადექით ცივილიზებული ქვეყნის განვითარების გზას, ანუ ყოფილი საბჭოთა ქვეყნების რიგებს შორის, ჩვენი ქვეყანა ყველაზე ჩამორჩენილია. 22 წლის მანძილზე საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ვერ წაწია წინ ჩვენი ეკონომიკა, ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის ცხოვრების დონე და შესაბამისად, დიდი ალბათობით, უნდა ვივარაუდოთ, რომ მომავალი შვიდი წელი საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მისი წიაღიდან წამოსული „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტი საქართველოს ეკონომიკას ვერაფერს შემატებენ.

– სამაგიეროდ, კობა გვენეტაძესაც ალბათ, სხვადასხვა ჯილდოებით გაანებივრებენ.

– დიახ, ჟურნალმა „ბანკირმა“, ქადაგიძე საუკეთესო ცენტრალურ ბანკირად გამოაცხადა. დავინტერესდი, შევედი ამ ჟურნალის საიტზე და შევეცადე ინფორმაციის მოპოვებას თუ რისთვის დააჯილდოვეს ქადაგიძე. ამ ინფორმაციისთვის ჟურნალმა 800 ფუნტი სტერლინგის გადახდა მომთხოვა. ანუ, ფაქტობრივად, ინფორმაცია ვერ მივიღე. ბუნებრივად, ჩნდება კითხვა – თუ ამ ინფორმაციას ფულის სანაცვლოდ გაძლევენ, შეიძლება ეს ნომინაციებიც ფულის სანაცვლოდ იყოს შექმნილი. ჩათვალეთ, რომ ეს ყველაფერი ფუჭი და სუფთა პიარია. არავითარი რეალური საფუძვლები მისი საუკეთესო ცენტრალურ ბანკირად დასახელების, არ არსებობს.

– ქალბატონო ლია, ადრე, ჩემთან საუბრისას ახსენეთ, რომ ქადაგიძემ მთელი ჩვენი სავალუტო რეზერვები მართვისთვის მსოფლიო ბანკს გადასცა. რა შეიცვლება ამ კუთხით ახალი პრეზიდენტის მოსვლის შემთხვევაში?

– დიახ, საერთაშორისო სავალუტო რეზერვების დიდი ნაწილი მართლაც გადაცემული აქვს მსოფლიო ბანკს მართვისთვის, ნაწილი კიდევ ეროვნულ ბანკს აქვს დარჩენილი. მაგრამ რაც განთავსებული აქვს „ეროვნულ ბანკს“, ესაა – უცხოეთის კომერციული ბანკები, ათასგვარი გაურკვეველი წარმოშობის ფონდები, ნაწილობრივ სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები. ეს ყველაფერი ნაკარნახევია საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ. ამიტომ, ამ ურთიერთობებს ვერ ჩავუღრმავდები, თუ პროკურატურა დაინტერესდება შეიძლება უფრო ღრმად ჩაიხედოს შიგნით – რატომ არის გაკეთებული არჩევანი ერთ ფონდზე და არა მეორეზე, ერთ კომერციულ ბანკზე და არა მეორეზე და ა.შ.. „ეროვნული ბანკის“ თქმით ეს კომერციული ბანკები, სადაც ფული აქვთ ჩადებული, ანუ ფასიანი ქაღალდები, პირველხარისხოვანი ბანკები არიანო. ჩვენ, გვახსოვს, 2007 წლიდან, როცა ამერიკაში ეკონომიკური კრიზისი დაიწყო და მერე ევროპაში გავრცელდა, პირველხარისხოვანი ბანკები კოტრდებოდნენ და იძირებოდნენ. ეს ერთი მომენტი და მეორეს, არანაკლებ მნიშვნელოვანსაც გეტყვით – „ეროვნულ ბანკს“ საქართველოს კომერციულ ბანკებში სავალუტო რეზერვების ნაწილი მაინც რომ განეთავსებინა, ასეთ სავალუტო კრიზისს არ მივიღებდით. იმიტომ, რომ კომერციულ ბანკებს ექნებოდათ ფული იმისთვის, რომ ქვეყნიდან თანხების გადარიცხვა მოეხდინათ და მერე, „ეროვნულ ბანკს“, დროთა განმავლობაში, ამ თანხას დაუბრუნებდნენ. მაგრამ „ეროვნული ბანკი“ არ ენდობა საქართველოში მოქმედ კომერციულ ბანკებს, ანუ თავისი ზედამხედველობის ქვეშ მყოფ კომერციულ ბანკებს. იმიტომ, რომ ალბათ, ჩვენზე უკეთ იცის, ეს უკანასკნელნი რაოდენ მყიფე საფუძველზე მუშაობენ. სხვათა შორის, რამოდენიმე ცენტრალურმა ბანკმა თავისი რეზერვების ნაწილი კომერციულ ბანკებს დეპოზიტებზე დაუდო, მათ ეს თანხები გამოიყენეს და მერე, შესაბამისად, გარკვეული პერიოდის განმავლობაში უკან დააბრუნეს. ამან შედარებით შეარბილა იმ ქვეყნების ვალუტების კურსის ვარდნა. ანუ, ჩვენთან „ეროვნულ ბანკს“ ამ მხრივ, არაფერი გაუკეთებია, ამაშია ჩვენი ქვეყნის ტრაგედია.

– გამოდის სანამ ჩვენი ქვეყნის ფინანსური სტაბილურობის გარანტი მსოფლიო ბანკს აქვს გადაცემული, არაფერი გვეშველება?

– დიახ, სამწუხაროდ, ასეა.

– ქალბატონო ლია, დიდი ხმაური მოჰყვა ხადურის განცხადებას ლარის კურსის დასტაბილურების შესახებ. რას ნიშნავდა ეს განცხადება?

– გეტყვით. ის, რომ „ეროვნული ბანკი“ ამდენს ბედავს და თავხედობს, ეს, გარკვეულწილად, მთავრობის დანაშაულია. იმიტომ, რომ მან, პრაქტიკულად, საკუთარ თავზე აიღო „ეროვნული ბანკის“ პასუხისმგებლობა და სავალუტო კურსის თაობაზე კომენტარებს აკეთებს. მთავრობამ რა იცის? მას არავითარი მექანიზმი არ გააჩნია სავალუტო კურსზე ზემოქმედება მოახდინოს. მას, ასევე, არ გააჩნია, ელემენტარულად, ინფორმაცია როგორ ყალიბდება სავალუტო კურსი. რა იცის მთავრობამ, რა იქნება ხვალ ან ზეგ სავალუტო კურსთან დაკავშირებით?! მაგრამ ვინაიდან „ეროვნული ბანკი“ პერიოდულად საზოგადოებაში სისულელეებს წამოისვრის, რის შედეგადაც, ეს უკანასკნელი გულნატკენი რჩება, მთავრობას ამ შეცდომების გასწორება უწევს. ხადურის ეს განცხადება იმის შედეგია, რომ მანამდე სამი კვირით ადრე, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტმა თქვა – კურსი 2.4 ნიშნულს დაუბრუნდებაო. გავიდა პერიოდი და ხალხი აღშფოთებული იყო იმიტომ, რომ რეალურად კურსი 2.5 დაფიქსირდა. შესაბამისად, ქვეყანაში პანიკა რომ ჩამცხრალიყო, ხადურმა ეს განცხადება გააკეთა. მიმაჩნია, რომ როგორც სახელმწიფო მოხელემ და მინისტრმა სწორი განცხადება გააკეთა. მან, პრაქტიკულად, ქადაგიძის შეცდომა გაასწორა. სწორედ „ეროვნული ბანკის“ შეცდომების გასწორებას გადაჰყვა მთელი ეკონომიკა. მთავრობას თავის დროზე რომ გაეშვირა ხელი „ეროვნული ბანკისკენ“ და ეთქვა – აი, ვინ არის დამნაშავე სავალუტო კურსის რყევაშიო, „ეროვნული ბანკი“ გონს მოეგებოდა და ასეთი მძიმე მდგომარეობა აღარ გვექნებოდა.

– ამ ყველაფრიდან გამომდინარე „ეროვნული ბანკის“ და მისი ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხი არ უნდა დადგეს?

– ეს უკვე პროკურატურისა და პარლამენტის გადასაწყვეტია. მე ვიცი, რომ პროკურატურაში ქადაგიძის წინააღმდეგ რამოდენიმე საქმეა შესული. ვნახოთ, რამდენად სწრაფად მოხდება გამოძიება. იმედია, ქადაგიძეს აღარ ექნება იმის საშუალება, რომ ქვეყნის ეკონომიკას ზიანი მოუტანოს. „ეროვნული ბანკის“ საქმიანობის ანალიზი, უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე, აუცილებელია იმისთვის, რათა მომავალში ეს შეცდომები აღარ იქნას დაშვებული.

თამარ შველიძე
555 23 28 24

კანონმდებლობა არ ზღუდავს იმას, რომ დაფინანსდეს და წახალისდეს სტუდენტი, რომელმაც წარმატებას მიაღწია – დავით ნარმანია

თბილისის მერი დავით ნარმანია კიდევ ერთხელ გამოეხმაურა ისან-სამგორის რაიონის პროკურორის ლეონიდ გერგედავას შვილის საფრანგეთში სწავლისა და

ცხოვრების დაფინანსების საკითხს.

როგორც ნარმანიამ ჟურნალისტებს განუცხადა, თანხა სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი დახმარებიდან არ გამოყოფილა.

„მე ბოლო დღეების განმავლობაში ძალიან ბევრი მანიპულირება მოვისმინე ამ საკითხთან დაკავშირებით. მე მინდა ხაზგასმით ვთქვა ის, რომ დაფინანსება არ განხორციელებულა სოციალურად დაუცველთათვის განკუთვნილი თანხებიდან და მუხლიდან. კანონმდებლობა არ ზღუდავს იმას, რომ დაფინანსდეს და წახალისდეს სტუდენტი, რომელმაც წარმატებას მიაღწია და ერთერთ წარმატებულ უნივერსიტეტში ჩაირიცხა. ნამდვილად მანიპულირებას ჰქონდა ადგილი“, – განაცხადა ნარმანიამ.

შეგახსენებთ, რომ ფაქტის გახმაურების შემდეგ პროკურორმა გერგედავამ თანხის დაბრუნების შესახებ განაცხადა. ამასთან, როგორც მერმა, დავით ნარმანიამ მოგვიანებით განაცხადა, შეცდომის გამო თანამდებობიდან საშუალო რანგის თანამშრომელი გათავისუფლდა.

მთავრობა კერძო სექტორს მიწების რეგისტრაციაში სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტით დაეხმარება

საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, დიმიტრი ქუმსიშვილის განცხადებით, მოსახლეობისა და კერძო სექტორის მხარდაჭერისთვის საქართველოს მთავრობაში პრაქტიკულად შემუშავებულია სპეციალური ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც დაეხმარება მოქალაქეებს კერძო სექტორში მიწების რეგისტრაციაში.

„შემუშავებული გვაქვს სპეციალური დაფინანსების ინსტრუმენტი, რომელსაც უახლოეს მომავალში წარვუდგენთ მოსახლეობას. ჩვენს გლეხებს მისცემთ შესაძლებლობას, კვალიფიციური ამზომველის მიერ აზომილი ნახაზი წარადგინონ საჯარო რეესტრში, ხოლო სახელმწიფო აზომვით სამუშაოებს დააფინანსებს. კონკრეტულ ლიმიტებს და პროცედურებს ჩვენ უახლოეს მომავალში წარვუდგენთ მოსახლეობას.

პოლიტიკურ ოპონენტებს მინდა ვუთხრა, რომ ტყუილად ამტვრევენ ღია კარს და პოლიტიკური სპეკულაციები ამ მიმართულებით საჭირო არ არის. ჩვენ ვართ სწორედ ის მთავრობა, რომელიც იცავს კერძო სექტორს და მონდომებულია, რომ კერძო სექტორში იყოს რაც შეიძლება მეტი მიწის ნაკვეთი საკუთრებაში“ - აღნიშნა დიმიტრი ქუმსიშვილმა.

საქართველოში ჩეხური ლუდის ქარხანა აშენდება

ჩეხეთის რესპუბლიკაში ოფიციალური ვიზიტით მყოფი საქართველოს დელეგაცია პრემიერ-მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის ხელძღვანელობით, წამყვანი

ჩეხური კომპანიების წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრას ასევე ჩეხეთის ეკონომიკის მინისტრი ესწრებოდა.

როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს ეკონომიკის მინისტრმა დიმიტრი ქუმსიშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, ლუდსახარშის მიმართულებით სერიოზული განხილვა გაიმართა.

„ძალიან კონკრეტული შესაძლებლობები იყო განხილული, მათ შორის ეს არის ლუდსახარშის მიმართულება. ასევე მაღალტექნოლოგიური მიმართულება, რომელიც უახლოეს მომავალში დაანონსდება“, – განაცხადა ქუმსიშვილმა.

რა ხდება „საქართველოს ლატარიის კომპანიაში“, რომელსაც სახელმწიფოსთვის 216 მილიონის ვალი აქვს გადასახდელი?

„საქართველოს ლატარიის კომპანიას“, რომლის 70%-იან წილსაც ხელისუფლების შეცვლის შემდეგ სახელმწიფო ფლობს, ბიუჯეტის მიმართ ასეულ მილიონობით დავალიანება დაუგროვებია. გამოსავალიც იპოვეს და სახელმწიფოს კუთვნილ წილს საჯარო აუქციონით გაყიდვას უპირებენ. კომპანია საზოგადოების ყურადღების ცენტრში 2014 წლის გაზაფხულზეც მოექცა, როცა ჯეკპოტში გამარჯვებულ ჟურნალისტ გოგონას მოგებული თანხის გადახდის მაგივრად, სისხლის სამართლებრივ პასუხისგებაში მისცეს და მხოლოდ 15.000-ლარიანი გიროს სანაცვლოდ გაათავისუფლეს. ერთი კვირით ადრე დააკავეს „საქართველოს ფოსტის“ თანამშრომელი, რომელსაც რამდენიმე ბრალდება ჰქონდა წაყენებული. მოგეხსენებათ, ლატარიის კომპანიის სახელმწიფოს კუთვნილ წილს, ეს უწყება ფლობს. თავის დროზე „საერთო გაზეთში“ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ორი ვრცელი სტატია გამოქვეყნდა. როგორ გავრცელდა შემდგომ მოვლენები, რა ბედი ეწიათ ბრალდებულებს სამწუხაროდ აღარ დავინტერესებულვათ და საერთოდაც მიჩუმდა ეს ამბავი, ყოველ შემთხვევაში რაიმე ოფიციალური განცხადება აღარ მოგვისმენია. ამ თემას ქვემოთ ისევ მივუბრუნდებით, რადგან ვფიქრობთ, მას აქტუალობა არ დაუკარგავს.

„საქართველოს ლატარიის კომპანია“ ადგილობრივ ლატარიის ბაზარზე 2009 წელს გამოჩნდა, შესაბამის ტენდერშიც გაიმარჯვა და ქვეყნის მასშტაბით ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების უფლებაც მიენიჭა. იმ პერიოდში აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, რომ ხსენებული კომპანია ნაცრეჟიმის ერთ-ერთ გავლენიან ჩინოსანს, ნაციონალების „კასირად“ წოდებულ დავით კეზერაშვილს ეკუთვნოდა, ხოლო ფორმალური მესაკუთრე რომელიღაც ებრაული კომპანიაა. ვერსია კეზერაშვილის რეალურ მფლობელობასთან დაკავშირებით, ნამდვილად არ არის გაზვიადებული, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ნაციონალები უცხოს არავის გააჭაჭანებდნენ, მით უმეტეს მომგებიან ბიზნესსფეროში. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ხელისუფლების შეცვლის შემდეგ ლატარიის კომპანიის 70%-იანი წილის მესაკუთრე სახელმწიფო გახდა, კერძოდ, „საქართველოს ფოსტა“. „საერთო გაზეთის“ წინა ნომერში უფლებადამცველი გიორგი ფარესიშვილი „საქართველოს ფოსტასა“ და „საქართველოს რკინიგზაში“ ყველაფრის ექსპერტ გია ხუხაშვილის ინტერესებსა და გავლენებზე საუბრობდა, ლევან ჩიკვაიძე და კოკა გუნცაძე, რომლებიც ასევე ხუხაშვილის საახლობლოდ მოიაზრებიან, მხოლოდ ფორმალური მმართველები არიან, რეალურად ხუხაშვილი აკონტროლებს ორივე უწყებასო. იმასაც ამბობდნენ, დავით კეზერაშვილის ადგილობრივი ბიზნესები ხუხაშვილს აქვს სამართავად, შეიძლება თვითონ ოფიციალურად არ ჩანს, მაგრამ რეალურად იგი მართავს, ფორმალურ შეფებადაც მისი სანდო პირები ფიქსირდებიანო. ლატარიის კომპანიის სახელმწიფო მფლობელობაში, ანუ „საქართველოს ფოსტის“ დაქვემდებარებაში გადაცემასაც მის სახელს უკავშირებენ. ლატარიის კომპანია რატომ მაინც და მაინც „საქართველოს ფოსტას“ გადასცეს სამართავად და არა, ფინანსთა ან ეკონომიკის სამინისტროებს, ხუხაშვილი ვისაც ენდობოდა, იმას მიაკუთვნესო. მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ლატარიის კომპანიის დარჩენილი 30%-იანი წილი ისევ დავით კეზერაშვილს ეკუთვნის, მაგრამ ცხადია, არაოფიციალურად.

ახლა რაც შეეხება ლატარიის კომპანიის სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დაგროვილ ვალებსა და აუქციონის წესით გასხვისებას. ბუნებრივად ჩნდება კითხვები, როდის დააგროვა ამ კომპანიამ 200 მილიონ ლარზე მეტი ვალი, მისი კეზერაშვილის მფლობელობაში ყოფნის დროსაც ჰქონდა და მერე კიდევ დაამატა, თუ 70%-იანი წილით სახელმწიფოს მფლობელობაში რომ გადავიდა? თუ მანამდეც ჰქონდა ვალი, რატომ შეისყიდა სახელმწიფომ ვალებით დატვირთული კომპანიის უდიდესი წილი? ეს ინფორმაციები ჯერჯერობით ბოლომდე ვერ მოვიძიეთ. ირაკლი ღარიბაშვილი პრემიერ-მინისტრი რომ გახდა, ხუხაშვილის მრჩევლობა არ ისურვა და ქვეყნის არაოფიციალურ მმართველობასაც ჩამოაშორა, მაგრამ ამ უკანასკნელმა „საქართველოს ფოსტასა“ და „საქართველოს რკინიგზაში“ გავლენები მაინც შეინარჩუნა, ანუ ახალგაზრდა პრემიერმა ბოლომდე ვერ შეუკვეცა ფრთები ბატონ ხუხაშვილს. სანდო წყაროს თქმით, ხუხაშვილის ჩამოლაბორანტება ბევრს არაფერს ნიშნავდა, რადგან თითქმის ყველა უწყებაში დარჩენილა მისი კადრები. ირაკლი ღარიბაშვილის გადაგომის შემდეგ, ხუხაშვილს ხელფეხი გაეხსნა და უკვე ჩანს იმის ნიშნები, რომ მისმა გავლენამ მოიმატაო. ვინ არის „საქართველოს ფოსტის“ შეფი ლევან ჩიკვაიძე? წყაროს ინფორმაციით, ნაციონალების მმართველობისას, კერძოდ, იმ პერიოდში ძმები გაჩეჩილაძეები (რომლებიც ასევე ხუხაშვილის საახლობლო წრედ მოიაზრებიან) დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ საზოგადოებაში, ლევან ჩიკვაიძე ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციას ხელმძღვანელობდა. ხელისუფლების შეცვლის შემდეგ კი, „საქართველოს ფოსტის“ უფროსის თანამდებობაზე წამოასკუპეს. მისი „თავბრუს დამხვევი“ კარიერაც გია ხუხაშვილის სახელს უკავშირდება. კეზერაშვილისგან „გამოსყიდული“, ექსკლუზიური უფლებებით აღჭურვილი ლატარიის კომპანიაც ხომ მის უწყებას გადასცეს.

ბოლო ხანს, საქართველოს მთავრობას „საქართველოს ლატარიის კომპანიის“ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული 70%-იანი წილის გასხვისება გადაწყვიტა და ნაახალწლევს საჯარო აუქციონის ჩატარებაც გამოცხადდა. აუქციონმა, განსაკუთრებით კი მისი ჩატარების ვადებმა (მიმდინარე წლის 14-28 იანვრის მონაკვეთი), კომპეტენტურ წრეებში ბევრი კითხვა გააჩინა. რატომ ტარდება აუქციონი ასეთ მოკლე დროში, თანაც წინასწარი ინფორმაციის გავრცელების გარეშე, როცა მსგავსი აუქციონები თურმე რამდენიმე თვე გრძელდება იმ მიზეზით, რომ საჭიროა პოტენციური მყიდველების სრული ინფორმირება მოხდეს. მათ ცხადია, გონივრული დრო ჭირდებათ, საპრივატიზაციო ობიექტის შესასწავლად და გადაწყვეტილების მისაღებად. ლატარიის კომპანიის სახელმწიფო ბიუჯეტისადმი დავალიანების ოდენობასთან დაკავშირებით, სხვადასხვა ვერსია ვრცელდებოდა, ვფიქრობთ, ყველა ზუსტ ინფორმაციას „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ ავრცელებს, ამ მონოპოლისტი კომპანიის (მის ექსკლუზიურ უფლებებზე უკვე ვისაუბრეთ) ბიუჯეტის მიმართ დავალიანება 216.318.937 ლარს უტოლდება, მათ შორის საურავი 62.634.927 ლარი ყოფილა, ე.ი. კომპანია ვალს არ იხდიდა და საურავიც იმიტომ დაერიცხა. ყველა საღად მოაზროვნე ადამიანს გაუჩნდება კითხვა, კომპანიის, როგორც ამჟამინდელი, ისე ყოფილი მენეჯმენტის საქმიანობის მიმართ, მაგრამ მივიღებთ კი განმარტებებს, ნეტავ რას გვეტყვის ბატონი ჩიკვაიძე? სიმართლე გითხრათ, მე ისიც ძალიან მაინტერესებს, ვინ გადაიხდის ამ კოლოსალურ დავალიანებას, სახელმწიფო ხომ არა? ამ შემთხვევაში, გამოდის ჩვენი ჯიბიდან უნდა მოხდეს ვალის დაფარვა, რადგან სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების წყარო ჩვენ ვართ. რა კარგია არა, მავანთ უნდა „იგრიალონ“, მილიონები შეჭამონ, ვალი მოსახლეობამ უნდა იხადოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ლატარიის კომპანია მონოპოლისტის უფლებებით 2009 წელს აღჭურვეს, რაც არაერთხელ გახდა საზოგადოების კრიტიკის საგანი, მაგრამ ჭკვიან ქართველ კაცს ტყუილად არ უთქვამს, ძაღლი ყეფს, ქარავანი კი მიდისო. ტენდერის პირობების თანახმად, გამარჯვებულ კომპანიას (ახლა აღარ „დავწვრილმანდებით“ როგორ მოიპოვა ეს „გამარჯვება“) ვალდებულება აუღია, რომ ათი წლის ვადაში ბიუჯეტში 913.351.000 ლარს შეიტანდა. შემოსავლისა რა მოგახსენოთ, ფაქტია, მან ექვს წელიწადში გვარიანი ვალები „აიკიდა“. რად უნდა დიდი მარჩიელობა, რომ კომპანია ვალდებულებას ვერ ასრულებს. „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ მიიჩნევს, რომ ამ ფონზე ეჭვქვეშ დგება კომპანიისთვის ექსკლუზიური უფლებების შენარჩუნების მიზანშეწონილობა და აუქციონის შეჩერებას მოითხოვდა, რომ დაინტერესებულ პირებს კომპანიის შესახებ ინფორმაციის მიღებისა და ანალიზის საშუალება მისცემოდათ. გარდა ამისა, დადგენილიყო რამ გამოიწვია დავალიანების დაგროვება, შეფასებუ-

ლიყო მენეჯმენტის საქმიანობა, თუ დადასტურდა, რომ ლატარიის კომპანია ვერ ასრულებს ექსკლუზიური უფლებების მინიჭების თაობაზე ფინანსთა სამინისტროსთან დადებული ხელშეკრულების პირობებს, დადგეს ამ უფლებების გაუქმების საკითხი და ბაზრის სრული დემონოპოლიზაცია მოხდესო. სახელმწიფო ქონების მართვის ეროვნულმა სააგენტომ აუქციონის ვადა ჯერ 4 თებერვლამდე, ხოლო შემდეგ 11 თებერვლამდე გააგრძელა, ისე მართლაც ძალიან საინტერესოა, რატომ ცდილობს მთავრობა კუთვნილი წილის ასეთი დაჩქარებული წესით გაყიდვას. სააგენტოს ხსენებული ორგანიზაციისთვის ლატარიის კომპანიის მოგება-ზარალისა და ბალანსის უწყისებიც მიუწოდებია, საიდანაც ირკვევა, რომ კატასტროფულად არის შემცირებული გათამაშებისგან მიღებული შემოსავლები. თუ 2010 წელს კომპანიის შემოსავალმა 52 მილიონ ლარს გადააჭარბა, 2015 წლის სამი კვარტლის მონაცემებით, შემოსავალი 16 მილიონზე ნაკლებია. მას შემდეგ, რაც კომპანიის 70%-იან წილის მფლობელი სახელმწიფო გახდა, ყველა წელი წაგებით დაუსრულებიათ და ბიუჯეტის მიმართ ვალდებულებებიც დაგროვდა. მხოლოდ 2014 წელს, მოკლევადიანი ვალდებულებები 58 მილიონი ლარით გაზრდილა, გასული წლის 10 დეკემბრის მდგომარეობით კი, სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანებამ საურავიანად 216.318.937 ლარი შეადგინა. სახეზეა წლების განმავლობაში კომპანიის წარუმატებელი მართვას, რაზეც პასუხისმგებლობა არავის აუღია. „გადასახადის გადამხდელთა კავშირი“ თურმე დიდი ხანია საუბრობს სახელმწიფო კომპანიებში არსებულ უკონტროლობასა და რესურსების ფლანგვაზე, თუმცა მთავრობის მხრიდან ქმედითი ნაბიჯები არ გადადგმულა. ლატარიის კომპანიაში არსებული პრობლემების იგნორირებამ, შესაძლოა ხელიც კი შეუწყო მათ უფრო მეტად გაღვივებას და დიდი ოდენობით დავალიანების დაგროვებასო. სრულად ვეთანხმებით ხსენებული ორგანიზაციის მიერ დასმულ შემდეგ კითხვებს: რატომ არ გააუქმა ფინანსთა სამინისტრომ ლატარიის კომპანიასთან დადებული ხელშეკრულება ექსკლუზიური უფლების მინიჭებასთან დაკავშირებით, როცა წლებია ეს კომპანია ვერ ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; მას შემდეგ, რაც ლატარიის კომპანია წლებია წაგებით ასრულებს ყოველ ფინანსურ წელს, რატომ არ დააყენა ეკონომიკის სამინისტრომ კომპანიის მენეჯმენტის მინიმუმ შეცვლის საკითხი და რატომ გადაწყვიტა ეკონომიკის სამინისტრომ კომპანიაში სახელმწიფო წილის პრივატიზება (რომლიდანაც არცთუ დიდი თანხა შევა ბიუჯეტში) ლატარიის ბაზრის სრული დემონოპოლიზაციის ნაცვლად. გადამხდელთა კავშირი ფინანსთა სამინისტროს მოუწოდებს, რომ გაასაჯაროოს „საქართველოში ეროვნული ლატარიის ორგანიზებისა და ჩატარების ექსკლუზიური უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და შპს „საქართველოს ლატარიის კომპანიას“ შორის 2009 წლის 1 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულება. რა პასუხს გასცემენ დიმიტრი ქუმსიშვილისა და ნოდარ ხადურის უწყებები კითხვებს, რომლებზეც პასუხები მარტო „გადასახადის გადამხდელთა კავშირს“ კი მთელ საზოგადოებას აინტერესებს და გაასაჯაროებენ თუ არა ლატარიის კომპანიასთან დადებულ კომპანიასთან დადებულ ხელშეკრულებას (იმედია, ნაციონალებს გრიფით საიდუმლო არ დაუდიათ მისთვის) მომავალი გვიჩვენებს, მოვლენებს ნუ გავასწრებთ.

როგორც ირკვევა, ლატარიის კომპანიის მოკლევადიანი ვალდებულებები მარტო 2014 წელს 58 მილიონი ლარით გაზრდილა, ამიტომ საჭიროდ ჩავთვალეთ, მოკლედ მიმოვიხილოთ „საერთო გაზეთში“ 2014 წელს დაბეჭდილი სტატიები, რომლებშიც საუბარი იყო 2014 წლის 18 აპრილს გათამაშებულ საბედისწერო ჯეკპოტზე, რასაც ორი ადამიანის დამნაშავედ გამოცხადება მოყვა. ჟურნალისტმა გოგონამ (რახან ამ ეტაპზე მასთან შეთანხმებული არ ვართ, მისი ვინაობის გამხელისგან თავს შევიკავებთ) დიდუბეში, ლატარიის კომპანიის ერთ-ერთ ჯიხურში სწორედ გათამაშების დღეს შეიძინა ბილეთი, გამოცნობილი ციფრები თავად გამყიდველმა ამოუბეჭდა და შესაბამისი ქვითარიც გადასცა. მან მეორე დღეს შეიტყო, რომ ჯეკპოტი 561.176 ლარი მოიგო. ადრე დიდი ზარზეიმით ატარებდნენ ლატარიის გათამაშებას, იმ დღეს

ძალიან მოკრძალებულად ჩაატარეს, ინფორმაციაც ძლივს ვიპოვე, მაგრამ ეჭვი არ გამჩენიაო. ლატარიის კომპანიამაც დაუდასტურა, რომ ჯეკპოტი მოიგო და კომპანიის მარკეტინგის სამსახურის უფროსმა დაჯილდოებაზეც მიიწვია, თუმცა მერე დაემალა, მოგვიანებით კი გამარჯვებულს „მოდულის“ შენობაში მოუწია ჩვენების მიცემა. მას ბრალი დასდეს ჯგუფური თაღლითობის მცდელობაში და ფასიანი ქაღალდის უკანონო დამზადებაში. შსს-სა და ლატარიის კომპანიის წარმომადგენლებმა ერთობლივი ბრიფინგიც გამართეს, ზუსტად იმ ბატონმა, რომელიც გამარჯვებულს დაჯილდოებაზე იწვევდა, ბრიფინგზე განაცხადა, სისტემაში უკანონო შეღწევის მცდელობა დავაფიქსირეთ, მაშინვე მივმართეთ სამართალდამცავებს, ეს მცდელობა აღმოფხვრილია, მომავალშიც თაღლითობის ნებისმიერი მცდელობა მყისიერად იქნება აღმოჩენილი და აღკვეთილიო. მომგებიანი მფლობელისთვის ბრალის წაყენებამდე ერთი კვირით „საქართველოს ფოსტის“ ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის მონაცემთა ბაზის ადმინისტრატორი დააკავეს, თუმცა ამ ფაქტს არ ახმაურებდნენ. თითქოს მან წინასწარ შეიტყო ჯეკპოტის მომგებიანი ციფრები, დაამზადა ლატარიის ყალბი მომგებიანი ბილეთი და ახლობელს გადასცა, მაგრამ ბოლომდე ვერ მიიყვანა განზრახვა, თაღლითურად დაუფლებოდა სოლიდურ თანხას, რადგან ამხილეს და დააკავესო. საინტერესო ისაა, რომ ორივე „დამნაშავეს“ ბრალი ჰქონდა წაყენებული (საქმეს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური იძიებდა), მაგრამ ლატარიის კომპანია ისევ აცხადებდა ჯეკპოტი გათამაშდაო. ეს ორი ადამიანი ერთმანეთს საერთოდ არ იცნობდა, ჯიხურის გამყიდველიც ადასტურებდა, რომ გოგონამ მასთან იყიდა ბილეთი, თუმცა უშედეგოდ, მერე კი შეცვალეს „ჩვენება“ უსაფრთხოების დამცველებმა, კი იყიდა, მაგრამ მომგებიანი ბილეთი არ უყიდიაო. სხვათა შორის, ჯეკპოტის გამარჯვებული გოგონა ორჯერ ყავდათ მიწვეული „მოდულში“, პირველად ადვოკატის გარეშე დაკითხეს და ლატარიის ბილეთიც ჩამოართვეს, მეორედ მალევე დაიბარეს და უკვე ადვოკატის დასწრებით დაკითხეს. ტელეკომპანია „იმედი“ თვითონ გვთხოვდა კომენტარს, ჩემი ადვოკატის ინტერვიუ ჩაწერეს, მაგრამ არ უჩვენებიათო. ყველა კომპეტენტური პირი ამტკიცებდა, მათ შორის, საფრანგეთის ლატარიის კომპანიის წარმომადგენლები (მათი გამოგონებაა ეს ლატარია), რომ ბილეთის გაყალბება თითქმის გამორიცხული იყო, თუ მაინც მოხდა პრეცედენტი, ამას ადმინისტრატორი მარტო ვერ შეძლებს დამხმარეებისა და ხელშემწყობების, ანუ ხელმძღვანელობის გარეშეო. ერთი საინტერესო დეტალი, ეს ადმინისტრატორი ადრეც მუშაობდა ლატარიის კომპანიაში, მაგრამ გაათავისუფლეს, თუმცა ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე უკან დააბრუნეს და ორმაგ ხელფასსაც დაპირდნენ. მანამდე ამ თანამდებობას თურმე „საქართველოს ფოსტის“ შეფის ლევან ჩიკვაიძის ნათესავი იკავებდა, მაგრამ სამსახურიდან გაუშვეს და საერთოდ გამქრალა ეს ადამიანი, სავარაუდოდ საზღვარგარეთ წავიდაო. ამ ე.წ. საკადრო ცვლილებებს ჩვენი რესპოდენტი ძალზე საინტერესო გარემოებებს უკავშირებდა. იმ პერიოდში მხოლოდ ამ კონკრეტულ საქმეს კი არა, მანამდე გათამაშებული ჯეკპოტების საქმეებსაც იძიებდნენ. კომპანიის დაარსებიდან იმ დრომდე, სანამ 70%-იანი წილის მფლობელი სახელმწიფო გახდებოდა, სულ ექვსი ჯეკპოტი იყო გათამაშებული, ბოლო ერთი წლის განმავლობაში კი, შვიდი ჯეკპოტი გათამაშდა, რამაც ეკონომიკის სამინისტრო და საფინანსო პოლიცია სერიოზულად დააინტერესა, რის შესახებაც მისწერეს ლატარიის კომპანიის ხელმძღვანელობას. როგორც ჩანს, ლევან ჩიკვაიძემ საფრთხე იგრძნო, თავისი ახლობელი სასწრაფოდ ჩამოაშორა ადმინისტრატორის თანამდებობას და გადამალაო. ისიც ხომ საინტერესოა, რის საფუძველზე შესთავაზეს შემდგომში დაკავებულ ადმინისტრატორს ორმაგი ხელფასი? გახშირებული ჯეკპოტების დროს ეს ადამიანი საერთოდ არ მუშაობდა ლატარიის კომპანიაში, მაგრამ ეტყობა უნდათ წარსული „ცოდვებიც“ მას „აკიდონო“. ჩვენი რესპოდენტი ძალზე უკმაყოფილო იყო, რომ გამოძიება არ ინტერესდებოდა ლევან ჩიკვაიძის პერსონით. იგი სხვა გამარჯვებულების ისტორიით დაინტერესებულა და საგულისხმო დეტალები გაურკვევია, ერთ-ერთი პაროვნება, რომელმაც მილიონიანი ჯეკპოტი მოიგო, გლდანის საპყრობილის ბინადარი ყოფილა, ოღონდ შიშის გამო არც მისი ვინაობა გაუმხილეს და არც ბრალდება, რის საფუძველზეც იჯდა ციხეში. ვიღაცამ სლოტებში დიდი თანხა მოიგო, მაგრამ გაცემაზე უარი უთხრეს, ქურდებმა გადაწყვიტეს, რომ არ გეკუთვნისო, როცა ეს ადამიანი ქურდებთან მისულა საქმის გასარკვევად, „შავ სამყაროსთან“ კავშირის ბრალდებით დაუჭერიათ, ეს შემთხვევა ნაციონალების მმართველობისას მოხდა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, ლატარიის კომპანიას უკავშირდება. ქალბატონი, რომელმაც თითქოს ოთხმილიონიანი ჯეკპოტი მოიგო, ისევ მეტრო „დელისთან“ ყიდდა ყველს, მეორედ მისულ ჟურნალისტს იქ აღარ დახვდა და თურმე იმ ტაძარშიც აღარ დადიოდა, რომლის მრევლიც იყო. აღმაშენებლის გამზირზე მცხოვრები მამაკაცი, რომელმაც ლოტოში 400.000 ლარი მოიგო, მერე აღარავის უნახავს, უგზოუკვლოდ გაქრა. ბრალდებული გოგონას დედას, რომელიც შვილის ციხიდან გამოსახსნელად პროცენტიანი ვალის აღებას აპირებდა და გამსესხებელს ეძებდა, ვიღაც დაუკავშირდა და გარიგება შესთავაზა, ადვოკატები შეცვალთ, შენმა შვილმა 20.000 ლარი მოგვცეს და საქმეს სასამართლომდე არ მივიყვანთო. ეს ინფორმაციები უბრალოდ, განსჯისათვის მოგაწოდეთ. თუკი 2014 წელსვე ეჭვები ჰქონდა ეკონომიკისა და ფინანსთა სამინისტროებს, საქმეებს უსაფრთხოების სამსახური იძიებდა პროკურატურის ზედამხედველობით, როგორ მოხდა, რომ ლატარიის კომპანიამ 58 მილიონიანი ვალი დააგროვა მარტო ამ წელს და მერე კიდევ დაიმატა?

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

ნყეულიმც იყავით, „ნაციონალებო“, თქვე პირსისხლიანო რეციდივისტებო!

გლდანის ციხეს ხშირად ადარებენ გუანტანამოს, მაგრამ გუანტანამო გლდანთან შედარებით საბავშვო ბაღი იყო.

არის „რაღაც“, ისეთი რაც ყველამ უნდა გაიგოს, გაითავისოს, გააანალიზოს, დასაგმობი დაგმოს და მორალის თუ კანონის წინაშე პასუხისმგებლობა იგრძნოს.

კოჰაბიტირებულ ფრთებგაშლილ ნაცებს მორალი ისედაც არ გააჩნდათ დაკარც კანონის მიმართ შიშს ვატყობთ, მეტიც, ნაცვლად იმისა, ხალხი არ გააღიზიანონ და ჩრდილში გადაინაცვლონ, შეტევაზე გადმოდიან. თანამემამულეების თუ ხაზინის ძარცვით ნაშოვნი მილიონების ნაწილს უშურველად ხარჯავენ მათ მიერ მართულ მედიაში, რათა 9–წლიანი უკანონო ტერორი როგორმე „გააპრავონ“, დააჯერონ საზოგადოება, რომ ქუჩაში ჩახოცილი ახალგაზრდები კრიმინალები იყვნენ, ხოლო მკვლელი ნაცშავრაზმელები ცაში მოფარფატე პეპელა-ანგელოზები!! თითქოს მათ ხალხისთვის წართმეული პირადი საკუთრება ან სახელმწიფო ხაზინიდან მითვისებული ასეულობით მილიონი ეკუთვნოდათ და ისე შეირგეს. სწორედ ამის ბრალია, რომ ნაცმაცუნები ახლა მედიის საშუალებით ავრცელებენ ბრიყვულ ზღაპრებს, თითქოს კრიმინალმა მოიმატა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსაც თითქოს „მაყურებლები“აკონტროლებენ, თითქოს მხოლოდ საქართველოში დაეცა ეროვნული ვალუტის კურსი, სახელმწიფო ინსტიტუტები მოიშალა და ა.შ.

მათ „გაქანებას“ საზღვარი არა აქვს, ისინი აგინებენ დღევანდელ ხელისუფლებას ყველგან – შინ თუ გარეთ, ყველაფერს ცდილობენ, რათა საქართველოს იმიჯი იმ ადამიანებივით ჩარეცხონ, ვინც იმსხვერპლეს ხელისფლებაში ყოფნის ჟამს. გამწარებული ხალხის ნება, საქართველოს მართვის სადავეებს ჩამოშორებოდა ნაციონალური სექტა, შესაძლებელი გახდა 2012 წლის ოქტომბრის არჩევნების დროს. არჩევნებს წინ უსწრებდა სასჯელაღსრლების სისტემიდან გამოტანილი ფარული ჩანაწერები, სადაც ადამიანების წამება იყო ასახული. ამ კადრებმა, მიუხედავად იმისა, 9– წლიანი რეჟიმის პერიოდში არაერთხელ დაიწერა ციხეებში არსებული უმძიმესი ვითარების შესახებ, შესძრა სრულიად საქართველო! ვიცოდი კანონდარღვევების შესახებ, მაგრამ ასე მძიმედ თუ იყო საქმე, ვერ წარმოვიდგენდიო, - დაახლოებით ასეთი შინაარსის განცხადება



გააკეთა სააკაშვილმა მას შემდეგ რაც ხალხის მღელვარებამ პიკს მიაღწია და თავის გადასარჩენად აგვისტოს ომის მიწაზე მხოხავმა „გმირმა“ რამდენიმე თანაპარტიელი ჩარეცხა – წესიერად არც კი ვიცნობდიო.

არჩევნების წაგებიდან დღემდე საგულდაგულოდ ცდილობენ „ციხის კადრების“გათეთრებას და პოლიტპატიმრების თემით სპეკულირებენ. ნაცგარეწრების დროს ციხეში ბევრად მეტი საშინელება ხდებოდა, ვიდრე საზოგადოებისთვისაა დღეს ცნობილი. რაც ყოფილი პატიმრების მეხსიერებიდან არასდროს წაიშლება.

დამკვიდრებლია სამწუხარო ტენდენცია, ვიდეო-ჩანაწერების არსებობის გარეშე სიმართლის დამტკიცება თითქმის შეუძლებელია, თუმცა იმისათვის, რომ ეს პარტია არა მხოლოდ პოლიტიკურად გაექროთ, არამედ აღეგავათ მიწისაგან არსებული ვიდეო-ჩანაწერები (მით უმეტეს, რომ „ციხის კადრებს“ „კასრების კადრებიც“ დაემატა და ყველამ ვნახეთ ის საზიზღრობა, რასაც ჩადიოდნენ სააკაშვილის რეჟიმის წევრები) საკმარისი იყო. ეს არ მოხდა, ამიტომ ნაციონალები პირიქით შეუტრიალდნენ ხალხსაც და ხალხის არჩევანსაც!...

ცინიზმი: 2012-წელს ციხის საშინელი კადრების გავრცელების შემდგომ ხათუნა კალმახელიძემ სოციალურ ქსელში შემდეგი შინაარსის სიცრუეში ამოვლებული „გულისამაჩყებელი“წერილი გაავრცელა – „მე მსგავსი რამ ვერ წარმომედგინა, არასოდეს დამიშვია, ყველაზე საშინელ სიზმარშიც კი არ დამსიზმრებია – მეტიც, ბევრი მიზეზი მქონდა დარწმუნებული ვყოფილიყავი, რომ პენიტენციურ სისტემაში წამებას ადგილი არ ჰქონდა. იმდენად დარწმუნებული, რომ რამდენიმე თვის წინ სტრასბურგშიც ჩავედი და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის საქართველოში ვიზიტის პერსპექტივასაც მივესალმე. ჩემთვის ჯერ კიდევ შემორჩენილი ძველი ციხეების პირობებში სასჯელის მოხდა წამების ტოლფასი იყო, ამიტომ ინფრასტრუქტურას დიდ ყურადღებას ვაქცევდი, მაგრამ კადრები, რაც ყველამ ვნახეთ, ჩემთვის იყო შემაძრწუნებელი. მე უზომოდ ვწუხვარ და ეს გრძნობა არასოდეს შემიმსუბუქდება. ჩემთვის ეს კადრები ვინმეს რომ ეჩვენებინა თავის დროზე, გარწმუნებთ, რომ განგაშს ავტეხდი უმალვე, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით და ვინ იცის, რამდენ ადამიანს ავარიდებდით მსგავს მდგომარეობაში აღმოჩენას მთელი იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც მზადდებოდა და ინახებოდა ეს კადრები. ეს არის ჩემთვის უდიდესი სინანულის და განსაცდელის პერიოდი, სიტყვები არ მყოფნის, რომ გადმოგცეთ, რა ემოცია იყო ეს ყველაფერი. იმ დღეს, როდესაც კადრები გადიოდა ეთერში, ვიყავი სრულიად ატროფირებული, ნაწყენი, გულდაწყვეტილი. იმავე დღეს ყველაფერი ვერ ვნახე, მაგრამ ჩემთვის ნათელი იყო, რომ მე თანამდებობაზე დარჩენის არავითარი მორალური უფლება არ მქონდა.

იმ ღამესვე ვთხოვე პრეზიდენტს გადადგომის უფლება, რაც საზოგადოებისათვის მომდევნო დღეს გახდა ცნობილი. ის იყო შეძრწუნებული და განიცდიდა ამ ყველაფერს.(მიშა შეძრწუნებული ყოფილა, რა ცინიზმია, არადა, სარწმუნო წყაროების ცნობით, სიამოვნებით უყურებდა წამების და ავადმყოფური ფანტაზიებით გაუბედრებული ხალხის ტანჯვის ვიდეოჩანაწერებს) იმ ღამეს, გვიან, გონივრულად, ფსიქოლოგიურად, ემოციურად და ფიზიკურად ვიყავი სრულიად დაცლილი. მაგრამ ფირზე ასახული პატიმრების განსაცდელი იყო უმძიმესი, ისეთი, რომელსაც ჩემი განსაცდელი ვერ შეედრება და მე ვთვლი, რომ არავითარი უფლება არ გამაჩნია საერთოდ, ჩემი მდგომარეობის შესახებ საუბრის, ამიტომ, გთხოვთ, სწორედ გამიგოთ, რადგან არავითარ კონკრეტულ რეაქციას არ ვითხოვ, უბრალოდ, მინდა გულწრფელად გაგიზიაროთ რამდენიმე რამ, რაც, ვფიქრობ, მნიშვნელოვანია. მე და ჩემი თანაგუნდელები ცენტრალურ აპარატში დაუღალავად ვმუშაობდით იმისთვის, რომ გაგვეტარებინა კონკრეტული რეფორმები და მიუხედავად იმისა, რომ ბევრი გაკეთდა, წინ კიდევ უამრავი იყო გასაკეთებელი, ჩემი რეალური შესაძლებლობების ფარგლებში. მე ამ ტრაგიკულმა ფაქტმა შემძრა და ყველა ჩემს მიერ გაკეთებულ საქმეს, ყველა სიახლეს, რასაც სულით და გულით ვაკეთებდი, ყველა წვრილმან თუ მნიშვნელოვან წინსვლას დიდი ხაზი გადაუსვა. ყველაფერი გახდა სრულიად უმნიშვნელო“. ყოფილი მინისტრი, რომ უნიჭოდ ცდილობს იცრუოს და საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს ფაქტია.“კუდის“ „სოდის“ და პრუკურატურის მიერ „გაკულაკებულ“ ურჩ პატიმრებს „დამჭერების“ დავალებით რა წნეხში ატარებდნენ საპატიმროებში, ცნობილია. ნაცების „დამარცხებული“კორუფცია ციხეში მარადმწვანედ ყვაოდა და ამით ხელმძღვანელობაც ხელს ითბობდა, ახალი ციხე-კოლონიების მშენებლობის და რემონტების „ატკატები“ისევ მათ ყულაბებს ავსებდა. დაუმთავრებელ შენობებს, რომლებიც ჯანმრთელობისთვის საშიში მასალით (ფორმალდეჰიდით) იყო გაჯერებული და არც ერთი სტანდარტით მასში შესახლება არ შეიძლებოდა პატიმრებს ასახლებდნენ და ნელი სიკვდილისთვის წირავდნენ. კვებაშიც სერიოზული თანხა რჩებოდათ, რადგან უხარისხო ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში, ვადაგასული პროდუქტით ამარაგებდნენ მაღაზიას თუ სასადილოს. რაც შეეხება ნაცების განცხადებას, თითქოს ნაცების ყვავილობის ხანაში ციხეს „მაყურებელი“ არ ჰყავდა, ტყუილია.

აი, რას წერს ყოფილი პატიმარი: „აბსურდია, თითქოს ნაციონალების დროს ზონებს მაყურებლები არ ჰყავდა. უბრალოდ, მათ ძირითად ნაწილს მაშინ ადმინისტრაცია აკონტროლებდა. ერთადერთი დაწესებულება, სადაც ნაციონალების დროს მაყურებელი არ იყო, გლდანის #8 საპყრობილე გახლდათ. მაყურებელი ჰყავდა ტუბზონასაც და „რეზბალნიცასაც“. თვეში მინიმუმ ერთხელ იმართებოდა ე.წ. ბლატატას „სხოდკები“, სადაც მრავალ „საჭირბოროტო“ საკითხზე მსჯელობდნენ. სწორედ ბრეგვაძის დროს არ იხურებოდა ახალ ზონაზე ნომერ მეორე საკანი, სადაც მაყურებლები ისხდნენ“.

მაშინდელი სახალხო დამცვე-

ლი გიორგი ტუღუში როცა პატიმრებს ხვდებოდა, მათ პრეტენზიებს „ოპერატიულად“ აცნობდა დაწესებულების ხელმძღვანელობას, საინტერესოა 2010 წლის მონიტორინგის შედეგები – „სასჯელაღსრულების სისტემაში ჩატარებული მონიტორინგის შედეგად, ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით, მდგომარეობა მკვეთრად გაუმჯობესებულია, წამების ფაქტები კი თითქმის აღარ არის.“ – არადა, რამდენი „სამშობლოს მოღალატე“ მოკლეს წამებით...

გიორგი ტუღუში ხათუნა კალმახელიძეს რეკომენდაციებით მიმართავს:

„საპატიმროებში მონიტორინგის შედეგად 2010 წელს გამოიკვეთა შემდეგი პრობლემები: „გადატვირთულობის საკითხი, ადმინისტრაციის მხრიდან არასათანადო მოპყრობა, დაკავების დროს ძალის გადამეტება, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ხელმისაწვდომობის შეზღუდვა, არ ხდება ფაქტების სრულყოფილად გამოძიება. ანგარიშში კონკრეტული ფაქტებით გამყარებულია თითოეული მოსაზრება.

„პატიმართა გადმოცემით, დაწესებულების ტერიტორიაზე ნებისმიერი გადაადგილებისას ადმინისტრაცია პატიმრებს აიძულებს ზურგზე დაიწყოს ხელები, მაშინაც კი, როდესაც პატიმრის ფიზიკური მდგომარეობა ამის საშუალებას არ იძლევა. ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში პატიმარს ეკრძალება სასეირნოდ გასვლა და ეზღუდება ზოგიერთი სხვა უფლება, მაგალითად, ტელეფონით სარგებლობა. ხშირად პატიმრები თავადაც ერიდებიან სასეირნოდ გასვლას, რადგან ყოველი გადაადგილება თანამშრომლებთან კონფლიქტის წარმოშობის წყარო შეიძლება გახდეს. აღნიშნულის თაობაზე განმარტებისთვის მივმართეთ დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელმაც უარყო ამ პრაქტიკის არსებობა, თუმცა პატიმრები ერთხმად ადასტურებენ ამგვარ პრაქტიკას.

გაურკვეველი აკრძალვებია დაწესებული მაღაზიით სარგებლობის დროს. მაგალითად, პატიმრებს უფლება არ აქვთ, შეიძინონ ყავა, ჩაი და მადულარა. აღნიშნული ნივთების შეძენას დაწესებულების ადმინისტრაცია დარღვევად მიიჩნევს. მიგვაჩნია, რომ პატიმრებისთვის ამგვარი შეზღუდვების არსებობა დაუშვებელია.

სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ნომერ პირველ პრობლემად რჩება, რის შედეგადაც მატულობს პატიმრების სიკვდილიანობა. ოფიციალური ინფორმაციით, გარდაცვლილ პატიმართა რაოდენობამ 2010 წელს 142 შეადგინა, ეს მაჩვენებელი 2009 წელს 100-ზე ქვემოთ იყო. წინა წლის განმავლობაში ციხეებში პატიმართა სიკვდილიანობა 2009 წელთან შედარებით 50 პროცენტით გაიზარდა. პატიმართა გარდაცვალების ერთ-ერთ მიზეზად ტუბერკულიოზი სახელდება. სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ ტუბერკულიოზთან დაკავშირებული პრობლემები უფრო გაღრმავდა, არათუ შემცირდა. პატიმართა შორის ხშირია C ჰეპატიტი, გულსისხლძარღვთა და სხვადასხვა ინფექციური დაავადებები.

გიორგი ტუღუშმა ანგარიშში შემოიტანა ახალი ტერმინი „სიკვდილის ექსპორტი“: „ასევე 2010 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა „სიკვდილის ექსპორტს“ - ანგარიშში სწორედ ამ ტერმინით მოვიხსენიე, - როდესაც ფაქტიურად გარდაცვლილი პატიმრები სამოქალაქო სექტორის საავადმყოფოში გაჰყავდათ. ძალიან ბევრი პატიმარი, რომელიც გაიყვანეს სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან, ან პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებიდან, შეიძლება, გზაში არ გარდაიცვალა, მაგრამ მაქსიმუმ ორი დღე იცოცხლა სამოქალაქო ტიპის საავადმყოფოში. ეს მონაცემები დეტალურადაა ანგარიშში“. - განაცხადა სახალხო დამცველმა ანგარიშის პრეზენტაციისთვის მიძღვნილ პრესკონფერენციაზე.

როგორც ომბუდსმენის აპარატში აცხადებენ, აღნიშნული მეთოდი აღარ მუშაობს. ისინი აღრიცხვას აწარმოებენ არა იმის მიხედვით, თუ რომელ დაწესებულებაში გარდაიცვალა, არამედ ინფორმაციას სამოქალაქო სტაციონარებიდან იღებენ, მათ შორის - ექსპერტიზის ეროვნული ბიუროდანაც. შესაბამისად, სახალხო დამცველს აქვს ზუსტი ინფორმაცია გარდაცვლილ პატიმართ არა მარტო რაოდენობის, არამედ - ზუსტი მიზეზის შესახებაც. გიორგი ტუღუშის ინფორმაციით, 2010 წელს გარდაცვლილი პატიმრებიდან ყოველ მესამეს სხეულის სხვადასხვა ხარისხის დაზიანება აღენიშნება, ხოლო ნაძალადევი სიკვდილის რვა შემთხვევაა დაფიქსირებული.

კალმახელიძეს აღარაფერი ახსოვს, რა ხდებოდა მისდამი დაქვემდებარებულ უწყებაში. რამდენ მომაკვდავ პატიმარს უნდოდა ბოლო ამოსუნთქვა თავის ოჯახის წევრებთან და საკანში ამოხადეს სული. რადგან ბოლო სტადიის კიბოიან ავადმყოფებსაც კი უარს ეუბნებოდნენ გადავადებაზე. რამდენ „სამშობლოს მოღალატეს“ ამოხადეს სული ენით აუწერელი წამებით. „შეწუხებულ“ მიშას სულ არ აწუხებდა სანდრას ბიზნესი, რომელიც, სავარაუდოდ, პატიმრების ორგანოებით ვაჭრობით დაიწყო, ასევე სამედიცინო ექსპერიმენტებით, რომელიც პატიმრებზე ტარდებოდა...მისი ექთანი კნეინა ხელმძღვანელობდა ჯანდაცვის გლობალური ფონდის ყველა პროგრამას ტუბერკულიოზის, შიდსის... და აქედან შემოსულ ათეულობით მილიონ ევროს „ევროპულად“ განკარგავდა. ხელოვნურად გავრცელებული უმძიმესი დაავადებები კი საპატიმროებში ისედაც გაუბედურებული პატიმრების მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა. სოციალურ ქსელში დღემდე ქვეყნდება სულისშემძვრელი ისტორიები, აი ერთ–ერთი. ნინა ბარამიძე:

„ეჰ! ჩემო მეგობრებო, არ მინდა კიდევ უფრო დაგამძიმოთ, მაგრამ კიდევ ერთი პატარა ისტორია მინდა მოგიყვეთ, რომელიც 9–წლიან „სისხლიან რეჟიმთან არის ასოცირებული!“ ისევე, როგორც უდანაშაულო მამაჩემის სიცოცხლე ციხეში წამებით შეიწირეს იმ საშვილიშვილოდ დაწყევლილებმა, ჩემსავით მრავალ ოჯახს წაართვეს მამა, შვილი, ძმა, ბიძა თუ ასე შემდეგ! ახლა რამდენიმე წუთის უკან მომწერა გოგონამ ნია მაისურაძემ, რომელიც ჩემსავით ემიგრანტია, ამ გოგონას ტრაგედიამ მამაჩემიც კი დამავიწყა, მას 24 წლის ძმა ციხეში წამებით მოუკლეს! თავის ძმას მოუვიდა უმნიშვნელო შეცდომა და ამის გამო დაიჭირეს და ციხეში ყოველ დღე ფიზიკურად უსწორდებოდნენ! მანამ, სანამ საქმე საბოლოო შედეგამდე არ მივიდა! წამების დროს შემოაკვდათ! 24 წლის ბიჭი ხომ ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელია, მასაც ხომ სჭირდებოდა სიცოცხლე! მასაც ხომ უნდოდა ცხოვრება! ის ხომ უნდა დამდგარიყო ადამიანი, მას ხომ უნდა დაეცავით და დაეცვა ჩვენი ქვეყანა და თავისი მომავალი? მაგრამ ჩვენნაირად კიდევ რამდენი ოჯახი არის გამწარებული, ვინ მოითვლის? აი, ასეთი მკვლელები და რეციდივისტები დღეს კიდევ რატომ იღებენ ხმას? რატომ? ხალხი არა ხართ თქვენ, საქართველოს მთავრობავ? რატომ ხართ კოჰაბიტაციაში მაგ რეციდივისტებთან? რატომ არ აქვს კანონის ყველაზე ძლიერი მუხლები მისჯილი ვანო მერაბიშვილს? ზურაბ ადეიშვილს? მიხეილ სააკიანს?“ - დასმული კითხვა საზოგადოების დიდ ნაწილს აინტერესებს, თუმცა პასუხი დღემდე გაუცემელია, პროკურატურას თურმე მტკიცებულებების შეკრება უჭირს, არადა, ათასობით მსჯავრდებული მხოლოდ უწიგნური პოლიციის თანამშრომლების ჩვენების საფუძველზე იხდიდნენ სასჯელს. მეტაფიზიკოსი მალხაზ გველუკაშვილი უმძიმესი ბრალდებით დააკავეს, კაცი, რომელიც ქვეყნის გადასარჩენად იბრძოდა, სამშობლოს მოღალატედ შერაცხეს. აი რას ფიქრობს ციხის კედლების დატოვების შემდეგ: „დღეს არ ვფიქრობ, რომ პერსონალი უნდა დაისაჯოს. ისინი სამკურნალოები არიან, შემკვეთებმა აქციეს ასეთებად. რეალურად სისტემის შემქმნელები არიან დასასჯელები. **გლდანის ციხეს ხშირად ადარებენ გუანტანამოს, მაგრამ გუანტანამო გლდანთან შედარებით საბავშვო ბალი იყო.** ისეთ კაცთან მომიწია ჯდომა, რომელსაც რუსეთის ყველა ციხე ჰქონდა მოვლილი და მან თქვა, რომ არც ერთი ციხე ასეთი საშინელი არ ყოფილა“. **უბედურება კი ის არის, რომ მაშინდელ „სადის“ თანამშრომლებს დანაშაულის განცდაც არ ჰქონდათ, კარგად მახსოვს, ადმინისტრაციაში მონიტორების ოთახის გარდა, სადაც ვიდეო თვალთვალი მიმდინარეობდა ტერიტორიის და „კორპუსის“, ასევე ტელეფონების მოსმენა, არსებობდა დირექტორის კაბინეტის გვერდზე „შავი“ ოთახი, სადაც დამლაგებელიც კი ვერ შედიოდა. ამ ოთახში მხოლოდ ერთი პირი – იჯდა ნუკრი კახელიშვილი, რომელიც კანონის გვერდის ავლით აწარმოებდა თვალთვალს და მოსმენებს. უკანონოდ იყო „დაპლიუსებული“ ციხის საკნები, ადვოკატთან შესახვედრი ოთახები, ასევე თანამშრომლების კაბინეტები. 2012 წელს, როდესაც ციხის კადრები გავრცელდა, ქალთა მეხუთე დაწესებულებაში დეპარტამენტიდან მოვარდნენ ბიჭები და უსაფრთხოების უფროს გიორგი როდონაიასთან ერთად სასწრაფო წესით მოხსნეს აპარატურა კაბელებით და გაიტანეს ტერიტორიიდან, ორ საათში ოთახი სათათბირო ოთახად იქცა, სადაც მხოლოდ მაგიდები და სკამები იყო განლაგებული და სარწმუნო წყაროს ცნობით, ასეა დღესაც. კარგად მახსოვს, ვინ იყო დეპარტამენტიდან, „ის“ დღესაც მუშაობს, როგორც ჩემთვის ცნობილია ,ითანამშრომლა, ღირებული ინფორმაციები გათქვა და... საინტერესოა, ჩანაწერები, რომლებიც უსაფრთხოების სამსახურში იყრიდა თავს, ვის ხელშია დღეს და რამდენი ადვოკატის, პროკურორის თუ სხვა პირების დასაშანტაჟებლად იყენებენ. დღეს, როგორც ჩემთვის სარწმუნო წყაროდან გახდა ცნობილი, სასჯელაღსრულების სისტემა მკაცრად კონტროლდება, იდეალური ციხე ბუნებაში არ არსებობს, მაგრამ პატიმრებს აღარ აწამებენ, არც უკანონოდ უსმენენ. ნაცანასხლეტები კი ცდილობენ მათგან მართული მედიის საშუალებით საზოგადოება დაარწმუნონ, რომ მათ დროს იდეალური წესრიგი იყო, ის კი ავიწყდებათ, რომ „კანონიერი ქურდების“ სტატუსი ნაცელიტამ მიიწება. ხოლო ციხეში „მაყურებლის“ „სადის“ უტვინო თანამშრომლებმა. ნაცებს დღემდე ის უკანონო მოქმედებები ელანდებათ, რითიც ცხრა წელი იყვნენ დაკავებულები. მათ მიერ სასტიკი მეთოდებით დახოცილი ადამიანების აჩრდილები არ ასვენებთ, თუმცა არ უნდათ აღიარონ, რომ არც ერთ დამპყრობელს ისეთი ზიანი არ მოუყენებია ჩვენი ქვეყნისთვის, რაც ამ „შაკლების“ ხროვამ მოგვაყენა. გარდა ფიზიკური და მატერიალური განადგურებისა, სული გაუნადგურეს ათიათასობით მოზარდს თუ ზრდასრულს, სული, რომლის გამთელებას ათეულობით წლები დასჭირდება. თუმცა ბუმერანგივით დაუბრუნდებათ მათ „უფროს ძმებს“, დასავლეთიდან.**

დაბოლოს, ნაციონალებს და მათ მომხრეებს შეიძლება არ ახსოვთ, მაგრამ ფაქტია - საკაშვილის „ვარდების რევოლუცია“ კანონიერმა ქურდმა ტარიელ ონიანმა დააფინანსა!! ასევე , მართალია მოგვიანებით კანონიერ ქურდად მოიხსენიებდა საკაშვილი შალიკიანს, მაგრამ თავად შალიკიანი არ ფარავდა რომ „ვარდების რევოლუციაში“ მან საკმაოდ სოლიდური თანხა ჩადო. არის ცხოვრებაში ბევრი რამ, რაც ჯობს დაივიწყო, მაგრამ ამის დავიწყება, რაც ზემოთ წაიკითხეთ, არ შეიძლება!!! წყეულიმც იყავით, ნაციონალებო, თქვე პირსისხლიანო რეციდივისტებო!

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

რატომ გამოცხადდა გამარჯვებულად ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის ტენდერში კომპანია, რომელიც სახელმწიფოს მიერ წარდგენილი პირობებიდან ვერცერთს ვერ ასრულებს?

„ანაკლიაში ღრმაწყლიანი პორტი“-ს ტენდერში გამარჯვებულად **„ანაკლიის განვითარების კონსორციუმის“**, იგივე **„ხაზარაძე და კონტი-ჯგუფი“**-ს გამოცხადებამ გაკვირვება გამოიწვია.

ცხადია, გაკვირვება იმ ადამიანებმა გამოხატეს, ვინაც ღრმად არიან ჩახედული „ანაკლიის ღრმაწყლიანი პორტის“ მნიშვნელოვან საკითხებში. სამწუხაროდ, სწორედ ის **„მნიშვნელოვანი საკითხები“** გამორჩათ, ან შეგნებულად გამოტოვეს მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა და მთავრობის მიერ შექმნილმა სატენდერო კომისიამ.

თავშივე უნდა ვახსენო: **საქართველოს მთავრობამ უცხოელ ექსპერტებს 1,5 მილიონი ევრო გადაუხადა 5,5 მილიარდ აშშ დოლარად შეფასებული პროექტისთვის – „ღირსეული, გამოცდილების და შესაბამისი ფინანსების მქონე ინვესტორის შერჩევაში“!**

კაცმა რომ თქვას, კი ღირს ეს საქმე მილიონნახევარი ევრო, მაგრამ – შეასრულა კი საქართველოს მთავრობის შეკვეთა და რაში მდგომარეობდა იგი?

ეკონომიკის მინისტრ **ქუმსიშვილის** თქმით, „რაც შეეხება კრიტერიუმებს, რომლის თანახმადაც მოხდა აღნიშნული კონსორციუმის შერჩევა, იყო 4 ძირითადი კრიტერიუმი, მათ შორის განვითარების კონცეფცია, ფინანსური მდგრადობა, რეგიონის ეკონომიკური განვითარების ზოგადი ხედვა და იურიდიული მიმართულება.“

ხელშეკრულებას, რომელსაც მთავრობა ტენდერში გამარჯვებულს სთავაზობს, დეტალებში ვერ განვიხილავთ, რადგან იგი უსაშველოდ დიდია. ამიტომ აქ შევჩერდეთ და გადავხედოთ უმთავრეს პირობებს, რომელიც – **„ანაკლიის პორტთან დაკავშირებით ინტერესების გამოხატვა“**-ში მონაწილეს უნდა წარმოედგინა:

1. 100 მილიონი და მეტი ტვირთბრუნვის დამადასტურებელი პროგრამა-წინა საპროექტო მოსაზრება.

2. პორტის პროექტი უნდა იკავებდეს ზღვის სანაპირო ზოლის მაქსიმალურად მცირე ნაწილს.

3. უკიდურესი აუცილებლობის გარდა არ უნდა ეხებოდეს დასახლებულ ტერიტორიას.

4. წარმოდგენილი პროექტი უნდა იყოს მომგებიანი და ტექნიკურად შესრულებადი.

5. ტენდერში მონაწილე კომპანია ვალდებულია წარმოადგინოს ინვესტორები, პროექტის დაფინანსების დამადასტურებელი საბანკო საბუთებით.

ტენდერში გამარჯვებულის გამოცხადებისთანავე აიშალა „ნაცების“ ჭილყვავი: „ანაკლიაში პორტის აშენების იდეა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის და თქვენ ნუ მიიწერეთო!“

პატივცემულ მკითხველს უნდა შევახსენო – როცა **მიშა საკაშვილმა**, 2009 წელს, **თეიმურაზ ქარჩავასგან** ანაკლიაში უნიკალური პორტის აშენების შესაძლებლობის შესახებ შეიტყო, იდეა მოეწონა და იმწამსვე აიტაცა, უმნიშვნელო ფორმალობების გავლის შემდეგ, პორტის ასაშენებელი მიწებიც შეასყიდინა ბატონ ქარჩავას, პორტის მშენებლობაც დაიწყო, მაგრამ ოკეანისგაღმელ „მამებთან“ საკონსულტაციოდ ჩასული, სულ სხვა გეგმით დაბრუნდა საქართველოში და – ქარჩავასეული „ანაკლია პორტის“ ნაცვლად, უსახური „ლაზიკა პორტი“ და „ხუთასი ათას მოსახლეზე“ ქალაქ „ლაზიკას“ მშენებლობის იდეა ჩამოიტანა, რომელიც რამდენიმე ესკიზში გამოიხატა და იგი საკმარისად ჩაითვალა მის დასაწყებად.

ასე გაჩნდა, ყოველგვარი ნებართვის და პროექტის გარეშე, პორტის ასაშენებელ ტერიტორიაზე, სადაც გემები უნდა შემოსულიყო, – არარსებული ქალაქ „ლაზიკას“ იუსტიციის სახლი და ანაკლიის აბორიგენი მოსახლეობის ტერიტორიაზე „ლაზიკა პორტის“ მომავალი ადმინისტრაციის ორი ხუთსართულიანი შენობა. ე.წ. „ლაზიკა პორტი“-ს მშენებლობა ანაკლიის დასახლებულ ტერიტორიაზე დაიგეგმა.

ეს კიდევ არაფერი, მოძალადე ხელისუფლებამ ბატონი **თეიმურაზ ქარჩავას** კომპანია „ანაკლია პორტი“-ს კერძო საკუთრებაში მყოფი და სახელმწიფისგან შესყიდული მიწები უკანონოდ ჩამოართვა და ასი მილიონი ამერიკული დოლარი ჯარიმა დააკისრა. ყოფილი ხელისუფლებისგან მსგავსი საქციელი მაშინ არავის გაკვირვებია.

მართალია, 2013 წელს სასამართლომ უკანონოდ დაკისრებული ჯარიმა გააუქმა, რასაც უკანონოდ ჩამორთმეული მიწების დაბრუნება უნდა მოჰყოლოდა, მაგრამ ოთხი წელია სასამართლო დავა გრძელდება, სახელმწიფო უწყების მიერ ჩადენილი კრიმინალი „კერძო საკუთრების უკანონოდ ხელყოფა“ სახეზეა, სამართალი კი, როგორც იტყვიან, „ურმით მოდის“!

კარგა ხანს გვეგონა **„ლაზიკა პორტი“** და ქალაქი **„ლაზიკა“** მიშა საკაშვილის ხუმტურები იყო, მაგრამ მოვლენათა განვითარებამ სულ სხვა ფაქტების წინაშე დაგვაყენა.

უნდა ვაღიარო მე მათ დიდხანს ეჭვის თვალით ვუყურებდი, მაშინაც კი, როცა 2011 წელს ჰამბურგიდან ასტანაში მივფრინავდი, ცნობილი გერმანული ფირმა VIESSMANN-ის წარმომადგენლებთან ერთად, სრულიად შემთხვევით, ჩემს გვერდით მჯდომი მგზავრისგან შევიტყვე, რომ „ანაკლიაში აშშ-ს სამხედრო საზღვაო ბაზა შენდება“ (ალბათ, სხვა დროს, უფრო დაწვრილებით გავიხსენებ ამ ამბავს), მოლაზღანდარე ევროპელის გადამეტებულ აქტიურობად ჩავთვალე იგი და ყურადღება არ მივაქციე.

მაგრამ, მას შემდეგ, რაც **„ანაკლია პორტი“**-ს ტენდერში გამარჯვებულად „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფი“ გამოცხადდა. **მეც დავიჯერე, ხუთი წლის წინ ჩემი გერმანელი თანამგზავრის მიერ ათი ათასი მეტრის სიმაღლეზე მოფოლიალი „ანაკლიაში სამხედრო საზღვაო ბაზის მშენებლობის“ ნამდვილობა!**

მკითხველი რომ არ დაგაბნიო, განვმარტავ: მე ანაკლიაში დაბადებული და გაზრდილი ვარ, ჩემი ამ ქვეყნად ყოფნის დარჩენილი ლიმიტი იქ მინდა ამოვწურო და არავის ინტერესებს არ მოვერიდები, როცა შეეატყობ, იქაურობას საშიშროება ემუქრება!

იმედი მაქვს, ყოველივე ზემოთთქმულის შემდეგ, **„ანაკლია პორტი და ეკო-პარკი“**-ს **მარცხის მიზეზი ჩინური მეგაკომპანია „ფაუერ-ჩაინათი“**, ჩინური ინვესტიციით და ჩინური ტვირთების გარანტიით მარტივი ასახსნელია!

რაც შეეხება **ხუთასი ათას მოსახლეზე ანაკლიაში ქალაქ „ლაზიკა“**-ს აშენებას, დღევანდელ პირობებში, არც ის მეჩვენება უტოპიად. მართალია, სანახევროდ დაცარიელებულ საქართველოში „ლაზიკაში“ ჩასასახლებელი 500.000 ადამიანი არ მოიძებნება, მაგრამ – **სირიელი ლტოლვილებისგან შეშინებულმა ევროპამ, რომ ნახევარ მილიონს საქართველოსკენ უყოს პირი, არავის გაუკვირდება!**

მით უმეტეს, ორი კვირის წინ, თუ არ ვცდები, კახეთში, **„72 თავშესაფრის მთხოვნელ უცხოელს“**, აშშ-ს საელჩომ კომფორტული საცხოვრებელი სახლი აუშენა, როცა საკუთარ ქვეყანაში, საკუთარი სახლებიდან გამორეკილი ნახევარი მილიონისთვის ვერ მოგვიყლია ჯეროვნად!

მოდით, ჩვენ მაინც მივყვეთ ისტორიას – „ანაკლია პორტის“ მშენებლობა 2012 წლის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ გახდა რეალური პროექტი და იგი განახლებული სახით ბატონი თეიმურაზ ქარჩავას კონსორციუმმა „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“ წარმოადგინა, რომლის შემადგენლობაში, ხანგრძლივი კონსულტაციების შემდეგ ჩინეთის სახელმწიფო კომპანია „პაუერ-ჩაინა“ გაერთიანდა ამერიკულ „აეკომთან“ ერთად.

„ანაკლია პორტის“ მშენებლობის ტენდერის გამოცხადებამდე ცოტა ხნით ადრე გამოჩნდა და 12 მონაწილეს შორის ვიხილეთ – „კონტი-ჯგუფი“ და „თი-ბი-სი ბანკის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე **მამუკა ხაზარაძე.**

წინადადებები, რომლითაც ხაზარაძის კონსორციუმი შემოდის, სახელმწიფოსთვის არარეალურიც არის და საზიანოც.

„ხაზარაძე და კონტი-ჯგუფის“ პროექტის გაცნობის შემდეგ ცხადი გახდა, რომ:

1. იგი ვერ ასრულებს ტენდერის უმთავრეს მოთხოვნას – 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვას წელიწადში. ექსპერტთა დასკვნით, წარმოდგენილი კონცეფცია ვერანაირად ვერ გასცდება წელიწადში 30 მილიონ ტონა ტვირთბრუნვას და მას შემდგომი განვითარების პერსპექტივა არ გააჩნია. უკიდურეს შემთხვევაში, მისი ტვირთბრუნვის გაზრდა ისედაც შეზღუდული ზღვის ნაპირის ხარჯზე უნდა მოხდეს.

2. იგი იკავებს ზღვის სანაპირო ზოლის 4 კილომეტრს.

3. პირდაპირ დამიზნებულია ანაკლიის აბორიგენ მოსახლეობაზე და ითხოვს 200 ოჯახის გასახლებას.

4. პორტის მშენებლობა დაგეგმილია გაშლილ ზღვაში, რაც მის საეჭვო დანიშნულებას უსვამს ხაზს.

5. საგანგაშოა ის, რომ „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფი“ ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადების შემდეგ ეძებს ინვესტორს და დამფინანსებელს, მათ შორის, აცხადებს, რომ ჩინეთშიც ჰყავს პარტნიორი მოძიებული, მაგრამ მას საიდუმლოდ ინახავს!..

კონსორციუმ „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრება:

1. წარმოდგენილ კონცეფციას გააჩნია გარანტირებული, შემდგომი განვითარების პერსპექტივა და იგი გაანგარიშებულია წელიწადში 100 და მეტი მილიონ ტონა ტვირთბრუნვაზე.

2. იგი ზღვის ნაპირის მხოლოდ 800 მეტრს იკავებს.

3. საერთოდ არ ეხება დასახლებულ ტერიტორიას.

4. პორტი შენდება ხმელეთზე და 350 მეტრი სიგანის არხით უერთდება ზღვას.

5. კონსორციუმ „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკი“-ს მიერ წარმოდგენილი წინა საპროექტო მოსაზრების ტექნიკურად გადაწყვეტა, მსოფლიოში აღიარებულ (Ernst & Yang) კომპანიაში ექსპერტიზაგავლილი დოკუმენტაციის თანხლებით ეჭვს არ იწვევს. დასაბუთებულია მისი ეკოლოგიურად გამართულობა და თანამედროვე, მსოფლიო სტანდარტებთან შესაბამისობა. ასევე, მზადყოფნაში აქვს ინვესტორთა მიერ წარმოდგენილი პორტის მშენებლობის ფინანსური უზრუნველყოფის დამადასტურებელი საბანკო გარანტიები.

ეკონომიკის მინისტრ ქუმსიშვილის განცხადებით – „ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებულ „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ იგივე „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფს“ მოწვეულმა უცხოელმა ექსპერტებმა და სატენდერო კომისიამ ასიდან 80 ქულა მიანიჭა!“

როგორც ზემოთ ვიხილეთ, დიდი ინჟინრული ცოდნა არ არის საჭირო, კონსორციუმ „ანაკლია-პორტი და ეკო-პარკის“ ხმელეთზე დაგეგმილი პორტის პროექტი განასხვავო, ტენდერში გამარჯვებულად გამოცხადებული „ხაზარაძე და კონტი-ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი ნაცოდვილარისგან.

– სასწრაფოდაა გასარკვევი, – რატომ აირჩიეს ზემოთხსენებულმა ექსპერტებმა და სამთავრობო კომისიამ კომპანია, რომელსაც სტატიის დასაწყისში ჩამოთვლილი ხუთი ძირთადი მოთხოვნიდან ხუთივეში, თითქმის გადაუჭრელი პრობლემები გააჩნია?

– რაში მიენიჭა გამარჯვებულს – „ასიდან 80 ქულა“?

ეს ის კითხვებია, რომლებიც ჟურნალისტური გამოძიების ფარგლებს სცილდება და მას შესაბამისმა ორგანომ უნდა მიხედოს.

როგორც ცნობილია, ტენდერში გამარჯვებულსა და მთავრობას შორის ხელშეკრულების ხელმოწერა სამი თვის განმავლობაში უნდა მოხდეს, რაც სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ საფუძვლიანად იქნას შესწავლილი ყველა საკითხი და ამის შემდეგ მაინც მოხდეს ორივე კომპანიის მიერ ტენდერში წარდგენილი მასალების გასაჯაროება!

დავით ქობალია
597 99 37 93

თბილისის იერ-სახის დამახინჯება არავის ეპატიება

„ნაციონალური მოძრაობის“ დანატოვარი პრობლემების დაწვრილებით ჩამოთვლა, ალბათ, შორს წაგვიყვანს და არც არის საჭირო, რადგან მათ შესახებ საქართველოს მოსახლეობამ კარგად უწყის. უბედურება ის გახლავთ, რომ დატოვებული მძიმე მემკვიდრეობის აღმოფხვრა თუ ხდება, ისიც მძიმედ, შენელებული ტემპით. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობა ჩვენი ქვეყნის დედაქალაქ თბილისშია.

გახსოვთ ალბათ, თავდაპირველად „ნუგეშის“ და სიგარეტით მოვაჭრეთა ჯიხურები გაჩნდა თბილისის ქუჩებში. როგორც გაირკვა, „ნუგეშის“ ჯიხურებს ყოფილი მერი გიგი უგულავა, ხოლო დანარჩენს დავით კეზერაშვილი მფარველობდნენ. გარე მოვაჭრეებსაც პერიოდულად, არჩევნების წინ, ან პოლიტიკურად დაძაბულ პერიოდში რთავდნენ ვაჭრობის ნებას.

...2014 წლის ადგილობრივი არჩევნების შემდეგ კვლავ დაიწყო თბილისში ჯიხურების ბუმი. ამჯერად მინის ნახევრადკაპიტალური ე. წ. მაღაზიები თუ სხვა ნაგებობები წამოჭიმეს. აქვე არ არის, მომავალშიც გამოიყენონ ეს უკვე დავალებული ხალხი. ალბათობა დიდია, რადგან ერთ-ერთი ასეთი კონსტრუქცია ქინძმარაულის ქუჩაზე სამგორის რაიონის ერთ-ერთი მუნიციპალიტეტის ყოფილ ხელმძღვანელს ეკუთვნის. დასკვნების გაკეთება მკითხველისთვის მიგვინდვია.

შუშის კონსტრუქციები მთელ ქალაქშია მოდებული, განსაკუთრებით მეტროპოლიტენების სადგურებთან. ზოგიერთ ადგილზე, მეტრო „დიდუბის“ ქვედა სადგურზე ორი ადამიანი ერთად არათუ გაივლის, გვერდის ავლაც კი უჭირთ. ეს იმ ადგილზე, სადაც უზარმაზაერი ბაზრობაა. „ვაგზლის მოედაზე“, რომელსაც მხოლოდ ძველი სახელი აქვს შემორჩენილი, თავისუფლად შეგვიძლია „ვაჭრობის მოედანი“ ვუწოდოთ, გაცილებით სავალალო მდგომარეობაა. ყოფილ „ბავშვთა სამყაროსთან“ იმდენი შუშის კონსტრუქცია ისე უცებ „აღმოცენდა“, თავად იქ მოვაჭრეებიც კი გაკვირვებულები არიან.

თბილისის თანამედროვე არქიტექტორებმა კიდევ ერთი სიახლე შემოგვთავაზეს. სადვეველი ფუნქციის ნაგებობები. საინტერესოა, გაუძლებს კი ასეთ ზედმეტ დატვირთვას მხოლოდ ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილი ადგილი, ან ვინ გასცა მშენებლობის ნებართვა, არის თუ არა ექსპერტების დასკვნა. კითხვები, იცოცხლეთ, ბევრია, მაგრამ პასუხის გამცემი არავინ ჩანს.

მეტრო „ვაგზლის მოედნის“ მოპირდაპირე მხარეს, ქუჩის გადაღმა, გამწვანების ზოლზე ჯერ კიდევ 2014 წლის გვიან შემოდგომაზე დააპირეს მსგავსი შუშის კონქტრუქციის დადგმა. იქაურმა მოსახლეობამ სასამართლოს მიმართა, რომელმაც მშენებლობა აკრძალა. მიუხედავად ამისა, შარშან იანვარში ადგილის მეპატრონეებმა (?) ღამის საათებში რკინის კონსტრუქციები შეკრეს, სადაც სამი მრავალწლოვანი წიწვოვანი ხე მოხვდა. კონსტრუქციის დადგმის შემთხვევაში სამივე ნარგავს მოჭრა ელოდა. ეს მაშინ, როდესაც იმ ქუჩაზე სულ რამდენიმე ხეა. სასამართლოს განაჩენის მიუხედავად, რკინის კონსტრუქცია ისევ იმ ადგილზეა, დემონტაჟზე არავინ ფიქრობს.

ვიტყვით, რომ შუშის კონსტრუაქციების ჩადგმის ნებართვა ყოფილი ხელისუფლების თბილისის ვიცე-მერის, დღევანდელი საკრებულოს წევრის ირაკლი აბესაძის ხელმოწერით არის გაცემული. როგორც კულუარულად გვითხრეს, შუშის კონსტრუქციების ჩადგმის ნებართვები, ძირითადად, „ნაცმოძრაობის“ აქტივისტებს მისცეს. ამით ერთგვარად ვალი გადაუხადეს გაწეული სამსახურისთვის, თუმცა გამორიცხული

ვარდნილია ქალაქის არქიტექტურული ანსამბლიდან და მხოლოდ ამახინჯებს დედაქალაქს. თბილისის სხვადასხვა უბნებში წამოჭიმული პოლიციის შუშის შენობებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია.

ადგილობრივი არჩევნების შემდეგ თბილისის მოსახლეობა რადიკალურ ცვლილებებს ელოდებოდა. სამწუხარო ფაქტია, მაგრამ ჩვენი დიდი, სახელოვანი მეფის დავით აღმაშენებლის ძეგლი თავის ადგილას ჯერაც არ დააბრუნეს, არც სამარცხვინო ველოსიპედი აუღიათ, არც „ლაღიძის წყლების“ მაღაზია დაბრუნებულა თავის ძველ ადგილზე, რუსთაველის გამზირზე. დედაქალაქის მუნიციპალიტეტებში და გამგეობებში კვლავ „ნაცმოძრაობის“ წევრებს უკავიათ საკვანძო თანამდებობები. ძველ პრობლემებს ახლა შუშის კონსტრუქციის ნაგებობებიც დაემატა.

გასაგებია, რომ საქართველოში ვაჭრობა თავის რჩენის ერთ-ერთი საშუალებაა, მაგრამ ხომ უნდა გავითვალისწინოთ, სად ვხსნით სავაჭრო დაწესებულებას. იმ ადგილზე, რომლის ახლოც იგივე საქონელი იყიდება, რამდენად გამართლებულია მსგავსი მაღაზიის გახსნა, გაუგებარია. არავინ უარყოფს, რომ ჯანსაღი კონკურენცია ბიზნესში აუცილებელია. რომელ კონკურენციაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ყველა მოვაჭრე თითქმის ერთი და იგივე მომწოდებლისგან იღებს საქონელს, გაუგებარია. თუმცა ეს მოვაჭრეთა გადასაწყვეტია. პრობლემა ის გახლავთ, რომ მახინჯდება დედაქალაქის იერ-სახე ამდენი უაზრო ჯიხურებით.

საქართველოს დედაქალაქის, თბილისის იერ-სახის დამახინჯება არავის ეპატიება. გაფუჭებული საქმის გამოსწორება ზოგჯერ შესაძლებელია, მაგრამ ჩვენმა საზოგადოებამ, კონკრეტულად, უნდა იცოდეს უსაქციელობის ჩამდენის ვინაობა. ჯერჯერობით ჩვენ ვიცით ერთი სახელი, რომელსაც ზოგადად „ნაციონალური მოძრაობა“ ჰქვია. ახლა ვერავინ დაუბრუნებს თბილისს „დინამოს“ ჩოგბურთის კორტებს, ნახევრად გაპარტახებულ „ვაკის პარკს“, სპორტულ თუ სხვა ისტორიულ ნაგებობებს, უამრავ გაჩეხილ მრავალწლოვან ხეს. უბედურება სწორედ ის გახლავთ, რომ ყოველივე ამის ჩამდენი ხალხი აპროტესტებს ასწლოვანი ხეების გადარგვას (და არა გაჩეხვას). სინდის-ნამუსი იმ სისხლიანი რეჟიმის წარმომადგენლებს არც არასოდეს აწუხებდათ, მაგრამ თავიანთი ჭყლოპინით საკუთარი დანაშაულებების მიჩქმალვას ცდილობენ. სწორედ ეს გადაბრალება-გადმობრალება უნდა დამთავრდეს ქვეყანაში.

ძველი თბილისის ისტორიული შენობების აღდგენა-რესტავრაცია, იცოცხლეთ, კარგია, მაგრამ დედაქალაქში სხვა უამრავი პრობლემაც უხვად არის, ძველიც და ახალიც, რომელთა გადაჭრაც აუცილებელია. მათ შორის ქალაქის ბაზრობებზე სანიტარული მდგომარეობა და, საერთოდ, ვაჭრობის საკითხის დარეგულირება დედაქალაქში. თბილისის იერ-სახეზე ზრუნვა ყველა ჩვენგანის მოვალეობაა. სათქმელი უნდა ითქვას, თორემ, წაყრუებით საქმე წინ არ წავა. ვთქვათ სიმართლე, გვჭირდება თუ არა დედაქალაქში ამდენი შუშის ჯიხური თუ სხვა უსახური ნაგებობა, ეს მაშინ, როდესაც თბილისში უამრავი კაპიტალური სავაჭრო დაწესებულებაა. ისიც საკითხავია, დაცულია თუ არა სანიტარული ნორმები იმ შუშის ჯიხურებში, სადაც თუნდაც ხაჭაპური ცხვება?!

გია ბურდული
551 712 707

„მზიანი ბავშვები“

დაუნის სინდრომი ყველაზე გავრცელებული გენეტიკური ანომალიაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის სტატისტიკის მიხედვით, შვიდასიდან ერთი ბავშვი ამ სინდრომით იბადება. ეს შეფარდება ყველა ქვეყნის, კლიმატური ზონისა და სოციალური ფენისათვის ერთნაირია და არ არის დამოკიდებული მშობლების ცხოვრების

პასკალ დიუკენი

წესზე, მავნე ჩვევებზე, კვებაზე, მატერიალურ შესაძლებლობებზე, განათლებაზე, კანის ფერსა და ეროვნებაზე. გოგონებსა და ბიჭებს შორის დაუნის სინდრომით ბავშვები ერთნაირი სიხშირით იბადებიან. მათ მშობლებს ქრომოსომების ნორმალური რაოდენობა აქვთ და ზედმეტი ქრომოსომის არსებობაში არავინ არის დამნაშავე.

სიტყვა „სინდრომი“ გულისხმობს განსაზღვრული ნიშნების ან დამახასიათებელი თვისებების არსებობას.

დაუნის სინდრომი პირველად 1866 წელს აღწერა ბრიტანელმა ექიმმა ჯინ ლენგდონ დაუნმა. თითქმის ასი წლის შემდეგ, 1956 წელს, ფრანგმა მეცნიერმა ჟერომ ლეჟენმა დაასაბუთა ამ სინდრომის გენეტიკური წარმომავლობა, რაც ადამიანის უჯრედებში დამატებითი ქრომოსომის არსებობით არის განპირობებული.

ქალისა და მამაკაცის სქესობრივი უჯრედების შერწყმის შემდეგ ჩნდება ერთი უჯრედი, განაყოფიერებულ კვერცხუჯრედში ქრომოსომების რაოდენობა ორმაგდება და 46-ს აღწევს. მაგრამ ზოგჯერ ადამიანების ქრომოსომების 21-ე წყვილში, გენეტიკური შემთხვევითობის შედეგად ჩნდება დამატებითი ქრომოსომა და უჯრედებში 47 ქრომოსომა აღმოჩნდება. მესამე, ზედმეტი ქრომოსომის არსებობას ტრიოსომია ჰქვია.

ეს გენეტიკური ანომალია განაპირობებს იმ თვისებების არსებობას, რომელთა გამო ბავშვი თავის თანატოლებისგან განსხვავებით შედარებით ნელა განვითარდება, გვიან გაივლის განვითარების ეტაპებს. ასეთ ბავშვებს უჭირთ სწავლა. და მაინც, დაუნის სინდრომის მქონე ბავშვს შეუძლია ისწავლოს სიარული, ჩაცმა, ლაპარაკი, თამაში და თანატოლებთან ურთიერთობა, იაროს სკოლაში და სპორტზე. ერთი სიტყვით, აკეთოს ყველაფერი ის, რაც სხვა ბავშვებს შეუძლიათ.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვები ავადმყოფები არ არიან. სწორი გამოთქმაა „დაუნის სინდრომის მქონე ადამიანი“. ხშირად ასეთ ბავშვებს „მზიან ბავშვებსაც“ ეძახიან.

თანამედროვე საზოგადოება უფრო მგრძნობიარედ რეაგირებს ადამიანებს შორის განსხვავების განმსაზღვრელ ტერმინებზე, რაც დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვით არის განპირობებული. ტერმინი „დაუნის სინდრომი“ 1970-იანი წლებიდან დამკვიდრდა.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევები ადასტურებს, რომ დაუნის სინდრომით ბავშვის დაბადება დამოკიდებულია დედის ასაკზე, დედის ორგანიზმის გამოფიტვაზე და სასქესო ორგანოების დაავადებებზე, ასევე იმაზე, იყო თუ არა ქალის ცხოვრებაში მკვრადშობილი ან ადრეულ ასაკში დაღუპული ბავშვები. იმ დედების ასაკი, ვისაც ასეთი ბავშვი გაუჩნდა, 33 წლიდან იწყება, მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა დაუნის სინდრომით ბავშვი ახალგაზრდა დედებსაც გაუჩნდათ.

განსხვავებულ, „მზიან ბავშვებს“ ხშირად აქვთ გულის მანკი. მათთვის დამახასიათებელია ძვლების განვითარების შეფერხება და არასწორად განვითარება, გონებრივი ჩამორჩენა, კუნთების დაბალი ტონუსი, მოძრაობის კოორდინაციის დარღვევა.

ასეთი ბავშვები გვიან იწყებენ ლაპარაკს, მაგრამ ბევრ მათგანს აქვს მუსიკალური სმენა, ისინი ძალზე მხიარულები, ალერსიანები და დამჯერები არიან.

დაუნის სინდრომის მქონე ადამიანების მიმართ ჩვენს საზოგადოებაში არსებული დამოკიდებულება ხშირად არასწორია. თვლიან, რომ ისინი გონებრივად ჩამორჩენილები არიან და მათ ვერაფერს შეასწავლი; რომ ისინი აგრესიულები არიან, არ შეუძლიათ სიყვარული და მათთვის ყველაფერი სულ ერთია. ცივილიზებულ ქვეყნებში ეს სტერეოტიპები ჯერ კიდევ 20-30 წლის წინათ დაანგრიეს. გამოკვლევები და დაგროვილი გამოცდილება გვიჩვენებს, რომ დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების ინტელექტის კოეფიციენტი განვითარებაში საშუალო ხარისხის შეფერხებას შეესაბამება.

დაუნის სინდრომის მქონე ბავშვთათვის, ისევე, როგორც ჩვეულებრივი ბავშვებისთვის, მთავარი სტიმული მშობლების სიყვარულია, მათი მზრუნველობით გარემოსილი „უპერსპექტივო“ პატარა ერთი წლის ასაკში ჯდება, ორი წლისა დადის, ორწლინახევრისა კოვზით ჭამს და პირველ სიტყვებსაც ამბობს. დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი უფროსებს ეხმარება საოჯახო საქმეებში, შეუძლია იაროს ბაღში, სკოლაში, ილაპარაკოს უცხო ენაზე, ისწავლოს ცეკვა, მუსიკა, იაროს სპორტზე და შეისწავლოს კომპიუტერი!

ამბობენ, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებისთვის დამახასიათებელია სქესობრივი აგრესია, არაადეკვატური ქცევა, განწყობის ხშირი ცვლა კეთილგანწყობიდან მრისხანებამდე, მაგრამ ეს დიდი შეცდომაა! პირიქით, დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს შეუძლიათ გულწრფელი სიყვარული. ისინი კეთილგანწყობილები და მეგობრულები არიან. არ არის ცნობილი დაუნის სინდრომის მქონე ადამიანის მიერ ჩადენილი არც ერთი დანაშაულის შესახებ.

ევროპის ქვეყნებში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანები,

პაბლო პინედა

ჩართულნი არიან სახელმწიფო დახმარების პროგრამებში და საზოგადოება მათ როგორც თანასწორებს, ისე ექცევა.

ევროპასა და ამერიკაში დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს აქვთ უმაღლესი განათლების მიღების, სამსახურში მოწყობის და ოჯახის შექმნის შესაძლებლობა. ბევრმა მათგანმა განსაკუთრებულ წარმატებებსაც მიაღწია თავისი საქმიანობის სფეროში.

გთავაზობთ დაუნის სინდრომის მქონე ზოგიერთი მათგანის ბიოგრაფიას, რომლებმაც წარმატებებს მიაღწიეს.

კარენ გაფნი

34 წლის კარენ გაფნი არაკომერციულ ორგანიზაციის ხელმძღვანელობს, რომლის მიზანიც დაუნის სინდრომის მქონე ბავშვების საზოგადოებაში ადაპტაციაა. მიუხედავად იმისა, რომ მას მარცხენა ფეხი პარალიზებული აქვს. კარენი დაუნის სინდრომის მქონე პირველი ადამიანია, რომელმაც ლა-მანში გადაცურა. მან კიდევ რამდენიმე რეკორდი დაამყარა და პარაოლიმპიური თამაშების ოქროს მედალიც მოიპოვა. ახლახან კი კარენმა ორეგონის შტატის პორტლენდის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის დიპლომიც მიიღო.

პაბლო პინედა

ესპანელი მსახიობი, რომელმაც 2009 წელს „ოქროს ნიჟარა“ მიიღო სან-სებასტიანის კინოფესტივალზე, როგორც მამაკაცის როლის საუკეთესო შემსრულებელმა ფილმში „მეც“. იგი მალაგის მუნიციპალიტეტში მუშაობს და ასწავლის კიდეც. პაბლოს რამდენიმე დიპლომი აქვს: მასწავლებლის, ხელოვნების ბაკალავრის და პედაგოგიური ფსიქოლოგიის დარგში. ფესტივალიდან შინ დაბრუნების შემდეგ ქალაქის მერმა პინედას ჯილდო – „ქალაქის ფარი“ გადასცა.

ტიმ ჰარისი

ტიმი წარმატებული რესტორატორია. მისი რესტორანი „მსოფლიოში ყველაზე კეთილგანწყობილი რესტორანია“, ტრადიციული კერძების შეთავაზების გარდა, იგი ყველას უფასოდ ეხუტება. რესტორნის გახსნის დღიდან, 2010 წლიდან მოყოლებული, იგი 22 000 ადამიანს ჩაეხუტა.

კარენ გაფნი

ჯეიმი ბრიუერი

ტიმ ჰარისი

მიგელ ტომასინი

მიგელს ექსპერიმენტული მუსიკის გურუს ეძახიან. იგი დასარტყამ ინსტრუმენტებზე უკრავს და ჰყავს საკუთარი ჯგუფი. გამოშვებული აქვს ორი სოლო დისკი. მიგელი რეგულარულად მართავს კონცერტებს სკოლებსა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრებში.

პაულა საჟი

პაულა საჟი 1980 წელს დაიბადა შოტლანდიაში. იგი რამდენიმე ფილმშია გადაღებული. ბრიტანულ ფილმში „სიცოცხლის შემდეგ“ შესრულებული როლისთვის დაჯილდოებულია BAFTA-ს პრემიით ნომინაციაში „საუკეთესო კინოდებიუტი“. იგი შესანიშნავად თამაშობს ნეტბოლს და არის წარმატებული ადვოკატი.

რონალდ ჯენკინსი

რონალდი 25 წლისაა. იგი წარმატებული მუსიკოსი და კომპოზიტორია. 4 წლის ასაკში დაიწყო პიანინოზე დაკვრა, 17 წლისამ დაიწყო Youtobe-ზე საკუთარი რგოლების დალაგება და არც მსმენელი აკლდა. მალევე გამოვიდა მისი პირველი ალბომი, რომელმაც დიდი პოპულარობა მოუტანა მას. რონალდის ცხოვრებაში გარდამტეხი მომენტი გახდა, როცა ესპანურმა სპორტულმა არხმა ESPN-მა მუსიკალური თემის ჩასაწერად მიიწვია.

სტეფანი გინზი

სტეფანი კინემატოგრაფიის ისტორიაში პირველი მსახიობია, რომელსაც დაუნის სინდრომი აქვს. მან მონაწილეობა მიიღო 1996 წელს ეკრანებზე გამოსულ ფილმში „დუო“, რომელიც სენსაციად იქცა და მრავალრიცხოვანი ჯილდო მოიპოვა: ამერიკის კინოაკადემიის პრემია, ჩიკაგოს საერთაშორისო კინოფესტივალის პრემია, Wassermanis ჯილდო საუკეთესო კინემატოგრაფიის თვის, Warner Brothers-ისა და მარტინ სკორცეზეს კომპანიების ჯილდოები. მაშინ სტეფანი 12 წლის იყო. წლების შემდეგ სტეფანი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი გახდა. მან ხარისხი მერილენდის შტატის ბეტესდის უოლტერ ჯონსონის უნივერსიტეტში დაიცვა. უმაღლეს სასწავლებელში სწავლის პერიოდში სტეფანის იღებდნენ რეკლამებში და მონაწილეობას იღებდა თეატრალურ დადგმებში.

პაულა საჟი

ჯეიმი ბრიუერი

ამერიკელი მსახიობი ჯეიმს ბრიუერი დაიბადა კალიფორნიაში. მისი სამსახიობო კარიერა თეატრში დაიწყო. 2011 წელს შედგა მისი ტელედებიუტი სერიალში „ამერიკულ საშინელებათა ისტორია“ უმნიშვნელო როლით. მომდევნო სეზონებში მისი როლები პირველხარისხოვანი გახდა. გადაღებულია რამდენიმე ფილმში.

მადელინ სტიუარტი

მადელინ სტიუარტი

18 წლის ავსტრალიელმა მოდელმა გოგონამ მადელინ სტიუარტმა მოხიბლა ამერიკელი მაყურებელი, როდესაც ნიუ-იურკის მოდის კვირეულზე საერთაშორისო დიზაინერების ნამუშევრების პრეზენტაციაში მიიღო მონაწილეობა. ფინალში მისმა გამოსვლამ კი მაყურებელი აღაფრთოვანა და ნამდვილი ფურორი გამოიწვია. მადელინი მოდელის კარიერის გაგრძელებას შვეიცასა და რუსეთში აპირებს. იგი გატაცებულია ასევე ტანვარჯიშით.

პასკალ დიუკენი

პასკალი თეატრისა და კინოს ფრანგი მსახიობია. 1996 წელს მან მიიღო კანის ფესტივალის ვერცხლის პრემია მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში „მერვე დღე“, რომელშიც მას პარტნიორობას უწევდა ფრანგული კინოს ვარსკვლავი დანიელ ოტეი. პასკალი გადაღებულია რამდენიმე ფილმში.

ქრის ბურკი

კრისი ამერიკელი მსახიობია. იგი ამჟამად 50 წლისაა. გადაღებულია 10 ფილმსა და 4 სერიალში. იგი მონაწილეობას იღებდა ცნობილ ტელესერიალ „სასწრაფოს“ გადაღებებში. ჩაწერილი აქვს ოცამდე სიმღერა.

რაიმონდ ხუ

რაიმონდ ხუ 25 წლის კალიფორნიელი მხატვარია, რომელიც ჩინური მეთოდიკის გამოყენებით, ბრინჯის ქაღალდზე ტუშითა და აკვარელით ხატავს ცხოველებს.

მაქს ლუისი

დაუნის სინდრომის მქონე ბიჭუნას მაქს ლუისის კარიერა 12 წლის ასაკში დაიწყო. მან მონაწილეობა მიიღო თეატრალურ სპექტაკლში, ხოლო ფილმში, რომელიც ოქროს გლობუსზე იყო ნომინირებული, მას პარტნიორობას უწევდნენ ისეთი მსახიობები, როგორიცაა კეიტ ბლანშეტი და ჯუდი დენჩი.

მოამზადა
ბელა გველესიანმა
568 90 81 22

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი
მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

- შეიძლება თუ არა სასამართლო ხარჯების გადავადება ან შემცირება კანონის მიხედვით?

- შეიძლება. დაგიკონკრეტებთ:

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს, მხარეთა ქონებრივი მდგომარეობის გათვალისწინებით, შეუძლია ერთ ან ორივე მხარე გადაუვადოს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდა ან შეამციროს მათი ოდენობა, თუ მხარე სასამართლოს წარუდგენს უტყუარ მტკიცებულებებს.

* * *

- ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

* * *

- რა შემთხვევაში იხილავს სამოქალაქო საქმეებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა?

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, საქმის საკასაციო წესით განმხილველ სასამართლოს შეუძლია მოტივირებული განჩინებით საქმე განსახილველად გადასცეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატას, თუ:

ა) საქმე თავისი შინაარსით წარმოადგენს იშვიათ სამართლებრივ პრობლემას;

ბ) საკასაციო პალატა არ იზიარებს სხვა საკასაციო პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

გ) საკასაციო პალატა არ იზიარებს დიდი პალატის მიერ ადრე ჩამოყალიბებულ სამართლებრივ შეფასებას(ნორმის განმარტებას);

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვთ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდ პალატაში საქმე საკასაციო წესით განიხილება ამ კოდექსისა და „ საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად.

* * *

- სამსახურებრივი საქმიანობის დროს ხელი დამიზიანდა სერიოზული გართულებებით. მაქვს გასაკეთებელი ოპერაცია. ხელმძღვანელობამ უარი მითხრა ოპერაციის ხარჯების გადახდაზე. შემაქვს სარჩელი სასამართლოში. მეკუთვნის თუ არა სახელმწიფო ბაჟის გადახდა?

- არ გეკუთვნით. დაგიკონკრეტებთ;

- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 46-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სასამართლო ხარჯების გადახდისაგან თავისუფლდებიან მოსარჩელეები - დასახიჩრებით ან ჯანმრთელობის სხვა დაზიანებით, აგრეთვე, მარჩენალის სიკვდილით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელებზე.

წარმოდგენილი ნორმის მიხედვით, თქვენი შემთხვევა განიხილება ჯანმრთელობის სხვა დაზიანებად. აუცილებლად უნდა წარადგინოთ სასამართლოში სარჩელთან ერთად ცნობა თქვენი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და, ასევე, მოგიწევთ მტკიცება იმის შესახებ,რომ ეს დაზიანება თქვენ ნამდვილად მიიღეთ სამსახურში არა თქვენი ბრალეულობით.

* * *

- ჩემი შვილი და რძალი განქორწინდნენ. ამჟამად მათ შორის დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა. რა შეიძლება მოხდეს სამართლებრივად?

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართებით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

ხალები ადამიანების ბედს განსაზღვრავენ

ნიშნები სხეულზე ადამიანის ბედზე მიუთითებს. ამბობენ, რომ დედამიწაზე არ არის ადამიანი არ ჰქონდეს ხალი ან რაიმე ნიშანი სხეულზე. კარგადაც რომ არ დააკვირდეთ სინდი კროუფორდს, თვალში მისი ხალი მაინც გეცემათ. ბავშვობაში, ალბათ, რას არ იგონებდა ყველა გოგონა ამ სუპერმოდელს რომ დამსგავსებოდა. მისი ხალი ტუჩს ზემოთ კარგა ხანს ითვლებოდა სილამაზის სიმბოლოდ, მაგრამ მერლინ მონროს ცნობილი ხალი? მრავალი მამაკაცი ამ ხალს ჭკუიდან გადაჰყავდა. ნიშნები ადამიანის სხეულზე მაგიური დანიშნულებისაა. მათი მდებარეობის მიხედვით ადამიანის ხასიათის გამოცნობაც და თვით

ბედის განსაზღვრაც კი არის შესაძლებელი.

ნებისმიერ ადამიანს სხეულზე 20 ასეთი ნიშანი აქვს. „დაბადებიდან მაქვს სახეზე ხალი, მან მე ბევრი უსიამოვნება მომიტანა. ზოგჯერ სარკეში ჩახედვაც კი არ მინდოდა. რადგან მეჩვენებოდა, რომ ეს ხალი ჩემს გარეგნობას ამახინჯებდა“, — ჰყვება ქალბატონი, რომელიც დასძენს, რომ ამის გამო მუდმივად საყვედურობდა დედას, რადგან უთხრეს, რომ ორსულობის პერიოდში მოცხარი მოიპარა და ამ მოცხარის ნაყოფი იზრდება ახლა სახეზე. ხალი, რომელიც „სტანჯავდა“ ქალბატონს, ბოლოს და ბოლოს მოიშორა. აღმოჩნდა, რომ ეს ხალი საბედისწერო იყო, რის შემდეგაც მასში უამრავმა დაავადებამ იჩინა თავი.

ეს ერთი ჩვეულებრივი ისტორიაა, მაგრამ იმ ქალბატონის მსგავსად ბევრი ადამიანი იცილებს ხალებს და არც წუხან ამის გამო. მაგრამ ყოფილა შემთხვევები, როცა ხალს გადაურჩენია ადამიანი. „ ისეთი, ხალი მქონდა როგორიც ჩემს დედას — ტუჩს ზემოთ. ერთხელ მოვხვდი საშინელ ავტოავარიაში. საავადმყოფოში მიმიყვანეს, სადაც ერთმა მოხუცმა თქვა — კარგია, რომ ხალს რაიმე არ მოუვიდა, ეს ნიშანი მფარველმა ანგელოზმა დაასვა, მითუმეტეს თუ ის მემკვიდრეობით გადმოეცათ“ — ჰყვება ახალგაზრდა მამაკაცი.

უამრავი ტიპის ხალი და ლაქა არსებობს. ზოგიერთი ასო-ბგერას ჰგავს, ზოგიერთი — ციფრებს, ან გეომეტრიულ ფიგურებს. ზოგიერთს ხალი მისტიკური მნიშვნელობის ნიშნად მიაჩნია. ერთი გოგონა ჰყვებოდა, რომ მას მარჯვენა მხარზე დაბადებიდან აქვს ლაქა, რომელიც ჰგავს გადმობრუნებულ ასო შ-ს. ეს ამბავი მას მუდმივად შიშს ჰგვრიდა. საინტერესო ისაა, რომ ასეთი ლაქები აბსოლუტურად უმტკივნეულოა.

საინტერესოა, რომ შუა საუკუნეებში ლაქებიან ადამიანებს კოცონზე წვავდნენ, რადგან მიაჩნდათ, რომ მათ მოჰქონდათ უამრავი ბოროტება ადამიანებისთვის. მაგრამ ამავე დროს არსებობდა აზრიც, რომ თუკი ადამიანს სხეულზე ბევრი ხალი აქვს, ბედნიერი იქნებაო. არის ამ მოსაზრებაში სიმართლის მარცვალი? ამაზე პასუხის გაცემა არავის შეუძლია.

ფსიქოლოგიის პროფესორი ინფორმატიზაციის საერთაშორისო აკადემიის აკადემიკოსი ბორის ხიგირი აღნიშნავს, რომ ხალებს ბევრი რაიმეს თქმა შეუძლია. შეიძლება ითქვას, რომ ბედი ჩვენი ბედის წიგნში წერია, რომლის წაკითხვისას ბევრი რაიმეს გაგება შეიძლება ადამიანზე, მის ხასიათზე, ბედზე. ხალებს შეუძლია მოგვიტანოს ბევრი ბედნიერება და ბევრი უბედურებაც. თუ ხალები მშობლებისგან გადმოგეცათ და არის იმ ადგილას, სადაც აქვს დედას, მაშინ მას დამცავი ფუნქცია ექნება. მისთვის ხელის ხლება არაფრით არ შეიძლება, — ამბობს ექსპერტი.

დიდი ხალი ყელზე, რომელიც ერთთეთრიანის ტოლია ლაპარაკობს ადამიანზე, რომელიც არის ემოციური, აქვს სწრაფი რეაქციები, მიდრეკილია ხელისუფლებისა და ძალაუფლებისკენ.

მეცნიერთა მტკიცებით, ადამიანს, რომელსაც ხალი ცხვირზე აქვს, გამოირჩევა კარიერის სიყვარულით. ის წარმატებებს აღწევს პროფესიულ საქმიანობაში.

ხალი ყურებზე მოუსვენარ ადამიანებს აქვთ. ისეთებს, რომლებიც ემოციონალური ნატურები არიან.

ხალი შუბლზე ფიქრიანი, დეპრესიული, მისტიკის მოყვარული ადამიანებს აქვთ.

თუკი ნიშანი მარჯვენა ბეჭზე გაქვთ, თქვენი ნერვიული სისტემა წესრიგში არ ყოფილა — ისინი ფიქრობენ, სხვები აკეთებენ, მესამე შრომის ნაყოფს იმკის.

ჯვრის ფორმის ხალი ადამიანის ორგანიზმისთვის — იგი ისეა, როგორც მფარველი ანგელოზი. მოწევა ამ ადამიანებისთვის სასტიკად არის აკრძალული. ბავშვობაში ასეთი ნიშნის მატარებლებს ზედა სასუნთქი გზების დაავადებები ემართებათ.

ხალის შეფერილობას შეუძლია მოგვითხროს მისი მფლობელის შესახებ.

მუქი ფერის ხალის მქონე ადამიანებს რთული ხასიათი აქვთ და არცთუ უბრალო ბედი. მათ უყვართ სიცოცხლე, შრომა ერთსა და იმავე ადგილზე. თუკი ხალზე თმებია, მისი მფლობელის წინააღმდეგობრივ ხასიათზე მიუთითებს.

მეცნიერები თავიანთი ტერმინოლოგიით ხალს თავის სახელს არ უწოდებენ. ამბობენ, რომ მას ჰქვია ნევუსი, კანის არაჩვეულებრივი კეთილთვისებიანი წარმონაქმნი. აქ მისტიკური არაფერია. 60 წლის ასაკიდან მათი უმრავლესობა ქრება.

როგორ მოქმედებს თვალების ფერი ადამიანის ხასიათზე

ადამიანის ხასიათი ხშირად მისი თვალების ფერში იხატება.

უძველესი ბერძნების ლეგენდები იტყობინებიან ციკლოპების ქალღმერთი ირისის შესახებ, რომელიც გამოფენდა ხოლმე თავის ფერად მოსასხამს, და ეს მოსასხამი დილის ულამაზეს ფერებს ხატავდა. აქედან მომდინარეობს თვალის ფერის სხვადასხვა შეფერილობა შავიდან დაწყებული სრულიად ღია და მბრწყინავი ირისისფერი.

დააკვირდით თქვენს ირგვლივ ადამიანებს და ჩახედეთ მათ თვალებში. ირგვლივ ბევრი ადამიანია ცისფერი, ნაცისფერი, თაფლისფერი, შავი, მომწვანო, მოყვითალო ფერის თვალებით. იშვიათად შეგვხვედრია ისეთი ადამიანებიც, რომლებსაც ორივე თვალი სხვადასხვა ფერის აქვთ. ასეთ ადამიანზე ამბობენ, მას უდიდესი შინაგანი ძალა აქვსო. ხშირად ხდება, როცა თვალების ფერი იცვლება, როგორც წესი, მუქდება, განსაკუთრებით ახალშობილებში.

როგორც ცნობილია, თვალების ფერს პიგმენტი მელანინი განსაზღვრავს. ცისფერი თვალების ფერს პიგმენტების ნაკლებობა იწვევს. ალბინოსების თვალების მოწითალო შეფერილობა კი მელანინის საერთო დეფიციტს გულისხმობს.

მეცნიერები და ფსიქოლოგები აღნიშნავენ, რომ თვალების ფერს შეუძლია განსაზღვროს ადამიანის ხასიათი.

ევროპელები მაინც და მაინც არ ენდობიან შავთვალებიან ადამიანებს, მაგრამ აღმოსავლეთში „ავ თვალად“ ცისფერი თვალები ითვლება.

ერთი კი ცხადია, თვალების ფერი არ განსაზღვრავს ადამიანის არც ინტელექტუალურ და არც ფიზიკურ შესაძლებლობებს.

რაც შეეხება ხასიათს, ეს არ ითვლება მეცნიერულ მტკიცებულებად, მაგრამ ფსიქოტიპების დაყოფა მაინც შესაძლებელია.

მე-19 ს-ში ფიზიოგნომისტები თვალების ფერს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ. მათი შეხედულებით, შავთვალებიანი ადამიანი უფრო ჭკვიანი და მცოდნე იყო, თუმცა ისინი ნაკლებად ერთგული იყვნენ სიყვარულში.

თაფლისფერთვალებიანი ადამიანები ხალისიანი, გონებამახვილი, ნიჭიერები არიან, ოღონდ არამყარი ხასიათი აქვთ. მათ ყველა პატივს სცემს და გარშემომყოფები გრძნობენ – ის მათ სჭირდებათ.

შრომისმოყვარე, გულმოდგინე, მეოცნე ღია თაფლისფერთვალებიანი ადამიანები არიან.

მწვანეთვალებიანი მართალი, პირდაპირი, პრინციპული, კატეგორიული და მკაცრი ადამიანია, ის არ გპატიობს და არასდროს შეურიგდება თვით ყველაზე ახლობლებსაც კი, თუ მათ აწყენინებს. მწვანეთვალებიანი ადამიანები იშვიათად არიან ბედნიერები. მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მწვანე თვალები ძალიან იშვიათად გვხვდება და ეს მისი მფლობელის ჯანმრთელობაზე სულაც არ მიუთითებს.

ნაცრისფერ-მომწვანო თვალების მქონე ადამიანების ხასიათი მაინც განსხვავებულია. ისინი ძლიერი შინაგანი ენერგიით გამოირჩევიან, მკაცრები და უტყვები არიან.

ადამიანები, რომლებსაც ნათელი, თითქმის თეთრი თვალები აქვთ, მშვიდი, ფლეგმატური, წყნარი ადამიანები არიან და როგორც წესი, ჯანმრთელები არიან. თუმცა მათ ხშირად ეუფლებათ დეპრესია.

ბნელი, შავი თვალები სიმამაცეზე, მიზნმიმართულებაზე, პირდაპირობაზე, გულღრძოობაზე, მტაცებლურ ბუნებაზე მიუთითებს, ცისფერთვალა ადამიანები ეგოისტები და გამოუსწორებელი რომანტიკოსები არიან. მათი ძირითადი თვისება მაინც ჭირვეულობაა.

დაკვირვების შედეგად ცნობილი გახდა, რომ თვალების ფერი და ადამიანის შინაგანი ენერგია ემთხვევა ერთმანეთს, რომელიც მას დაბადებიდან მიეცა.

მოამზადა
ანა ვადაჭკორიამ
568 97 61 60

ISSN 2233-3983
9 772233 398001

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com